ჩვენ დემოკრატიის უმაღლესი გამოვლინებას ვხედავთ საზოგადოების უოველი წევრის, უმუშო, კომუნარის, ინტელიგენტის, ლიტერატორის, კლემენტინოს თანამშრომლის, მინისტრის, რაჟობის, საქველუ კომიტეტისა თუ სახელმწიფოების მდიანის, დემოკრატის, საქველუ აღმასკობის, რაჟადასკობისა თუ სახელმწიფო აღმასკობის თანამშრომლის, მინისტრთა საბჭოსა თუ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომლის როგორც უფლებების, ისე მოვალეობების პროპორციულად გამტარებელმა.

დემოკრატიისა და თავისუფლებათა შემდგომ განვითარებულ ჩვენ დემოკრატია შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება-გაფართოება, თვით პარტიისა და შრომელთა მასობრივი ორგანიზაციების — საბჭოების, პროფკავშირების, მოკავშირის შემდგომი განვითარება

დემოკრატიის შემდგომ განვითარებას ჩვენ ვხედავთ მწიკრების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფისტების, ფურნალისტების, თეატრალური მოდერნიზმის შემოქმედებითი კავშირების უფლებების, ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის



გამღებებში, თვითული მწერლის, პოეტის, დრამატურგის, კრიტიკოსის, კომპოზიტორის, მხატვრის, მოქანდაკის, სასცენო ხელოვნების წარმომადგენლის, საბჭოთა ეგრანის ოსტატის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

ერთი მიზეზი, თვითული პირისთვის შინაგან და გარეგან ორგანიზაციას, მისთვის პოლიტიკური უფლებებისა და კონსტიტუციური მიზნებისთვის თავისუფლების გამოყენების უზრუნველყოფა, თავიდან აიცილებს ყველა პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ინსტიტუტის უმაღლესი ორგანიზაცია — ეს და მხოლოდ ეს არის წინამდებარის გარტა.

დემოკრატია მარტო კრიტიკის უფლება როლი, დემოკრატია — ეს არის ჩვენი ცხოვრების ყველა გასაკრიტიკებელ უბანზე მდგომარეობის სრულიყოფა იარაღი.

არ შიშობდა დემოკრატია ისე ვავიჯოთ, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს, ვიკით, შეეძლებს, ხელოვნების მოღვაწეებს, აქვს კრიტიკის უფლება, მწერს ნაწილს კი ეკისრება მხოლოდ და კრიტიკის მომხრის და მდგომარეობის გამოსწორების მოვალეობა. ვიმეორებ — არ ასრულებს უფლება მოვალეობის გარეშე ჩვენს საზოგადოებაში.

ჩვენ ვადავებთ თვითული შრომითი კოლექტივის, თვითული უწყებისა და სამინისტროს, თვითული შემოქმედებითი ავტორის, თვითული საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციის ყველაზე დემოკრატიული გზის, — და ეს არის ჩვენი საზოგადოების შემდგომი დემოკრატიის გენერალური მიზანობა.

ჩვენ, კომუნისტები, ვენდობით ხალხს, ჩვენ ხალხის ერთგული ვართ, ჩვენ ვუფრთხილდებით ხალხს, ჩვენ გვიყარს ხალხი.

ჩვენ, კომუნისტები, — როგორც ლენინი აღნიშნავდა, — უმცირესობას წარმოადგენენ ხალხში და ვერასოდეს ვერ შევძლებდით მის მართვას, რომ არ ესარგებლოდით ხალხის პატივსცემი და ნდობით.

ჩვენ, კომუნისტები, ვაპაუბოთ იმით, რომ წარმოადგენს არ მარტო მუშათა კლასის პარტიას, არამედ მთელი ხალხის პარტიასაც. ასეთი პარტია შეიძლება იყოს მხოლოდ კომუნისტური პარტია. ჩვენ ვაპაუბობთ ლენინური პარტიით, იგი ჩვენი ეტაპის გონება, ღირსება და სინდისია.

არავითარი გადახვევა ჩვენი წინადაქმნა მიზნებისა და იდეალებისადმი, არავითარი დათმობა უცხო იდეოლოგიის წინაშე — ასეთი ჩვენი ურყევი პრინციპია, და დღეს ჩვენ ამ პრინციპს ვადავებთ და ისევე მტკიცედ და გაბედულად ვცავთ მას, როგორც რევოლუციონარული და სპოქიალური ომის წლებში, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და საბჭოთა ცხოვრების წესის დაკვირვებისათვის ბრძოლის წლებში, ფაშისტ არაშინალების წინააღმდეგ ბრძოლის წლებში.

სწორედ ამიტომ ჩვენი პარტიის XXIV ყროლობის მასალებში ლიტერატურა და ხელოვნება მანჩნულია ამა მარტო როგორც კულტურული განვითარების საშუალება, არამედ აგრეთვე როგორც იდეოლოგიური ბრძოლის მძლავრი იარაღი.

სწორედ ამ თავსაზრისით დადგინდა განსაკუთრებით აქტუალურად უდრს ლენინის ის ბრძნული მითითება, რომ ლიტერატურა (და, მაშასადამე, ხელოვნებაც) საერთო-პარტიული საქმის ნაწილია, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ ამიტომ ჩვენითვის უდრესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმ იდეებსა და დებულებებს, რომლებიც ლენინური წინააღმდეგულობის XXIV ყროლობის დოკუმენტებში, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებში, რომლებიც განსაზღვრებენ თანამედროვე ხელოვნების განვითარების გზას, მის აზრებს, მის მიზნებს.

„კომუნისტური მშენებლობის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლის ყველაზე რწოდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზეგობრივი მწრუმის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებისა, — თქვა ლ. ი. ბრძენიძის მოხსენებაში სკკ XXIV ყროლობისადმი, — ამიტომ უზენდობია, რომ პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს აგრეთვე ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი ხელოვნების იდგურ შინაარსს, იმ როლს, რომლებიც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ.“ (სკკ XXIV ყროლობის მასალები, გვ. 111).

პარტია, როგორც აღნიშნავდა XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მწერალი, ყუველივე უფლებანი მინიჭებ ჩვენს მწერლებს, ლტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწეს, ჩამოართვა მხოლოდ

ერთი უფლება, ცუდად წერის უფლება, და, უწინარეს ყოვლისა, ამას უნდა უმაღლესოდ პარტიას თქვენ, საბჭოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

და ჩვენ ვიკით, რომ თქვენ მისი მაღლიერი ხართ, ეს მაღლიერავე, უწინარეს ყოვლისა, გამოსავლებს პოლონის თქვენი საქაფეთვის ნაწარმოებების სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის შედგებების შექმნაში.

ქართულმა საბჭოთა პროზამ, პოეზიამ, დრამატურამ, კრიტიკამ, ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ, თეატრამ, კინომ, მუსიკამ, ფერწერამ, ქანდაკებამ მხატვრულ ნაწარმოებები, კომუნისტის განსაზღვრების კლასიკური მაგალითები მოგვცეს. მაგრამ ეს არ ქმარა, ყუველმა ახალმა ეტაპმა ათათი მთელეფენი უნდა გამაღდროს ეს არსნული.

ჩვენს წინაშე ისხება ახალი პირობობები. დიდ იმედს ვუკავებობთ ჩვენ ამ დისკუსიასაც.

ჩვენი დედადუნად დისკუსია, ჩვენი დიდი პარტიული სჯაბასი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, რომლებიც, პოლიტიკური გეგმების გარდა, მონაწილეობენ მუშათა კლასის, კომლტურული აღზრდის, სახალხო ინტელიგენციის, ჩვენი სახელგანთი საბჭოთა არმიის წარმომადგენლების, ტლანტია — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მთლი თანაპარსკუთვლივად, ჩვენ წინაშე მიდგება როგორც დიდი რამინ-ებოპა, რომელიც შეე ყველამ ერთსულეფანი თანავებობით შექმენილი, და ამიტომ ნებისმიეთ ჩემი გამოსვლა ჩავთვალა ამ ეტაპის მხოლოდ პროლოგად.

ჩვენ ვაპაუბოთ იუბით, რა როლოვანი რომან-ებოპა უტალოვად: მერწმენთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ, როცა ჩვენ შეაჯამებთ ამ ფრუმის იდეების განხრავდებისათვის გაწული მუშობის შედეგებს, ჩვენ დაქვერო ეტალოვს, ესე იგი, ცკვალ შევეყრიბით და ვიტყვით, რა საიხვე შეიტანა ამ თათბირმა რესპულიტიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებაში, რა ახალი დებუბით, რა ახალი გამოცდილებით გაამდიგრა მან ჩვენი შემოქმედებითი პრაქტიკა, რა ახალი ზომობები დაგვტოვალა.

ქარგა იქნებადა ყუველწლოურად მოგვეწყო ობილქისი ასეთი დისკუსიები თმაზე — კომუნისტის ახვე ლიტერატურისა და ხელოვნებისაში.

მომავალში ამ ტრადიციულ შეხვედრებს შეიძლება ვუწოდოთ „პარტიის კითხვები თბლქისში“, ღირსშენაწინავეა, რომ ისინი დამეობხევიან ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს.

ჩვენ პარტიული მუშაკები, პოლიტიკოსები ვართ, და ამიტომ უნდა ვეკავოთ, რომ ჩვენ მუშაკობით ლიტერატურისა და პოლიტიკის უფრო მჭიდრო კავშირს, უამისოდ წარმოადგენელია ჩვენი საზოგადოების მხვეწული და საერთოდ სულიერი განვითარება.

ჩვენ მუშაკობით ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ამაღლიონ თვითანი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, აწმუსისა და მუშახდის წინაშე. პასუხისმგებლობის ამაღლება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ განვამტკიცებთ თვითული შემოქმედების პოლიტიკურ პირობების საზოგადოებში კლასობრიობის, პარტიულობის, ხალხობრიობის — ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ლენინური მოძღვრების ამ ბიოების ფუნდამენტურ საფუძვლებზე.

ამხანაგებო! მთმეფეობით, განვითარებულ სოციალიზმის ეტაპა ჩვენს წინაშე აუბნებს სოციალისტური რეალობის ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი ყუველების ახალ პირობობებს.

ჩვენს შედეგადნი საბჭოთა კულტურის განვითარების ახალ ხანაში, საქართველოს კომპარტიის ნათლად აქვს წარმოდგენილი ის მზარდი ომცავები, რომლებიც მის წინაშე დგას სკკ XXIV ყროლობის, პარტიის თბილისის საქალკო კომიტეტის და საქართველოს სკკ შხალხო მუერნეობის დაქმრებული განვითარების შესახებ ფუძნდებელი გადაწყვეტილებების შუგე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღუთქვამს სკკ ცენტრალური კომიტეტს, რომ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი შექმნან ჩვენი ხალხისა და ჩვენი ეტაპის კომუნისტის გაწილი მშენებლობის ეტაპის შესაფერ ნაწარმოებებს.

ეტყვი არის, რომ თბილისის ორდენისა საბჭოთა საქართველო, მისი მხატვრული სიტყვის, უფუნისა და საქართველოს, ოტარისა და კინოს ოსტატები ყუველ დღეს იმბარენ, რომ შექმნან კომუნისტის



სახე მაღალიდურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებში, და, რეალისტური ხელოვნების დიდი ტრადიციების ერთგულნი, ნოვატორულად განვითარებენ და სრულყოფენ სოციალისტური რეალისმის რევოლუციურ მეთოდს, გადადგამენ ახალ ნაბიჯს სინამდვილის მხატვრულ ათვისებაში, — ახალ ნაბიჯს კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ბედნიერებისა და გამარჯვებების ვარსკვლავი სულ უფრო კაჟაჟებს კოსმოსური მწვერვალებიდან, გზას გვიჩიარდნენ, რომ უფრო გაბედულად ჩაეწვდეთ ადამიანის სულის კოსმოსურ ხილვებს, ადამიანის ფსიქიკის ჰეშმარიტად უკიდვიანო კოსმოსურ წიაღს.

დიდ წარმატებებს გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამაზნავებო, ლიტერატურისა და ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატებო, თქვენს ძველ შემოქმედების შრომაში ახალი კომუნისტური ეპოქის, ახალი კომუნისტური კულტურის შექმნისათვის, ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის საერთო — სახალხო ძლევაშის, ტრიუმფალურ ბრძოლაში!

ძალის უნებურადა აგებული მცირე ტრაგედია „მოცარტი და სალიერი“.

ორად ორი სცენიდან პირველი, კაცმა რომ თქვას, სალიერის მონოლოგია ნაბიჯ-ნაბიჯ, წლიდან წლამდე გადადევნებს იგი თვალს საკუთარი ცხოვრების გზას, ცდლობს მიხედეს—რას ჩაუნერგა ესოდენ მომკვდინებელი შური და მისი სული უკანასკნელად აწრიალდება გარდაუვალი, მაგრამ ჯერ კიდევ შემამფთუთებელი გადაწყვეტილების წინაშე:

Где ж правота, когда священный дар,  
Когда бессмертный гений — не в награду  
Любям горшеи, самоотвержения,  
Трудов, усердия, молений послан —  
А азрыет голову безумца,  
Гуляки праздного?.. О Моцарт, Моцарт!

და ამ დროს, ექოსავით, გახშიანდება რემარკა: „შემოდის მოცარტი“.

და მერე როგორ შემოდის!

არა როგორც გმირი, ვისაც შეუძლია გარდატეხის დრამის სიუჟეტი, ან თუნდაც რაიმე არსებითი სახსლე შეიტანოს მასში, არამედ როგორც შორილი დადასტურება სალიერის ფიქრთა საფუძვლიანობისა, როგორც კიდევ ერთი დაშხმარე საბუთი, სალიერის საბოლოო განაჩენს კიდევ უფრო რომ ამტკიცებს.

ისიც კი გვეჩვენება, რომ მოცარტს შეეძლო სულაც არ „შემოსულიყო“. სალიერის წარმოსახვაში გამკრთალიყო ისევე, როგორც საბრალო ევენის გონებაში — ბრინჯაოს მხედარი, მაგრამ ბუჟინი პომას კი არ წერდა, არამედ მყურებლისთვის გამიზნულ დრამას.

მოცარტის გამოჩენა კიდევ ერთხელ არწმუნებს სალიერის თავისი აზრის სისწორეში. მოცარტს ბრმა მევიოლინე მოჰყვება თან — დუქნის გლახა — ყალბად რომ ასრულებს ნაწყვეტს „ღონ ჟუანიდან“, რითაც მხიარულ გუნებაზე აყენებს მოცარტს, სალიერის კი — აცოფებს. ასე დადასტურებული სალიერის პირველი თეზისი: „უსაქმური მაწანწალა“.

ასევე თვალნათლივ დასტურდება მეორე თეზისი: „გენიოსი“ მოცარტი იქვე მიუჯდება ფორტეპიანოს და ამჯერად სალიერი ვერ მაალავს თავის აღფრთოვანებას.

ამის მერე, ბუნებრივია სალიერის დასკვნები: „მოცარტო, შენი თავის ღირსი არა ხარ“. უსაქმური მაწანწალა არ იმსახურებს ბუნების დიდ ჯილდოს: სიღნევე არ ყოფნის საამისოდ.

მოცარტი გადის. სალიერის საშუალება ეძლევა გააგრძელოს ყველაზე საინტერესო მომენტში შეწყვეტილი მონოლოგი, როცა ის-ის იყო მოფიქრებული განზრახვა უნდა გაემხილა. და აჰა, გადაწყვეტილება მიღებულია:



# ბამარჯვებული მოცარტი\*

Нет! не могу противиться я доле  
 Судьбе моей: я избран, чтоб его  
 Остановить — не то мы все погибли,  
 Мы все, жрецы, служители музыки,  
 Не я один с моей глухой славой...

ამ უცნაურმა შეუსაბამობამ — გენიოსის ამ-  
 კარად მეორეხარისხოვან როლში გამოჩენამ —  
 შეუძლებელია არ დაგვაფიქროს. ამ გარემოებამ  
 ცნობილი პუშკინისტი დიმიტრი ბლაგოიცი დაა-  
 ფიქრა და მისი ახსნა შემდეგნაირად სცადა:

„პუშკინი მხატვრული სიტყვის უდიდესი სუ-  
 როთმოდერის გაანგარიშებით მოქმედებს. მო-  
 ცარტს იგი არც ერთ მონოლოგს არ წარმოათქ-  
 მეინებს, გენიალური მუსიკოსის სახეს მისავე  
 დიდ ქმნილებებში გვიხსნის... პიესაში სალიერის  
 არც ერთი ნაწარმოები არ სრულდება... სალი-  
 ერის სამი მონოლოგის შესაბამისად, სამჯერ და-  
 ივგრება მოცარტის მუსიკა...“

ამ ზრის გაზიარება, ცოტა არ იყოს, გვიჭირს.  
 არ მინდა სათვალავში ჩავაგდო ერთ-ერთი შეს-  
 რულება, როცა დუქნის მევილინეს უბადრუკ  
 დაკერაზე თვით მოცარტს აუვარდება ხარხარი  
 და რაც ნამდვილად ვერ აგრძობინებს მაყურე-  
 ბელს (მითუმეტეს მკითხველს) მოცარტის გე-  
 ნიალურობას. საქმე საქმეზე თუ მიდგა, დიდი

სტანისლავ რასადინი

\* სტატია დაწერილია ჩვენი ჟურნალისათვის.





მუსიკის ამ პაროდულ დამახინჯებას თავისუფლად გაუწევდა მეტოქობას სალიერის ოპერის — „ტარანას“ — მოტივი, სიამოვნებით და, უნდა ვიფიქროთ, ზუსტად რომ წაიღილინებს მოცარტი. ასე რომ, თუნდაც ართიმეიკული დანგარიშება (3:0 მოცარტის სასარგებლოდ) აქ ვერ არის მთლად ზუსტი.

კიდევ უფრო ძნელია იმის დაჯერება, რომ ავტორი-პოეტი დაენდო პერსონაჟი-კომპოზიტორის დაკვრას და სიტყვიერი დახასიათების უკმარობის შევსებას ამით შეეცადა. პუშკინი ხომ დარამს წერდა და არა ოპერას.

ამავე დროს მუსიკის და თვით ბრმა მვეიოლინის სასაცილოდ დაკვირის როლი ნამდვილად დიდია. მაგრამ მუსიკა მოცარტის კი არა — სალიერის დასახსიათებლადაა საჭირო, ამას ემსახურება.

ასეა ნამდვილად! მოცარტის მუსიკა უფრო მეტად მოცარტის მკვლელის სასათის ანალიზთან და განვითარებასთან არის დაკავშირებული.

როცა მათხოვარი ვიოლინოს აწრიაბინებს, მოცარტს არ აშინებს თავისი მუსიკის ასეთი გაზიარება, უნებლეთ პაროდიას იგი ბავშვური ალტაცებით ხვდება. „ქურუმი“ სალიერი კი ზიზღით იმჩივება, — საერთოდ, ამ სიტუაციაში ორივე სრულად ამყდარებას საკუთარ მეობას. დანარჩენ ორ შემთხვევაში კი, როცა ფორტეპიანოს თვით მოცარტი მიუკვდება, მისი დაკვრა უმთავრესად სალიერის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე არიყვლება და აიძულებს მას სული გადავიხსნას.

კვლავ იგივე უცნაურობა: გენიოსის მუსიკა სალიერის განსჯათა არგუმენტად გვევლინება.

ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მცირე ტრაგედიის პირველ სცენაში. მეორე სცენაში კი, ორივე გმირის მიერ წარმოთქმულ სტრუქტურა თანაფარდობა რომ ავიღოთ, მდგომარეობა ერთგვანად იცვლება. თუმცა ტონის მიმცემი აქაც სალიერია: თვით იწყებს მეორე სცენას, თვითონვე ამთავრებს, იგი სწადის მთავარ ქმედებას პიესაში — სწამლავს მოცარტს. მოცარტი კი ამკვეთრებს დრამატოზმს იმისას, რაც ხდება: ავ წინათვრინობას უშვებს სალიერის.

მიანც რატომაა ავებული ტრაგედია ასე და არა სხვანაირად?

II

პირველ ყოვლისა, მოცარტის სიტყვაქმუნობა და, ერთი პუშკინისტის თქმისა არ იყოს, „ენაბრველითა“ უპირისპირდება სალიერის მაღალფარდონებას და საზეიმო განწყობილებას. მოცარტი ლაბარაკისას ხშირად ბორძიკობს, ენა გემის, თავისი მუსიკის შინაარსსაც ასე ენაღმობევს: «Вдруг видение гробовое, незапный мрак иль что-нибудь такое»!.. თუკი სალიერისათვის შემოქმედების პროცესი რელიგიუ-

რი ზემივით წმიდათაწმიდა («быт может, посетит меня восторг и творческая ночь и вдохновенье»), მოცარტის მიერ აღწერილ „შემოქმედების დამეს“ ოდნავადაც არ დაჰკრავს საზეიმო იერი:

**Намедни ночью  
Бессонница моя меня томил,  
И в голову мне две, три мысли...**

რაც სალიერის ყურთასმენას შეურაცხყოფს, პუშკინს სიამოვნებს; მას სიამოვნებს გულუბრყვილო, თითქმის ფიზიოლოგიური ახსნა დღიად მუსიკის დაბადების მიზნებისა მხოლოდ და მხოლოდ უძილობით. ეს ხომ პუშკინისთვის უადრესად დამახსიათებელი იყო, — თვით იმ კერძო წერილებსა და ლექსებშიც კი, რომელთა გამოქვეყნებაც არ ჰქონდა განზრახული, იგი კიდევაც აჭარბებს მოცარტს, როცა „შემოქმედებით პროცესს“ ხუმრობითა და თამაშ-თამაშით აღწერს:

**Бумаги берегу запас,  
Натуги вдохновенью чуждым,  
Хожу я редко на Парнас.  
И только за большою нуждой.**

ეს გენიოსის უფლებაა — აგდებულად წერის საკუთარ თავზე (ეს იქნებ ბუნებრივი მორცხობაც იყოს, საიდუმლოებით მოცულ საუფლოში არ შეუშვას უცხო, თუნდაც ხუმრობით შეაქეროს იგი ზღურბლთან). ხელისანი სხვაგვარად იქცევა: რაკი პატივმოყვარეობითაა შეპყრობილი, მედიდურობს და იბღინძება კიდევაც.

ერთი სახეფათო (რალა თქმა უნდა, სასულდახელო და არა წინასწარ განზრახული) ანალოგია მინდა გაგატარო „მოცარტისა და სალიერისა“ და პუშკინის სხვა ლექსს შორის:

**К кастрату раз пришел скрипач,  
Он был бедняк, а тот богач.  
«Смотри, сказал певец бес...,  
Мои алмазы, изумруды —  
Я их от скуки разбираю.  
А! кстати, брат, — он продолжал,  
Когда тебе бывает скучно,  
Ты что творишь, сказать прошу.  
В ответ бедняга равнодушно:  
— Я? я... себе чешу.**

ადელი წარმოსადგენია, ეს პასუხი (თანაც „გულერილი“, მოშუებული, თითქოსდა თავისთავად ნაგულისხმევი) რა ხასიათზე დააყენებდ მდიდარ საჭურისს. მართლაც, რა თავში სასულელად უნდადა ამდენი წვთთა და დავით შეგრთვილი ძვირფასეულობა, თუკი ფიზიკურ უნადრუკობას ვერ დაფარავდა, თუ ეს ქონება განსხვავებას არ მისაძობდა საჭურისსა და სრულყოფილ მამაკაცს შორის?

სალიერიც ცვედანია, მას სძავს შემოქმედები-

თად ძალმოსილი მოცარტი. ეს უკანასკნელი ხუმრობაში ატარებს ყველაფერს, რის მიმართაც მისი მეტოქე-მეგობარი მოლოცვლივით მუხლმოყრია; მოცარტის ამგვარი უდარდღობა სალერის ისეთივე მგრეხელობად ეჩვენება, როგორც დაღე მვილიონის უბოდიშო პასუხი გამოიყურება ზემოთ მოხმობილ ლექსში. ეს მას ცინიზმად, აუტანელ დამციობად მიაჩნია.

სალიერის გარდაუვალ შეხახებას მოცარტთან ბევრი იმით ხსნიდა, რომ სალიერი — ეს სამუდამო მუსიკოსი — შურით იყო აღესილი გენიოსის მიმართ. ცნობილი რუსი პუშკინისტი გრ. გუგუსკი არ ეთანხმებოდა ამ აზრს, იგი ამბობდა — სალიერიც ტალანტია, ვინაიდან არც მისთვის არის უცხო შთაგონების ცრემლებით.

ფიქრობ, ორივე თვალსაზრისის მცდარობა იმაში გამოიხატება, რომ მილიანად გამოირცხავენ ერთერთს.

მართალია, სალიერი ნიჭიერია, მაგრამ მას ჰქონდა ნიჭი და დაკარგა. იგივე სალიერი უნიჭოა — მაგრამ ეს შედეგია და არს მიზეზი.

მთავარი ის გახლავთ, რომ სალიერისა და მოცარტის შეხახება სტატიკური არ არის. იგი დინამიკაშია მოცემული. სალიერი ბოროტმოქმედებისკენ ისწრაფავს ისე, როგორც სალიერი — მისი და დანაშაულამდე მიდის.

რასაკვირველია, მოცარტის გამოჩენამ სალიერის სახარელი ჩანაფიქრი საბოლოოდ ჩამოაყალიბა, მაგრამ ამ მომენტამდე თვით სალიერისაც უნდა განეცადა განსაზღვრული ევოლუცია.

ტყუილად როდი გვამცნობს პუშკინი (თუმცა — სალიერის პირით), რომ აღერ ამ კაცმა „არ იღოდა შური“, პირიქით, „მეგობართა ნაღვაწითა და გამარჯვებით“ ტკბებოდა.

აღერ იქნებ არც ჰქონია შურის საბაბი? ნამდვილად ჰქონდა. იმათგან, ვის მიმართაც შური არ უგრძნებია, გარდა პირინისა, რომელმაც „ველური პარიშლეების სმენა დატკბო“ და რომლის წარმატებისაც მას ნაღვლებად სჯეროდა, ნახსენებია „დიდებული გლიუკი“. ამ უკანასკნელის უპირატესობა კი სალიერის ოდნავდაც არ ეეჭვება.

მოცარტი მარტო ნიჭით კი არ განირჩევა სალიერისაგან, ისინი განსხვავებულად ექცევიან თავიანთ მონაცემებს.

გენიოსობა და, მითუმეტეს, ტალანტი, სამუდამოდ მონიჭებული მაგდელ არ არის. რამდენი შემთხვევა ვიცით, თავისთავზე ძალდატანების გამო, ტუმბირიტი ტალანტი სამუდამო უნაყოფობისთვის განწირული რომ აღმოჩნებოდა. გენიოსსაც იგივე დამართნია. გოგოლის უმძიმესი კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი (შეიძლება ითქვას, უმთავრესი მიზეზიც) იქნებ ის იყო, რომ გენიოსის თავისუფალ ნებას დოგმებს უმორჩილებდა?

ასეა თუ ისე, ეს პრობლემა არსებობს და იგი არამარტო პუშკინს აწუხებდა.

თომას მანის რომანში „ლოტოერი ფასტუნი“ ნაჩვენებია ის გზა, რასაც ადრიან ლევერკიუნის მუსიკალური გენია დაქვეითებისკენ მიჰყავს. რომანის პრობლემატიკა, რა თქმა უნდა, ისტორიულად სპეციფიკურია, მეოცე საუკუნის დალი აზის (ცნობილთა, რომ ლევერკიუნის პროტოტიპი დოღეგაფინიზის მამამთავარი შინბერგია), მაგრამ მის მიღმა შედავანდება მარადიული ტრაგედია ეშმაკთან წილნაკარი ტალანტისა. ეს ეშმაკი კი რომანში ნამდვილად მატერიულია. ადრიან ლევერკიუნის თვით მოცარტია, სალიერად გარდაქმნილი. ეს გარდაქმნა — ტალანტის გადაგვარება — გამოსატყუელია არა მარტო ესთეტიკურად, არამედ ზნეობრივად. სალიერიმ მოცარტზე აღმართა ხელი, ლევერკიუნმა — ბუთოქონზე.

სალიერის ცხოვრება ეს არის გზა ტალანტის ჩვეულებრიობისაკენ; რა თქმა უნდა, არა მოცარტის, არა გენიოსის, თუმცა უდავოდ ნიჭიერი პიროვნებისა, იმის, ვისმაც არის (იყო) მატერის ნაპერწკალი. ტრაგედიაში გამოყვანილი სალიერი უკვე საჭურისია. სწორედ რომ უკვე; ბუნებას არ დაუზარავს იგი, თვითონ დაისაჯა თავი, სულში ჩაიკლა შემოქმედი.

Родился я с любовью к искусству;  
Ребенком будучи, когда высоко  
Звучал орган в старинной церкви нашей,  
Я слушал и заслушивался — слезы  
Невольные и сладкие текли.

აი, ეს არის მოცარტის ნაპერწკალი, თუ შემოქმედის ნიჭი არა, მისკენ ლტოლვა მაინც, „სულიერი წყურვილი“, მომავლდავთაგან რომ განასხვავებს მას, ვისაც ეწვევა ხოლმე შთაგონება, ჩაესმის „ღვთიური ხმა“. ყმაწვილი სალიერი ამ წყურვილს შეუყვარია, აქვს მოცარტისეული გაეღებები, რასაც მოგვიანებით თვითონვე მოაშობის საკუთარ თავში. «Отверг я рано праздные забавы», — იტყვის იგი ასე დასთმო ამქვეყნიური სიამენი, გზა გადაკვეთა „ზედმეტ“ შთაბეჭდილებებს და თავდავიწყებით, ფანატურად „მეიცა ხოლოდ მუსიკას“.

Я сделался ремесленник: перстам  
Придал послушную, сухую геометрию  
И верность уху. Звуки умертвляя,  
Музыку я разъял, как труп. Поверил  
Я алгебры гармонии.

ეს ხომ სულიერი ასპექტის მისი ლექსიკონიდანაა: «Сухую», «умертвляя», «как труп», თავის თანხაც კი ბერძნით სუნასც ძიხის. მოცარტიც არავითარ მოიგონებს თავის სახელს.

«Но дай, схожу домой, сказать жене, чтобы она меня к обеду не дожидалась». «Недели три тому назад пришел я позд-



ხო დომი». «На третий день играл я на полу с моим мальчишкой».

ყოველივე ამის მიღმა ჩანს ჩვეულებრივი, ოდნავ უსრუნველი ყოფა, ბუნებრივი ადამიანური ურთიერთობანი, ის, რასაც ცხოვრება ჰქვია.

სალიერის ყოფა განდევლის მარტივობაა სახლი მისი — სენაკი.

Нередко, просидев в безмолвной келье,  
Два, три дня, позавыв и сох, и пишу,  
Вкусив восторг и слезы вдохновения,  
Я жег мой труд и холодно смотрел,  
Как мысль моя и звуки, мной рождены,  
Пылая, с легким дымом исчезали.

აქ იწყება საკუთარი თავის დასაჭურისება. ნადგურდება ცრემლების ფასად შექმნილი ნამდვილი შთაგონების ნაყოფი, იმგვარი ცრემლებისა, „უნებლით და ტკბილად“ ბავშვობაში რომ დასდენია, სადგურდება ბეგერები («Мной рожденны») — სალიერის პირმშობი და ამ კაცს სამუდამოდ ეგარება მათი ხელახლა ვაჩენის უნარი. გასწენება არ არის ეპიური, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გამჭრალა იმ ტკივილის კვალი, ამ თვითდასაჭურისების საშინელ ვაშს რომ ტანჯავდა სალიერის.

გულგრილად მისჩერებია ალგებრასტი სალიერი ცეცხლის ალში დნთქმულ საკუთარ ქმნილებებს. მაგრამ ჯერ კიდევ მოლიანად არ გამჭრალა მეორე სალიერი — ერთ დროს პარმონიის შიორე — და იგი იტანჯება. «Мной рожденны» — აქ იგრძნობა სისხლბორცული კაცური, რომლის მოსაბოძა მხოლოდ არასახლის ფასად შეიძლება. არა „დაწერილი“, არა „შეთხუთული“, არამედ „შობილი“ ბეგერები.

აი, ეს პირმშობი, სალიერის სისხლი სისხლთაგანი — «пылая, с легким дымом исчезали». ეპითეტში „მსუბუქი“ სინაზე და წუხილია. ამდენი ტანჯვის ნაყოფი მსუბუქ კვამლად, არარაობად იქცევა.

მის მიერ შობილი ბეგერები არ უთავსდებოდან ალგებრას და სალიერიმ იძინი განადადურა. ამ აქტმა უნებლოთ შეამზადა იგი მოცარტის მოსაკლავად — მიზეზი აქაც შეუთავსებლობაა. მოცარტის განადგურებამდე მან ყოველივე მოცარტისეული ჩაკლა თავის თავში. „შინაგანი“ მკვლობა წინ უსწრებდა „გარეგანს“. მეორედ დანაშაული სალიერიმ ქვეყნიერების მიმართ ჩაიდინა; პირველი—საკუთარი თავის წინაშე.

### III

ამხმა რომ თქვას, სალიერის ტრაგედია მოავალი შემოქმედის ტრაგედიაა, რომელთაც არ მოისურვებს, ან ვერ შესძლეს თავიანთი მოწოდების ეროვულნი დარჩენილიყვნენ. მათ სხვადასხვა ცდუნება ჰქონდათ, სხვადასხვაგვარი დანაშაული ქვეყნისა ან საკუთარი თავის წინაშე, მაგრამ ყვე-

ლაღერი, ჩვეულებრივად, ერთი კანონზომიერების გამოვლენა იყო, ერთისა და იმავეს დალატი. დალატი იმისა, რაც ასე სწყუროდა და რაზედაც ასე ოცნებოდა პუშკინი და რასაც ჰქვია — სულიერი დამოუკიდებლობა, „იდუმალი თავისუფლება“.

ამაზე თქვა უარი სალიერიმ:

Что говорю? Когда великий Глюк  
Явился и открыл нам новые тайны  
(Глубокие, пленительные тайны),  
Не бросил ли я все, что прежде знал,  
Что так любил, чему так жарко верил,  
И не пошел ли бодро вслед за ним  
Безропотно, как тот, кто заблуждался  
И встречным послан в сторону иную?

სალიერის დალატი საკუთარი თავისადმი, რა თქმა უნდა, წერილობით ანგარიშს არ უდევს საფუძვლად. ერთი ამბავია—იყო გლიუკის მიმდევარი და, მეორე — სულგანაბული უგდებდე ყურს რომელიმე კურფიურსტს. მაგრამ თვით დიდი გლიუკის გზითაც ვერ იგლო, თუკი საკუთარ თავს უარყოფ. ხელოვნების უდიდეს აღმოჩენათა აღიარებისას არ შეიძლება მუნს თავს ღირსებად ჩაუთვალო „უსიტყუო მორჩილება“ და ამავე დროს იფიქრო, რომ შენც პიროვნება ხარ.

«Я делался ремесленник... Поверил я алгеброй гармонии»...

მერვდა, რითაა ეს ცუდი? განა ხელობა აუცილებელი არ არის შემოქმედისთვის? განა ალგებრული ანალიზი ასე მტრობს პარმონიულ სინთესს? რა თქმა უნდა, არა. ეგენი შევად პატრესაცემი თვისებებია. მაგრამ გავისწენებ თუ არა იმ ასეკტურ სიტყვებს, სალიერი რომ ხმარობს: («сухую», «умертвив», «как труп»), ეს პატრესაცემი თვისებები მაშინვე უკიდურესად საშიშ ვლფერს იღებენ.

სალიერი „სენაკს“ ეძახის თავის სახლს, მაგრამ თვით პუშკინის ლექსში „19 ოქტომბერი“ ხომ გვხვდება ასეთი სტრიქონი: «Пылая, камин в моей пустынной келье...» დაიხ, ასეა. მაგრამ პუშკინის ბინა პოეტის მიზეზით არ გამხდარა უკაცრიელი. სალიერი კი თავად განუდგა ცხოვრებას, ადამიანებს. პუშკინის სენაკში დასთუმული ცეცხლი ნაღველს აქარავებს, სალიერისაში კი — საშინელებას სჩადის: «Я жег мой труд и холодно смотрел...» აქ თითქმის ხელოვანის საკუთარი თავით უკმაყოფილება ჩანს, ან ისეთივე ტრაგიკული სულიერი კრიზისი, გოგოლი რომ განიცდიდა, ანდა (სალიერისთვის, პუშკინისგან განსხვავებით, მისთვის ეს გრძნობა უცნობია) საკუთარი თავისუფლებისა და სიცოცხლის გადასარჩენად ხელნაწერთა განადგურება: ასე დასწვა პუშკინმა „ოწმების“ შეათო თვით და ჩანაწერები. გოგოლი, „მკვდარი სული“ ხელნაწერი რომ შეაგდო ღუმელში, ტახტზე დაემოხ და ატირდა. პუშკინი კი, უძირფასესი ნაწერები ცეცხლ-

მოღებული რომ დინახა, გამწარებული ცდილობდა მათ გადაარჩინას, სალიერი „ცივად“, გულგრილად მისჩერებია ალს.

თვის პუშკინის დროსაც არ იცოდნენ დანაშაულებით, სალიერიმ მართლა მოკლა თუ არა მოცარტი. ეს იყო ერთ-ერთი ვერსია, რომელიც ირწმუნა პუშკინმა. დღევანდლობით დამტკიცებულია, რომ სალიერის არ მოუწამლავს მოცარტი. 1964 წელს, ზალცბურგში, მოცარტ-მცოდნეობის ცენტრალური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიამ მოისმინა რა მოხსენება „ლევენდა მოცარტის მოწამელაზე“ — დაადგინა სალიერის რეაბილიტირება. ამიტომ, თანამედროვე მკვლევარები, პუშკინის ინტელიცია რომ უტყუარ ცოდნად გამოაცხადონ, კრაპირდაპირ სამხილველებს მიმართავენ.

მუსიკათმცოდნე იგორ ბელზა წერდა, რომ პუშკინმა „ანტონიო სალიერის მტაცებლური სახე“ სავსებით დამაჯერებლად დახატა, ვინაიდან სალიერი საერთოდ უწმინდური პიროვნება იყო — ბეთოვენს ინტრიგებს უწყობდა, მძიმე გასაჭირში ჩავარდნილ შუბერტს არ ღებხმარა, ხოლო „ღიად გლიუკს“ ხელნაწერები მოპარა და მიითვისა.


ადილი შესაძლებელია, ყველაფერი ეს მართალი იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ პუშკინის სალიერისთან მისი ისტორიული პრეტოტიპის საგარაუდო სისაძვილებს არავითარი კავშირი არა აქვს. პუშკინს სალიერი არც საზოგადოებრივ ინტრიგანია, არც ჩვეულებრივი ეგოისტი და ბაცაცა. იგი სრულიად გამორჩეული, მნიშვნელოვანი ფიგურაა, ქემმარიტი ტრავიზმით აღბეჭდილი.

სალიერი არც მატყუარაა. როცა გვეუბნება, მეგობართა შემოქმედების ნაყოფითა და გამარჯვებებით ვტკბებოდით, მის სიტყვას უნდა ვერწმუნოთ. შეუძლებელია ეჭვი შეგვეპაროს ამ უელწურფელს სტრიქონებში:

Кто скажет, чтоб Сальери гордый был  
Когда-нибудь завистником презренным,  
Знаей, людьми растоптанною, вживе  
Песок и пыль грызущего бессильно?  
Никто!.. А ныне — сам скажу — я ныне  
Завистник. Я завидую; глубоко,  
Мучительно завидую. — О небо!

ვინც ასე მძაფრად განიცადა საკუთარი დაცემა „ამაყიდან“ „საძულველამდე“, გათელილ, მტვერში უწვეოდ დაგორგოლილ გველს შეადარათა, თვითგვემას მიცემული სამგზის იმეორებს. «завистник... завидую... завидую...» იგი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი შურიანი საჭურისად ქცეული სალიერიც გამორჩეულია, მასში ჯერ კიდევ არ გამქარაღა მოგონება პატიოსნებაზე და ამდენად იმსახურებს ჩვენს ყურადღებასაც.

მე უკვე მოგახსენეთ მოცარტის „ენაბრველო-





ბაზეა<sup>1</sup>, რითაც პუშკინმა იგი რაციონალისტსა და ალგებრანტ სალიერის დაუპირისპირა. ამავე „ინტერვიულობით“ მინიშნებულია სიუჟეტური როლის მოცულობაზე, დრამაში რომ ეკისრება მოცარტს.

თუკი სალიერის სახე ტრაგედიაში რთული და მრავალწახანკოვანია, ამასვე ვერ ვიტყვით მოცარტზე. მასში პუშკინმა გენიალური (ანუ საკუთარი) პიროვნების ერთი მხარე წამოსწია წინ, ძალზე დამახასიათებელი, მაგრამ თავისი უზარ-ძალური გონებისადმი, უსაზღვრო განსჯათაგან და ეპოქისადმი რთული მიდგომისგან გამოცალკევებული. ეს, როგორც ჩანს, იმიტომ გაცხედა, რომ ბუნებრიობა, შთაგონება, ბავშვური გულურბრევლობა მეგვიორად, ყოველგვარი მინარევების გარეშე წარმოჩენილიყო. მოცარტი ბავშვურად მიაბიჯია, განსჯის საწინააღმდეგო კონტრენსენციაა, იგი ნათელი, მზიური ლანდია სალიერის ვეება, სამეანზომილებიანი ფიგურების (თუკი ასეთ თანტიკურ ნონსენსს დავეუშვებთ).

მოცარტი გულია და არა გონება. თუმცა ერთხელ კი მაღლდება იგი სალიერიან-ნელური ლოგიკისათვის მიუწვდომელ სიბრძნემდე, როცა გენიოსისა და ბორტომოქმედების შუუთავსებლობაზე ლაბარაკობს, სალიერი იტყვის, ბოშირზე საიბისოდ ძალზე სასაცილო იყო, რომ ვინმე მოეწამლათ, რაზედაც მოცარტი უყვამბოდ დაღუთანმება და დასქენს:

**Он же гений,  
Как ты да я. А гений и злодейство —  
Две вещи несовместные. Не правда ль?**

ეს არ გახლავთ შეჯერებული და შემოწმებული ფაქტების შედეგი, ეს რწმენის სიბრძნეა, რომელიც ფაქტებს არ საჭიროებს, რომლისთვისაც შემოწმება კი არა, ნდობა მთავარი, გულის ხმას უნდა დაუდგოს ყური. «Он же гений...» და ამით ყველაფერი ნათქვამი. ვაჰ, რაა საკამათო. შე და შენ ხომ კაცის მოკვლა არ შეგვიძლია — განა ასე არ არის?

რა თქმა უნდა, ეს გულბრველობაა, მაგრამ სწორად გულბრველობა და ალოგიკურობაა, შინაგანად რომ ანათებს, ასხივოსნებს მოცარტს, ამითვე, ბოლოს და ბოლოს, ამარცხებს უკიდურესად ლოგიკურ სალიერის.

მოცარტის ნათქვამში ეს აზრია: ამას ვერ შევურიგდები... არ მჯერა... ასეთი რამ არ ხდება... და თუ ხდება, არ უნდა მოხდეს! და განა ასე არ არის? განა გენიოსი და ბორტებმა შეიძლება ერთმანეთის გვერდგვერდ არსებობდეს?

ჭკუას და სიბრძნეს შორის არ არის რაოდენობრივი სხვაობა. სიბრძნე „დრიდ ჭკუა“ როდია, ეს იქნენ ის ჭკუაა, რომელიც დაქტვდა საკუთარ უსაზღვროებაში, მიხვდა, რომ ყველაფერი არაა შეცნობილი და შეუძლებელიცაა შეცნობა; საჭი-

როა რალაციის დამუშება, მიხედვრად, გონის განათება. ამიტომაცაა, რომ სიბრძნით გასხივოსნებული გენიოსი უფრო ხშირად ცდება და ილუზიონებში ესვება, ვიდრე ჩვეულებრივი ჭკვიანი კაცი. ბრძენი პუშკინი ბევრად მიმნდობი იყო, უფრო ხშირად ცდებოდა, ვიდრე რომელიმე ჭკვიანი ვიახუმსკი. ბევრი საერთოდ ვერ ამარწყვდა პუშკინის უღიდვს გინებს; თვით ბარატინსკი, რომელმაც მეგობრებიდან ყველაზე მეტად იცოდა მისი ფასი, 1840 წელს გაოცებული სწერდა ცოლს:

„ვეტსუმერ ქუკოვსკის. სამი საათი ვკითხებ პუშკინის უცნობი, დაუბეჭდავი ლექსები. გასაოცარი მშვენიერებაა, ფორმითაც და სულისკვეთებითაც ახალი. მისი ბოლო ნაწერები ერთთავად გამომირჩენ, როგორ გგონია, რითი? სილწმითა და სიძლიერით“.

სიბრძნის ის აღმაფრენა, ერთადერთხელ რომ უწყალობა პუშკინს თავის მოცარტს, აგრეთვე ვერ შეაფასა (ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად) სალიერიმ. თვით მოცარტიც ტყუილებრალოდ როდი ვკითხება სალიერის, მასწინვე ეთანხმება თუ არა იგი მას, თან გულდიად დასქენს: „განა ასე არ არის?“ რა გასაკვირია — სალიერი ხომ ასე ჭკვიანია. იგი ლოგიკის ვირტუოზია. მისი ფიქრების ჯაჭვი უწყვეტია, რგოლი რგოლს ეჭიდება — ტრაგიკული პარადოქსი ის არის, რომ მოცარტის ცხოვრება და შემოქმედება სალიერიანელობის ლოგიკური სისტემისთვის მხოლოდ არგუმენტი, აბსტრაქცია, ფუნქციაა.

სიტოცხლით სახვე, მზიარულ, ბავშვურად მომხიბვლელ მოცარტს სალიერიმ საკუთარ მსჯელობათა სისტემაში დამადასტურებლის როლი დააკისრა. მოცარტი უნდა დაიღუპოს, რამეთუ ამ სისტემიდან იგი მოკვეთილია.

ასე უცნაურად ამიტომ არის მოფიქრებული პირველი სცენა, — აშკარაა, რომ მოცარტი სხვისი ნების დასტურად შემოდის. გენიოსის მუსიკაც სალიერის დასახასიათებლადაა მიხმობილი, მისი ფსიქოლოგიის გახსნას ემსახურება. სალიერის უსიცოცხლო, უეადრუების მომტან ლოგიკას თვით დრამის პოეტობა უპირისპირდება.

ამავე დროს ეს ლოგიკა წინა პლანზეა წამოწეული.

ტრაგედიის თავისებურება ის არის, რომ მთავარ მოქმედად სალიერი გვევლინება და არა მოცარტი.

ზიზღის მიუხედავად, მისდამი ინტერესი არ გვიჩნდება, ვაკვირდებით მის ყოველ წერილმანს — ავსა თუ კარგს (უფრო სწორად, იმ კარგს, რაც ჩვენს თვალწინ სიავედ გარდაქმნილა).

პუშკინმა მთავარ გმირად აქცია სალიერი, საშუალება მისცა გადმოეშალა მრეწამსი, ეთქვა აღსარება, გასაოცარი ძალმობილებით გამოემქვლანებინა საკუთარი პიროვნება.

მს იმიტომ მოხდა, რომ სალიერის პიროვნებაში ჩადებული იყო ღრმად თანამედროვე აზრი, პუშკინის სულიერი სამყაროსა და ბედისთვის ფრიად მახლობელი.

ვინისის — მოცარტის ან პუშკინის — შეჯახება უსამართლობაზე აშენებულ საზოგადოებასთან, რა თქმა უნდა, აბსტრაქტულ კანონზომიერებად კი არა, კონკრეტულ ფორმებში ვლინდება. ის, რაც ერთი შეხედვით სამსახურებრივ უსამოვნებად, შემთხვევით დევლად, ან კიდევ უიღბლოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, სინამდვილეში გარკვეული კანონზომიერების შედეგია.

ხდება ისე, რომ საზოგადოება, თავისი წრიდან უნებლიეთ გამოსტყორცნის ხოლმე ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც ანასიერებენ მის კონფლიქტს ამა თუ იმ არასასურველ პიროვნებასთან, — თუმცა თვით მათ (დაეწვეათ დანტესმა ან მარტინოშმა) ამაზე არაფერი იციან.

ალექსანდრ ბოლკმა თქვა:

„პუშკინი... დანტესის ტყვიას არ მოუკლავს იგი უპაერობამ მოკლა“.

ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ კანონებს, რომელთა მიხედვითაც მანცდამაინც დანტესი აღმოჩნდა ვარკისი სხვათა ნების აღმსრულებლის როლში. ეს როლი შემთხვევამ არგუნა მას, რადგან შეიძლებოდა არც გადაყროდა პუშკინს, მაგრამ ამავე დროს, არც შემთხვევითი პირი ეთქმოდა. იგი აღჭურვილი იყო იმ თვისებებით, გენისის მოკვლის უფლებას რომ აძლევდა. ყოველ შემთხვევაში, ის თვისებები არ აღმოაჩნდა, რაც ამაში ხელს შეუშლიდა.

ამ ცალკეულ შემთხვევებში საინტერესოა თვით მკვლელი, მისი სულიერი მდგომარეობა, რომელშიც არ არსებობს იმუნიტეტი, ბოროტოქმედების შემაკავებელი ძალა. საინტერესოა მკვლელის საიდუმლო, ფარული კავშირი იმათთან, რომელთა გამოუთქმელ ნებასაც გაუცნობიერებლად ასრულებს იგი.

პუშკინისთვის სალიერი ასეთივე აღმასრულებელია, რა მარტოსულად, ქურუმად და ბედის რჩეულადაც არ უნდა წარმოიდგინოს თავი.

«Ты сам свой высший суд», — ასე შთაბეჭინდება პოეტს (საკუთარ თავს) პუშკინი.

სხვისას ვერ ვიტყვით, სალიერის კი ნამდვილად ჰგონია, რომ ივია უმაღლესი სამსჯავრო, მაგრამ არა საკუთარი თავის, არამედ მოცარტის მიმართ. იგი განმსჯელი და მკაცრია (ზოგჯერ დაუნდობელიც) საკუთარი თავისადმი: პირად დამსახურებასაც ზუსტად აღნუსხავს და არც მანკიერებას მქმნალავს. მისი მსჯელობა მოცარტზე აგრეთვე ლოგიკაა, უკიდურესობამდე მიყვანილი, ყველაფრის განმჩხრეკი ანალიზი. თავის მონოლოგშიც, როცა მოცარტისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს, იგი მკვლელივით კი არ ლა-







პარაკობს, არამედ, როგორც დინჯი მოსამართლე, ვისაც ყველაფერი აწინილ-დაწინილი აქვს. ბრალდებულსაც ჯერონდადა დაფასებული: იგი „ქერუბინადაა“ მიხსენიებული, ხოლო მისი სიმღერები „სამოთხისებურად“. განაჩენიც—უმაღლესი სამართლიანობის სახელით — ხელოვნების სასარგებლოდა გამოტანილი. სწორედ რომ სასარგებლოდ! სალიერი იმეორებს ამას: «Что пользы если Морцарт будет жив?.. Что пользы в нем?»

ეს განმეორება მიგვანიშნებს, რომ გამოთქმა არ უნდა იყოს შემთხვევითი. გარდა ამისა, პუშკინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ გამოთქმას.

Несносен мне твой ропот дерзкий.  
 Ты червь земли, не сын небес;  
 Тебе бы пользы все — на вес  
 Кумир ты ценишь Бельведерский.  
 Ты пользы, пользы в нем не зришь...

ასე მიმართავდა „უპაზრო ხალხს“, ბრბოს პუშკინი 1828 წელს დაწერილ ლექსში.

ამგვარად, საუცხოო ლოგიკოსი სალიერი მაინცდამაინც საკუთარ ენაზე არ მეტყველებს. ისიც ილუზიაა, „უმაღლესი სამსჯავროდ“ რომ მიიჩნია თავი. პირველივე შემთხვევის შემდგომ, „ცივადა“ რომ გაუსწორდა საკუთარი შთაგონების ნაყოფს (ალეგებრის, ლოგიკის, გაანგარიშებული მიზნის გამო). სალიერი საკუთარმა სულიერმა შებოჭილობამ დაატყვევა.

სალიერის უკვე მიაქანებდა მონობის სტიქია — მისი და მოცარტის ზედის გადამწვევტელი; თვითონ კი ლოგიკურად მიანიშნებდა ამ დაუმორჩილებელი სტიქიის მდინარებას.

პირველი სტეფის ფინალში სალიერი ლაპარაკობს იმედზე, მას რომ სასიცოცხლო ძალებს ანიჭებდა:

Что умирать? Я мнил: быть может, жизнь  
 Мне принесет незваные дары;  
 Быть может, посетит меня восторг  
 И творческая ночь и влдохновенье;  
 Быть может, новый Гайден сотворит  
 Великое — и наслажуся им...  
 Быть может, мнил я, злейшей врага  
 Найду; быть может, злейшая обίδα  
 В меня с надменной грянет высоты —  
 Тогда не пропадешь ты, дар Изоры.

აქ შეირწყა მოსისხლე მტრის პოვნისა და მოკვლის იმედი და იმედი საკუთარი შედეგების შექმნისა, ან სხვისი შექმნილი ტკბობისა. გაერთიანდა მკვლელისა და შემოქმედის ოცნება, ოცნება იმ კაცისა, ვინც თითქმის დაემონა ცხოვრების პროზას, რომლის მიხედვითაც მიზნისკენ მიმავალ გზაზე ყველა და ყველაფერი უნდა გადათქერო.

სალიერი რომ საკუთარი ბედის გამგებელი

და თავისი ლოგიკის ერთგული მსახური იყოს, მისთვის უფრო „ხელსაყერილი“ იქნებოდა გაფრთხილებოდა იმ ძვირფას შესაძლებლობას, რათა კვლავ და კვლავ განეცადა ტკბობა „ასალი ჰაიდნის“ — მოცარტის მუსიკით, ვის გენიასაც უსაზღვროდ სცემდა თავყვანს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ სალიერი უკვე აღარ გამოხატავს თავის ლოგიკას. აი, სადამდე მიჰყავს იგი არაბუნებრივ გაორებას:

И я был прав! и наконец нашел  
 Я моего врага, и новый Гайден  
 Меня восторгом дивно уноил!  
 Теперь — пора! заветный дар любви  
 Переходи сегодня в чашу дружбы.

გამოდის, რომ ახლა, როცა მოცარტმა უმაღლესი ნეტარება განაცდევინა სალიერის (და კვლავაც ბედის პირდება), უკვე შეიძლება მისი მოკვლა. დროა!

1828 წელს დაწერილ ლექსში „პოეტი და ბრბო“ მდებარე ასე მიმართავენ პოეტს, წინასწარმეტყველს:

Мы малодушны, мы коварны,  
 Бесстыдны, злы, неблагодарны;  
 Мы сердцем хладные скопши,  
 Клеветники, рабы, глуши;  
 Гнездятся клубом в нас пороки;  
 Ты можешь, ближнего любя,  
 Давать нам смелые уроки,  
 А мы послушаем тебя.

ეს კიდევ „კარგია“ ბრბოა. მან, ისევე როგორც სალიერში, იცის საკუთარი მანკიერებანი. ეს ბრბო (ასე განსაკუთ) გამმუდობისკენ მოუწოდებს პოეტს, შთაგონებს მოყვასის სიყვარულს. იგი მზად არის გამოსწორდეს. ხელს კი არა კრავს პოეტს, თავისკენ უხმობს. მითუმეტეს, გაუგებარია მისთვის, თუ რატომ უარყოფს ზისლით პოეტი მის უტილიტარულ მოთხოვნებს და ვერც გაიგებს, რადან ბრბო მუდამ ბრბოდვე დარჩება, მუდამ დაემუქრება პოეტის შინაგან თავისუფლებას, ხოლო დაქაქულ-გაფანტული კი არ შეეცდება პოეტი დაიხსლოვოს, თავად მოიწოდინებს პოეტამდე ამაღლებას.

ეს კი ნამდვილად შესაძლებელია (და ხელოვნების სანჯვარ მიზანსაც წარმოადგენს):

«Слова поэта суть уже его дела». Они проявляют неожиданное могущество: они испытывают человеческие сердца и производят какой-то отбор в груди человека человеческого шлага; может быть, они собирают какие-то части старой породы, носящей название «человек»; части, годные для создания новых пород...» (ბლუმი).

ამრიგად, ლექსში „პოეტი და ბრბო“ გამოყვანილია „კარგია“ ბრბო, რომელიც პოეტს კი არ კლავს, მის დაყოლიებას ცდილობს. მაგრამ ერ-

თი ნაბიჯიც და ბრბო წინასწარმეტყველს ყველ-  
რების ნაცვლად ქნებს დაუშენს, როგორც ეს ლერ-  
მონტოვის „წინასწარმეტყველში“ ხდება. პუშკინი  
იქ სვამს წერტილს, სადაც საბოლოოდ ირ-  
კვევა, რომ მდაბიოთა და პოეტის მიზნების შე-  
თავსება შეუძლებელია და, საიდანაც იწყებს თა-  
ვის ლექსს ლერმონტოვი.

სალიერის სწორედ იმ ერთ ნაბიჯს დგამს პუშ-  
კინის ლექსიდან ლერმონტოვის ლექსამდე, ბრბო-  
დან, რომელიც პოეტის დაყოლიებას ცდილობ-  
და, გაბორტებულ ბრბომდე, წინასწარმეტყველს  
რომ კლავს. სალიერის საქციელი იმის დადას-  
ტურებაა, რომ ესთეტიკური დესპოტიზმი გარ-  
დუვალად კლავს კულტურას — ამჯერად კი  
კონკრეტული მკვლევლობის მოწმენი ვხვდებით.

(საერთოდ, ტრაგედია „მოცარტი და სალიე-  
რი“ იმ ქუშიარტების კიდევ ერთი დადასტურე-  
ბაა, რომ ესთეტიკა არ უნდა გაითიშოს ეთიკი-  
სგან და რომ პირველზე ძალდატანება მეორის  
მიმართ ძალადობას იწვევს. რაზე მსჯელობენ,  
რაზე კამათობენ ტრაგედიის გმირები? მხოლოდ  
და მხოლოდ ხელოვნებაზე. კამათი კი თავდება  
ეთიკურ დანაშაულთაგან უსამინელესით —  
მკვლევრობით).

ის, რასაც ლექსში ბრბო ერთხმად მოუწოდებ-  
და პოეტს — პოეზიისთვის ბუნებრივი პირო-  
ბითობაა. მსგავსი რამ დრამაში რომ მომხდარი-  
ყო, ამჯერად შეწყობილი გუნდი, ცოტა არ იყ-  
ოს, უცნაური იქნებოდა, პირიბითობა კი — ყო-  
ვლად უადგილო. სალიერის ფიგურა ამ პირობი-  
თობისგან ათავისუფლებს დრამას. იგი ბრბოს  
ხმა, გააზრებული ხმა, ბოლომდე ამბობს იმას,  
რისი ვანცინობიერება და გამოთქმა ბრბოს არ შე-  
ეძლო და მხოლოდ ობიექტურად გამოხატავდა.

სალიერი, როგორც გვახსოვს, არ არის უსინ-  
დისო: დიდხანს ყოყმანობს, ვიდრე მკვლელი გა-  
ხდებოდას. მას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს  
„რჩეული“ შემოქმედის თვისებები — მაგალი-  
თად, შემოქმედებითი თანაგანცდის უნარი. მაგ-  
რამ მოსახდენი მოხდა: იგი უკვე ბრბოს ეკუთვ-  
ნის, მისი აგენტია, მისსავე ლოკივას ემორჩილე-  
ბა. ერთი რამ გაცოცხლებს იწვევს — თვით ის გა-  
რემობა, რომ სალიერის შეუძლია ჩასწვდეს გე-  
ნიალურს, ღვაროს ცრემლი წარმოსახვის ნაყოფ-  
ზე, კი არ ამუხრუჭებს, ზუსტი დარტყმისკენ  
უბიძგებს მას. დარტყმა გამიზნულია, მას კი არ  
ხვდება, ვინც მოცარტზე დაბლა დგას, არამედ  
პირდაპირ მოცარტს.

განა შეიძლება ამაზე მეტი მიონობა, სხვისი ნე-  
ბისადმი ამაზე მეტი მორჩილება?

ეს მოცარტისა და სალიერის შეჯახება კი არ  
არის, არამედ მოცარტისა და მდაბიოთა, გენიო-  
სისა — ბრბოსთან. სალიერი, თვითშეგონების  
უდიდესი უნარის მიუხედავად, უკვე მხოლოდ  
იარაღია, ვერ მიხვდარა, რომ იარაღად გამო-





ყნებისთანავე თავადაც დაიმსხვრევა, განადგურდება.

მოცარტი იმ ბრმა და ბინძური ძალის მსხვერპლი ხდება, პუშკინი საკმაოდ პირობითად „უახრო ხალხს“, „ბრბოს“ რომ უწოდებდა. ეს ცნებები იმდენად სხვადასხვაგვარად ესმოდათ, რომ ბრანზორეული ბლოგი იძულებული იყო განეცხადებინა:

„მართლა გონებალუნიკი და ბოროტი უნდა იყო, რომ გვეჩინოს, თითქოს ბრბოში პუშკინი უბრალო ხალხს გულისხმობდა“.

იმის ასახსნელად თუ ვინ იყვნენ პუშკინის მიერ ნახსენები „ბრბოს“ წარმომადგენლები, ბლოგი წერდა: „...არა დიდებული და არა მდიბინი; არა მწყები და არა ბელტები, არა ნისლის ნაფლეთები და მეტკორები, არა დემონები და ანგელოზები. ნაწილად „არას“ დაურთველად იმათვე ერთი რამ შეიძლება ითქვას: ისინი ადამიანები არიან. ეს არც მაინცდამაინც საქმებარია: ადამიანები — საქმოსნები და უხამსები; მათი სული უნუგემოდ დაუგმანავს „ამქვეყნიურ ამო საზრუნავს“.

მოცარტთან შესვედრამდე, მასთან საბოლოო შეჯახამდე, სალიერი, ისევე, როგორც ბრბო, რადაცით „კარგი“ იყო. როგორც ვხედავთ, ავი და კარგი მასში სიღრმეა ზღვარიანთა გამიჯნული, რაც საკუთარ ღირსებას აგრძობინებს. „გონისთვის მიუწვდომელმა“ მოცარტის არსებამ კი ეს ზღვარიც წაშალა. არა საქმოსანი და უხამსი (პირიქით, ისინი კიდევაც სხადლა) სალიერი ისევე ხელყოფს მოცარტის შინაგან თავისუფლებას, როგორც ამას საქმოსნები და უხამსები სჩადიან.

პუშკინისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მკვლელი არაა მანიაკი, დაბადლებით ბოროტმოქმედი, არამედ ჯანმრთელი ფსიქიკის, სასეებით ნორმალური ადამიანი, უფრო მეტიც, „ხელოვნების თავყანსაცემად“ დაბადებული. პუშკინი ექსპერიმენტატორის ჟინით ამოწმებს საშუალო პიროვნების არაჩვეულებრივებას, გენოსთან შეჯახებას. სწადია გაგება — რამდენად მდგრადია წყობა, სურს ჩასწვლეს ადამიანთა დაუნდობელი გულქვაობის მიზეზს მათთვის გაუგებარისა და მიუწვდომელის მიმართ; უნდა დაამტკიცოს უნდობლობის პოტენციური დანაშაულებრიობა, გამოსატოს გათიწვლობის ტრავმალი.

მხოლოდ პუშკინმა როდი გაიმეორა თავისი ტრავმალის გმირის, მოცარტის ბედი. სალიერის მემკვიდრედ დანტეს მოგვევლინა.

რუსული გენიის, პუშკინის მკვლელი, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ შეედრება სალიერის — ერთ-ერთ უძლიერეს მხატვრულ სახეობასან შექმნილს მისი მსხვერპლის მიერ და მანაც, საოცარი და კანონზომიერი რამ მოხდა.

...იური ოლუმა წერდა:

„სადურის უფროსი, რომლის ოთახში და სა-

წოლზეც ლევ ტოლსტოი გარდაიცვალა, გვარად იხოლინი იყო. ამ შემთხვევის შემდეგ იგი ტოლსტოის მიმდევარი გახდა, მერე თავი მოიკლა.

რა გასათვარია ბედისწერა! — განაგრძობს ოლუმა. — წარმოიდგინეთ, ხართ მზვიად ოჯახში, შინაურებთან, თქვენი საქმით გართული, არაფერი განსაკუთრებულისთვის არ ემზადებით და უეცრად, ერთ მწვენიერ დღეს, იღება კარა და შემოდის ლევ ტოლსტოი, ხელჯობანი, არ-მიაგი აცვია, შემოდის „ომისა და მწვიდობის“ ავტორი, წვება თქვენს საწოლზე და რამდენიმე დღეში კვდება. ამან მართლაც შეიძლება კაცს ცხოვრება აურისი და თავიც მოაკვდინოს“.

ზემით მოყვანილი სიტყვები იმ კაცევა ნათქვამი, ვის სახლშიც (ესა და ეს!) ტოლსტოი გარდაიცვალა. აი, რას იწვევს გენიოსის შესება ჩვეულებრივი მოკვდავის ბედთან. რადა უნდა ითქვას გენიოსის მკვლელზე — თუცა არა ისეუ შეგებულზე, სალიერი რომ იყო, არამედ თითქმის შემთხვევით პირზე, როგორიც დანტესია.

დღეში გასულმა, რაც იმ დროს კომპოზებრივი ამბავი იყო, ესროლა და დასცა მეტოქე. დანტესი ყველაზე მეტად იმან აღაშფოთა, რომ რუსეთში წარმატებით დაწვეული კარიერა ჩაეშალა და საზღვარგარეთ გაასახლეს. წარმოდგენაც არ შეეძლო იმისა, თუ რა მიიმოქმედა.

მარინა ცვეტაევა წერდა:

«Дантес, красавец, кавалергард; смогший на прощальные слова Пушкина со смехом ответить: «Передайте ему, что я его тоже прощаю!»»

ცოტა ქვემოთ იგი განაგრძობდა:

«Дантес жил — Пушкин рос... Убийца в нем (в Дантесе — С. Р.) рос по мере того, как выростал — вопне-убитый. Дорос ли Дантес до простого признания факта? Кто скажет? Во всяком случае, далеко от кавалергардского смеха до последнего, что мы знаем о нем, — стариковского: «Нечистый попутал»»

დანტესის სიკვდილის შემდეგაც მისი შთამომავლები მინებდნენ ცოდვას და თავს იმართლებდნენ. მთელს ოჯახს დანაშაულის კომპლექსი გაუჩნდა.

ვევადით (რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს) გვეუთო დანტესსაც. ამის მაგალითი თვით პუშკინმა მოგვცა, ყურადღებით რომ მოუსმინა საძუველ სალიერის; ზიზღი კიდევ უფრო ამაძვრებდა მის ინტერესს.

შეძლო კი ნორმალურ, ჩვეულებრივ ქარავშუტას, დამბაჩომარჯვებულს, წარმოედინა, რომ კავალერგარდის ღირსებას კი არ იცავდა, დანაშაულს სჩადიოდა, და არა დუელის ამერძალველთა, არამედ ხელოვნების, რუსეთის, მიე-ლი კაცეობრიობის წინაშე? შეეძლო კი ვფიქრა დანტესს, რომ წლების მერე სალიერიანული გახდებოდა, თავის მართლებას მოპყვებოდა, და

იძულებული იქნებოდა შეეცნო მის მიერ ჩადენილი ბოროტება?

ამაზე პასუხი დუელის დამთავრებისთანავე გავცე ლერმონტოვმა:

«Не мог шадить он нашей славы; не мог понять в сей миг кровавый, на что он руку поднимал!..»

ჭაბუკი ლერმონტოვისთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ დანტესი მხოლოდ იარაღი იყო „თავისუფლების, გენიისა და დიდების“ ჯალათთა ხელში. და სწორედ მათ დაატყუა მთელი თავისი რისხვა.

მხოლოდ დანტესისთანა არაარაბა როდი შეიძლებოდა ქვეულიყო იმ ძალის იარაღად, უპაწირობით სულს რომ უხუთავს და კლავს პოეტს. ასეთი იარაღი გახლდათ თუნდაც მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება გრაფი ვორონცოვი.

მისი სახელის სხენებაზე რა გვახსენდება უპირველეს ყოვლისა? რა თქმა უნდა, პუშკინის ეპიგრამა:

Полу-герой, полу-невежда,  
К тому ж еще полуподаец!  
Но тут однако ж есть надежда,  
Что полный будет наконец.

თვით ალუპკის საქვეყნოდ ცნობილ ვორონცოვისეულ სასახლეში, მისი ყოფილი პატრონის საპარადო პორტრეტის გვერდით, წაიკითხავთ ამ ავბედიტ სტიქიონებს.

არაფერია იმაზე ადვილი, რომ საკამათო გახადო ეს სიტყვები: «Полу-герой, полу-невежда». ვორონცოვს ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. თვით ტოლსტოი, რომელსაც პუშკინზე არანაკლებად სძულდა იგი, „პაჟი-მურატში“ ასე წერდა:

«Воронцов Михаил Семенович, воспитанный в Англии, сын русского посла, был среди русских высших чиновников человек редкого в то время европейского образования...»

არაერთხელ აღუნიშნავთ (მათ შორის კუტუზოვსაც) მისი მხედრული სიმამაცე. გიორგის სამი ჯრიდან ერთ-ერთი ჯერ კიდევ კავკასიაში სამსახურის დროს, 1803-1805 წლებში, მიიღო, როცა დაჭრილი ამხანაგი ცეცხლის საზიდან გამოიყვანა. ბოროდინის ველზე, ბაგრატიონის ფლემებს რომ იცავდა, ხელჩართულ ბრძოლაში მიიმეღ დაიჭრა. ამის მერე, მოსკოვში დაბრუნებულმა, საევაკუაციოდ გამჟღადებული თავისი დიდძალი ქონება რომ დაინახა, ბრძანა საზიდურები დაეცალათ, ზედ დაჭრილები დაასმევინა და ყველანი ვორონცოვების მამულში გაგზავნა; სამას ჯარისკაცსა და ორმოცდაათ ოფიცერს ომის დამთავრებამდე მკურნალობდნენ.

ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ვორონცოვი ძალზე ლმობიერად ექცეოდა ჯარისკაცებს, კრძალავდა ფიზიკურ დასჯას. არაერთხელ შე-





პაექრები მისდამი არცთუ კეთილად განწყობილ აღუქმანდრე პირველს. ნოვოროსისკის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულმა დიდი ამაგი დასდო ამ კუთხეს: ყირიმში დანერგა მევენახეობა, გაიყვანა ფართო შარაგზეზი; მის დღეს ოცეა მდიდარი სავაჭრო ნავსადგური გახდა. თავისი კანცელარიის ხელმოქმედ ჩინოვნიკებს საკუთარ ხელფასს უნაწილებდა, — ეს რა თქმა უნდა, არაფერს დააკლებდა მისი მიმდირის პატრონს, მაგრამ ხომ იყვნენ სხვა მდიდრებიც, რომლებიც ასე არ იქცეოდნენ.

ვინ იცის, იქნებ ასეთადაც დარჩენილიყო ვორონოვი ჩვენს წარმოდგენაში? უცხრად (ისევ ეშმაკის ცდუნება) მის აყვავებულ სამფლობელოში ჩამოიღის გადმოსასულელი პოეტო, ბჭი, რომელიც თავის ლექსებს, ასე გასინჯავთ, სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე მალა აყენებს და გული მოსდის, როცა, დიდი პოეტის ნაცვლად მასში წვირილ მიხვებს ხედავენ და მისდამი დახმარების სურვილიც კი დამცირებად მიიჩნია.

განა ვორონოვს ამგვარი ფიქრის უფლება არა ჰქონდა? ბოლსა და ბოლსა. წინა მოვონილი ხომ არ იყო ის საფუძვლები, რაზედაც იერარქიული საზოგადოება იყო დაშენებული? პუშკინს აზრადაც არ მოსვლია ანგარიში გაეწია ვორონოვის შესხედულებებისთვის, მაშინვე „ნახევრად გაიძიერა“ უწოდა და მალე მთლიანს ტიტულიც მიაკერა:

«Мы не хотим быть покровительствуем равными. Вот чего подлец Воронцов не понимает. Он воображает, что русский поэт явится в его передней с посвящением или с одию...»

არ გაუმართლა ვორონოვს? ისიც ეშმაკმა აცდუნა? ალბათ. პუშკინი რომ არ გადაყროდა, შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო, ისევე, როგორც სალიერის ბედიც სხვა მხრივ წარინართებოდა, მოცარტი რომ არ გამოჩენილიყო. მაგრამ შეხვედრა შედგა და ბრწყინვალე გრაფი, თავიერად დატყვის მსჯავსად, ბრბოსა და ამ ხროვაზე დამყარებული რუსეთის თვითმპყრობელობის ბრმა იარაღად იქცა.

ვორონოვის „მარცხი“ შემთხვევითიცაა და კანონზომიერიც. ყველა დიხტების მიუხედავად, იგი ერთვულად ემასწერებოდა იმ ძალას, პუშკინს რომ სულს უსუთავდა. სწორედ ამ როლის შესაფერსად ადგილი მიუჩინა პუშკინმა მას ჩვენს წარმოდგენაში.

„მოცარტი და სალიერი“ იყო ის დრამა, რომლითაც პუშკინმა თავისი სიკვდილის შემდგომი გამარჯვება იწინასწარმეტყველა.

ალოგიკურობამ, უვალდეს სიბრძნეს რომ აზარა მოცარტი, დამსხვრია სალიერის ლოგიკა და გამარჯვების ნაცვლად დამარცხება იწინა:

...но ужель он прав,

И я не гений? Гений и злодейство

Две вещи несомнестные. Неправда: А Бонаротти? или это сказка Тупой, бессмысленной толпы — и не был Убийцею создатель Ватикана?

ტრაგედიის ბოლო სტრიქონებში, როგორც აუცილებლობა, გამოჩნდა „კონენაზლუნგი, უაზრო ბრბო“, რომლის აგენტიც, თავისდაუნებურად და შეუცნობლად, გახდა სალიერი.

ეს ის ბრბოა, პრაგმატულად რომ უყურებს ხელოვნებას და პოეტულ თავის მსჯავსა და სარგებლობის მომტან ქურუმს ხედავს; სწორედ მან მოიგონა (ან თავი დააჯერა), რომ ერთ კაცში, მიქელანჯელო ბუნიარტინი, ერთად შეიყარა „გენიალობა და ბოროტმოქმედება“. მისი აზრით, სხვაგვარად ამა როგორ შეიძლებოდა? ბრბოს მიიჩნია, რომ ხელოვანი, პოეტო მასზე მაღლა არა დგას, თუნდაც „ღმერთის რჩეული“ იყოს. ფიქრობს, რომ პოეტსაც იგივე მანკიერებანი აქვს, რაც მას გაჩანია.

ისევ გვახსენდება აზრი, პუშკინს რომ ტანჯავდა:

«Толпа... в подлости своей радуется унижению высокого, слабости могучего. При открытии всякой мерзости она в восхищении. Он мал, как мы, он мерзок, как мы! Врёт, подлости: он и мал и мерзок — не так, как вы — иначе!» (1825 წლის შუა ნოემბერში ვიასესკისადმი გაგზავნილი წერილი).

უცხრად სალიერი ხედება, რომ ლოგიკა, რომლის მიხედვითაც ერთ პიროვნებაში შეიძლება არსებობდეს ხელოვანი და ბოროტება, ნაწილად „კონენაზლუნგი და უაზრო“ ბრბოს ლოგიკაა.

აქ იგი მართალია.

V

ჰქლკმდა რა საკუთარ ბუნებრივ ნიჭს, სალიერის ეგონა სრულყოფიდა, გენიალობამ დე აყავადა იგი. სინამდვილეში კი ხდებოდა სულ სხვა რამე; სალიერი ზეკაცის უფლებებს იჩენებდა.

ცნებები გენიოსისა და ზეკაცისა პოლარულ ცნებებია და მათი პოლარულობა, უპირველეს ყოვლისა, უსწრაში ვლინდება. გენიოსი — ადამიანობის განსახიერებაა. იგი ადამიანებთან, სიცოცხლესთანა დაკავშირებული და მთლიანად მათ ეკუთვნის. შთაგონების ფრთებით მფორლავე, არად აგდება რა „საძულველ სარგებლიანობას“, იგი ადამიანებისთვის ქმნის და ცხოვრობს, ახალ სიერეებს შლის მათ წინაშე, იდებებს უქმნის, სულიერად ასებტავებს — «глаголом жжет сердца людей». კაცობრობასთან მისი შეჯახებაც იმის შეგრძნებითაა გამოწვეული, რომ ადამიანები ჯერ კიდევ ვერ დაახლოვებანი მის გულში ნატარებ იდეალს, რომ ბევრად უკეთესი უნდა იყვნენ, ვიდრე არიან. ამ შეჯახებაში, გულის-

წერომაში, სიძულვილით ჩანს, რომ იგი ხალხის კუთვნილებაა.

ზეკაცს, პირიქით, მიაჩნია, რომ ხალხი ამისთვის განკუთვნილი; თვითონ მწვერვალია მიზანი, ისინი — საშუალება.

„ადამიანი ბაგირია ცხოველსა და ზეკაცს შორის — ბაგირი, უფსკრულის თავზე დაჭიმული. სახიფათოა გავლა, სახიფათოა დარჩენა, სახიფათოა უკან მიხედვა, სახიფათოა შიში და შეყურება.

ადამიანში მთავარი ის არის, რომ იგი ხილია და არა მიზანი; ადამიანში ყველაზე მეტად ის შეიძლება გიყვარდეს, რომ იგი გზაა განადგურებისაკენ“.

ნიცმეს ამ სიტყვებში, მიუხედავად ქედმაღლური ანტიუტილიტარობისა (ასე რომ გვაგონებს სალიერის მედიდურობას), საბოლოო ჯამში მაინც სარგებლიანობის კულტი გამოსჭვივის. ადამიანს არა აქვს თავისთავადი ღირებულება, იგი სასარგებლო, ან მავნეა, ვარგისი, ან უვარგისია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად საჭიროა მომავალი ზეკაცის შესაქმნელად, ვინც ერთადერთი „ამართლებს მთელი ათასწლეულების არსებობას...“

მოკარტი მხოლოდ „ხილია“ იმ იდეალისკენ, სალიერში თავის წარმოსახვაში რომ შექმნა. თუკი ეს ხილი უვარგისია, ნება გექმევა და საჭიროცაა — ჩაანგრეთ.

ვარგისიანობასა თუ უვარგისობას, სარგებლობის გაწევას ნიცმე ზნეობრივ პრინციპებზე მაღლა აყენებდა, უფრო სწორად, სრულიად თიშავდა ზნეობისკენ:

„ღიადი მიზნის პატრონი სამართლიანობაზე მაღლა დგება, რომ არაფერი ვთქვათ მის საქციელსა და მსაჯულებზე“.

დიდი შთაბეჭდილებით გამოთხოვნის სოხუმელ კოლეგებსა და აფხაზ მშრომელებს სტუმრები.

სსრკ სახალხო არტისტი ა. ვასაძე: „უკვე ხნიერი ვარ, მაგრამ აფხაზ მეგობრობთან პირველად მომიწია ასეთმა შეხვედრამ. რა დიდებულ სიმაღლებს მაიღვია საბჭოთა აფხაზეთის კულტურამ კერძოდ თეატრმა მე იმათ შორის ვიყავი, ვინც ხელს უწყობდა მის განვითარებას. ახლა კი მისი არანაშული აღმაფრენის მოწმე ვაგხვდი. ამაში დამარწმუნა აფხაზეთის თეატრის სექტაკლმა „თეთრი ბაიროლები“ და ისეთმა მსახიობებმა, როგორც არიან: ვ. კოევა, ნ. კამეია, რ. აგრბა და სხვა დიდად ნიჭიერი არტისტები“.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. ჭიაურელი: „ასე გამოხატავ ჩენს დამოკიდებულებას ამ დიდ კულტურულ მოვლენასთან: ესაა სიყვარული და აღფრთოვანება. დაფრწუნდი, რომ ჩვენ უფრო ხშირად უნდა შევხვედეთ ერთმანეთს, გვრანის საშუალებით კი არა, არამედ ასე პირისპირ — მუშათა აუდიტორიაში, საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო ველებზე“.

ეურნულ „ციცინის“ რედაქტორი ვ. ჩარკვიანი: „მიანირა ვაგყვება ამ თიხი დღის შემდეგ, რომლებმაც აღმაფრთოვანეს? ახალი ლექსები და ახალი თვალთი დაწახული აფხაზეთი. ლექსები გულში მაქვს და ისინი მალე ქალღალღზე ასმოვანდებინ ქართველი მკითხველისთვის, მათთვის ვისაც უყვარს ეს ზღაპრული მხარე, მისი შესანიშნავი ადამიანები“.

#### გოგი თოთბაძე



ჩვენს საუკუნის 20-იანი წლებისთვის საქართველოში მოღვაწეობდა პროფესიონალ მხატვართა და მოქანდაკეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ხოლო ახალგაზრდა თაობის ინტერესი ხელოვნებისადმი თანდათან სულ უფრო ღვივლებოდა. დამწეები მხატვრები ილტვოდნენ პროფესიული მხატვრული განათლების მისაღებად. ქართული კულტურის განვითარების აუცილებელ პირობად ისახებოდა უმაღლესი სამხატვრო სკოლის დაარსება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ქართული ხელოვნება პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომეული ზრუნვისა და მხარდაჭერის საგანი გახდა. ამის ნათელი გამოვლენა იყო ის, რომ 1922 წელს თბილისში დაარსდა სამხატვრო აკადემია, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართული სახეითი ხელოვნების აღორძინებასა და განვითარებას.

სამხატვრო აკადემიამ შემოიკრიბა საქართველოში მცხოვრებ მხატვარ-შემოქმედთა საუკეთესო კადრები. საკმარისია ჩამოვთვალოთ ჩვენი კულტურისთვის საამაყო სახელები: ვიორჯი ჩუბინაშვილი, ვიგო გაბაშვილი, ვევენი ლანსყე, იაკობ ნიკოლაძე, ელიშე თათვეოსიანი, იოსებ შარლემანი და სხვები. აკადემიას მიაშურა მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომელთაგანაც შემდგომ შეიქმნა ქართველ საბჭოთა მხატვართა პირველი თაობა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ არსებობის 50 წლის მანძილზე აღზარდა ქართველ მხატვართა არაერთი თაობა, რომელთა შემოქმედებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ხელოვნების მრავალფეროვანი ჟანრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სამხატვრო აკადემია ამ წლების განმავლობაში აღრმავებდა ქართული ეროვნული კულტურის მდიდარ ტრადიციებს, მუდამ იღვა თანამედროვე რეალისტური ხელოვნების მოწინავე პოზიციებზე, იცავდა და იცავს სოციალისტური რეალობის სკოლის პრინციპებს.

დღეს საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებითი კოლექტივი თითქმის მთლიანად ჩვენი აკადემიის აღზრდილთაგან შედგება. ამავე აკადემიის მრავალი კურსდამთავრებული წარმატებით მოღვაწეობს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში. აკადემიის აღზრდილთა შორის არიან საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო მხატვრები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, დამსახურებული მხატვრები, ბევრმა მათგანმა მოიპოვა სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მუდამ იყო პარტიისა და

მოაზრობის ყურადღების საგანი. სწორედ ამან განაპირობა ის მნიშვნელოვანი ძეგლები, რაც 60-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო სამხატვრო აკადემიის ტრადიციულ განყოფილებებს (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, კერამიკა) შემატა მთელი რიგი განყოფილებებისა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგში. ჩვენი აკადემია გიზარდა, გაფართოვდა და გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე მრავალდარგოვან უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლად. იგი დღეს ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია ამიერკავკასიაში, რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებს, არა მხოლოდ დაზგურ ხელოვნებასა და არქიტექტურაში, არამედ დეკორატიულ-გამოყენებითსა და სამრეწველო ხელოვნებაშიც. აკადემიაში არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბდა სურთომძღვრებისა და ფერწერის ძველთა რესტავრაციის განყოფილებები, რაც უდიდეს სამსახურს გაუწევს ჩვენი კულტურის მონაწილართა გადარჩენისა და შემონახვის საქმეს. ამას გარდა, აქ გაიხსნა ხელოვნებთმცოდნეობისა და პედაგოგიკის განყოფილებები. ამრიგად სამხატვრო აკადემია ზრდის არა მარტო მხატვარ-პრაქტიკოსებს, არამედ ხელოვნებთმცოდნეებსა და მხატვარ-პედაგოგებსაც. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაივ მნიშვნელოვანი აღგზილი ეთიბა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ჩვენი კულტურის მომავლის მშენებლობაში.

სამხატვრო აკადემიის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არაერთ საკავშირო და საერთაშორისო გამოფენასა თუ კონკურსზე მიენიჭათ მაღალი ჯილდო და დიპლომი. მხოლოდ უკანასკნელი წელი წლის მანძილზე აკადემიის აღზრდილებმა მიიღეს ორმოცდაათზე მეტი პირველი და მეორე ხარისხის დიპლომი, ხილო პრადი, ბუენოს-აირესისა და პარიზის საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისთვის — ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი.

სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მრავალი სადიპლომო ნამუშევარი-მინუმეტი დიდგა მოსკოვში, თბილისში, სოხუმსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. სამხატვრო აკადემიის დიდი დამსახურებაა, რომ ქართული თეატრალური ფერწერის სკოლა ჩვენი ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანია. აკადემიის აღზრდილნი შეადგენენ ჩვენი თეატრალური მხატვრობის ძირითად ბირთვს. მტკიცდება და ვითარდება სამხატვრო აკადემიის დიზაინერებისა და მხატვარ-დეკორატორების საქმიანი კონტაქტები რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ საბროექტო დაწესებულებებთან, წარმოებასთან. ფართო პოპულარობა მოიპოვა აგრეთვე ქართულმა მხატვრულმა კერამიკამ, რომლის კერადეც სამართლიანად ითვლება თბილისის სამხატვრო აკადემია.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა შემოქმედებითისა და სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში. გამოიქცა, ან გამოსაცემად მზადდება სახელმძღვანელოები და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა სპეციალურ და დამხმარე დისციპლინებში. დღეს აკადემიის კვლევითი მოღვაწეობენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები, დოცენტები და მეცნიერებათა კანდიდატები. საამაყო, რომ აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა თვით ამ აკადემიის აღზრდილი ეროვნული კადრებია.

ტრადიციად იქცა, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში მუდამ სწავლობდნენ მომე ერთა შვილები. დღესაც ჩვენი აკადემია მრავალ მომე რესპუბლიკას უზრდის შემოქმედებით კადრებს. თბილისის სამხატვრო აკადემიის მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებს, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებთან, ასევე რივ საზღვარგარეთის სამხატვრო სკოლებთან.

დღეს, როცა თბილისის სამხატვრო აკადემია აჯამებს ნახევარსაუკუნოვან გზას, აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი კიდევ უფრო მეტი ენერჯითა და შემართებით ემსახურება ახალგაზრდა შემოქმედთა აღზრდის ძნელ, პასუხსაგებ და, ამავე დროს, საამაყო საქმეს.





თბილისის სამხატვრო აკადემია.

# დაუვინწყარი შეხვედრები

ანა ალღაძე

თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგთა ერთი ჯგუფი. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში: ი. პატარიძე, რომანიშვილი; მეორე რიგში: შ. მაყაშვილი, ე. ჭავჭავაძე, ნ. კანდელაკი, თ. აბაქელია, შ. თოიძე, დ. ცაქაბაძე, ვ. პეტუხოვა-გაბუნია, ლ. გუდიაშვილი; დგანან: ა. ქუთათელაძე, ს. მაყაშვილი, დ. წერეთელი, კ. სანაძე, ა. აკოპიანი, ნ. ჟამბერაშვილი. 1927 წლის ფოტო.



ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, მავრიტანული სტილით ნაგებ სახლში, დასაბამი მიეცა საბჭოთა საქართველოს ახალ სახვით ხელოვნებას.

ეს იყო 1922 წელს. მანამდე კი ამ შენობაში სხვაგვარი ცხოვრება ჩქეფდა...

დროთა განმავლობაში სახლის პატრონებმა მოხატულ-მოკაშმულ ოთახებში მდგმურები ჩაასახლეს. ერთხანს ამ სახლში საკონცერტო დარბაზიც იყო მოწყობილი. სწორედ აქ შედგა პირველად მაშინ დამწყები მომღერლის, შემდგომ კი სახელგანთქმული თეოდორე შალიაპინის საჯარო გამოსვლა.

დრო მიდიოდა... ხუნდებოდა საღებავები მოხატულ ტერზე, ცვიოდა მოზაიკა, იბინდებოდა სარკიანი კედლები...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წელსვე ძველ სახლში პირველი ნაბიჯები გადადგა თბილისის სამხატვრო აკადემიამ — საბჭოთა საქართველოს პირმომ. ფართოდ გაიღო მიმე კარი, ოთახებში მზის შუქი დაიღვარა. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა აახმარეს ყოველი კუნტული გან-



თბილისის სამხატვრო აკადემიის ახალი კორპუსი.

და მოღებრები, დაბალი სკამები, პალიტრები, ფურჯები, საღებავები...

ეზოში აგებულ სათავსებში კი დამწყებმა მოქანდაკეებმა დაიდეს ბინა. სახლის სახურაე-ქვეშ, პატარა ოთახში, მანსარდას რომ ჩამოგაე-და, მომავალი არქიტექტორები ხუროთმოძღვრუ-ლი ხელოვნების საფუძვლებს ეცნობოდნენ. ერთ-ერთი დიდი დარბაზი ფიზკულტურული ვარჯი-შისთვის მოეწყო.

აკადემიის საფუძვლის ჩამყრლები გახდნენ მაშინ უკვე ცნობილი მხატვრები: გიგო გაბაშვი-ლი, ვეკუნი ლანსერე, იოსებ შარლემანი, პენის გრინფესკი, ელიშე თათევისიანი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, არქიტექტორები: ანატოლი კა-ლგინი და ნიკოლოზ სვერიოვი... აკადემიის პი-რველ რექტორთან გიორგი ჩუბინაშვილთან ერ-თად მათ მკვიდრ ნიდაგზე დააყენეს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების გზა.

პედაგოგთა შორის უსუცხი იყო ახალი ქარ-თული რეალისტური ხელოვნების ფუძემდებელი გიგო გაბაშვილი. მე მას პირველად 1935 წელს შევხვდი. მაშინ იგი პენისაზე იყო, აკადემიაში კვირაში ერთხელ მოდიოდა და სტუდენტებს კონსულტაციებს უტარებდა.

გიგო გაბაშვილი აქვე, აკადემიის ეზოში ცხო-ვრობდა ძალზე უბრალოდ და კარნაკეტილად. მა-გრამ სიამოვნებდა, როცა ვინმე ესტუმრებოდა ხოლმე. საკუთარ თავზე ძუნწად ლაპარაკობდა, ძალიან უყვარდა დავით კაკაბაძე, რომელიც უნიჭიერეს მხატვრად მიაჩნდა. დიდბუნებოვანი ადამიანი იყო. ეს ჩანდა მხატვრებთან, ადა-მიანებთან ურთიერთობაში, მშობლიური ხალხი-სა და ქართული ბუნებისადმი სიყვარულში.

გიგო გაბაშვილის მოწაფეები თავიანთ პედა-გოვს იგონებენ, როგორც გულისხმიერ და მზრუ-ნველ ხელმძღვანელს, რომელიც აკადემიაში მო-სვლის პირველი დღიდანვე არა მარტო შეა-ჩინებდა და გამოავლენდა ხოლმე ნიჭიერ მხატ-ვარს, არამედ მატერიალურადაც ესმარებოდა. მსცოვან ხელოვანს ასსოვდა, თუ რა გაჭირვები-თა და მუდმივი შრომით მიიკვლევდა თვით იგი გზას მაღალი შემოქმედებისაკენ.

მახსოვს 1936 წლის ერთი საღამო. აკადემია-ში სტუდენტთა თვითმოქმედების კონცერტი მიმ-დინარეობდა. დარბაზში თბილოდა, მაგრამ გიგო გაბაშვილი პალტოში გახვეული იჯდა. მოვიკით-ხე. — თავს ცუდად ვგრძნობო, — წყნარად მი-

პასუხა და გაიღიმა. მასსული მისი დალოლიო, სვედიანი თვალები, კეთილი ღმობილი... მუდამ ყურადღებობით უსმენდა ხოლმე მხატვრებს, აინტერესებდა სტუდენტთა შემოქმედებით საქმიანობა. სიოცხლის უკანასკნელ ხანს გ. გაბაშვილი მუშაობდა ახალ ტილოზე „მოსავლის ზეიმი“ და საეტუდო მასალისთვის რამდენიმე დღის შემდეგ ციხისძირში გაემგზავრა. მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულა, სურათი დაუშთავრებელი დარჩა.

ევგენი ლანსერეს მოსვლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში შემთხვევითი როდი იყო. იმ წლებში მხატვარი ფართო შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა კავკასიაში და, რაც მთავარია, საქართველოში. იგი უაღრესად განათლებული ადამიანი, ფართო დიპლომატიური შემოქმედი, ნახატის, ფერწერის, თეატრალურ-დეკორაციული და მონუმენტური მხატვრობის ბრწყინვალე ოსტატი იყო, ამასთან, — მახვილი სატირიკოსი და ნიჭიერი არქიტექტორი.

როცა ლანსერე საქართველოდან გაემგზავრა, მრავალრიცხოვან მოწაფეებში დაუფრწყარი მოგონებანი დატოვა. შესანიშნავმა ხელოვანმა ღრმა კვალი გაავლო ქართული საბჭოთა სახეითი ხელოვნების განვითარებაში.

აკადემიაში მოღვაწეობის დროს ევგენი ლანსერეს ხშირად ვხვდებოდი. მხატვარი მსუბუქი ნაბიჯებით დადიოდა, ოდნავ თავაწეული, ინტერესით უმზერდა გამქედილთა სახეებს. პიჯაკის ჯიბეებში კი ყოველთვის ეწყო ბლოკნოტები—მუდამ მუშაობდა, იხატავდა, ქნიდა...

გულთბილად მაგონდება გრაფიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელი ისევე შარლემანი—თხელთხელი, ტანადი, თითქმის მუდმივად სახითი, უჩვეულოდ ღია ცისფერი თვალებითა და ნიკაბთან შუაზე გაყოფილი წვეთით იგი ხომალდის კაპიტანს უფრო ჩამოგავდა. ამ მზავსებას აძლიერებდა ქათუთა თეთრი შავსაჩინიანი ქუდი, რომელსაც მუდამ ატარებდა თბილ დღეებში. ზამთარში კი კრაველის ფაფახი ეხურა და კრაველისავე საყლოიანი პალტო ეცვა. საბიჯიო ჯიბით დადიოდა. უნებო ადამიანს იგი, შესაძლოა, შეცნობდა და უკარგებდა მოჩვენებრივად, მაგრამ საკმარისი იყო გამოლაპარაკებოდი, რომ ეს შთაბეჭდილება წამსვე ქრებოდა, იმდენად მიმზიდველი, გონებასახილი მოსაუბრე გახლდათ. სტუდენტებთან თავი უბრალოდ ეჭირა, ყველასთან ერთნაირად თავაზიანი იყო. სტუდენტებიც დიდ პატივს სცემდნენ, როგორც მაღალი კულტურის შემოქმედს, მეტად ფაქიზსა და გულისხმიერ ხელმძღვანელს.

ისევე შარლემანი 1917 წელს ჩამოვიდა საქართველოში. იგი დაუცხრომელი ინტერესით სწავლობდა ქართული კულტურის ძეგლებს,

ბევრი მოგზავრობდა. ცოლად ქართველი ქალი შერთო და სამხატვრო აკადემიის დარსების დლიდან, დიდ შემოქმედებით შრომასთან ერთად, მხატვართა კადრების აღზრდას ემსახურებოდა.

ი. შარლემანი არასოდეს უწუნებდა ნამუშევარს ახალგაზრდა მხატვრებს: — არაუშვა რა, ცუდი როდა! — ჩვეულებრივ ეუბნებოდა ხოლმე იგი სტუდენტს, როცა მის ნახატს ათავალიერებდა. მეტე კი, ძალიან ფრთხილად მიპაყრობდა მოწაფის ყურადღებას ნახატის ნაკლოვანებებზე. ზოგჯერ პედაგოგის გამხდარი, მეტყველი თითები კარგად გათლილ ფანქარს მოიმარჯვებდნენ (რომელსაც მხატვარი მუდამ თან ატარებდა), რათა ახალგაზრდას გაადვილებოდა ამოცანის დაძლევა.

თითოეული მათგანი აინტერესებდა, ამიტომაც ყველა თავის მოწაფეს კარგად იცნობდა. არასოდეს გულგრილი არ იყო მათი საარსებო პირობებისა და პირადი ცხოვრებისადმი. შეუღლებისდაგვარად ცდილობდა ყველას დახმარებოდა.

შარლემანს მშობლებიც მხატვრები ჰყავდა, პატარაობიდანვე ხელოვანთა საზოგადოებაში ტრიალებდა და ძალიან უყვარდა ხატვა. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იტალიასა და საფრანგეთში იმოგზავრა, გატაცებით სწავლობდა გამოჩენილ მხატვართა ნიჭის გრაფიკას. შემდეგ მის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა გრაფიკული ხელოვნების ამ დარგმა, თუმცა მხატვარი არანაკლები წარმატებით მუშაობდა დაზგურ გრაფიკაში და თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობაში.

მის დაზგურსა და წიგნის გრაფიკაში აისახა ქართული თეატრიკა. მან გემოვნებით გააფორმა მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, გ. ბარნოვის „გოროზი სააკაძე“ და სხვ.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში შევხვდი ქართული საბჭოთა ქანდაკების ფუძემდებელს იაკობ ნიკოლაძეს. მაშინ იგი უკვე ხანდაზმულს, მაგრამ საკმაოდ ენერგიული იყო. კუბრივით შავ თითში მხოლოდ ანა-იქ მოუჩანდა ჭაღარა. გამტრიახი თვალი ჰქონდა, თითქმის ადამიანს სულში წვედებო, თხელ ბაგეებზე ირონიული ღმობილი გახორკროდა, მოწაფეებთან ერთად მუშაობდა ხოლმე სახელოსნოში. სივიწროვე იყო, მაგრამ პედაგოგიც და სტუდენტებიც თავს კარგად გრძობდნენ.

სამხატვრო აკადემიის დარსებისთანავე იაკობმა უღიღესი ენთუზიაზმით მოკიდა ხელი ქანდაკების ფაკულტეტის ჩამოყალიბებას, — ჩვენ უნდა გვექონდეს ქართული ქანდაკება და გვექნება კიდევ! — მეტყველ ამბობდა იგი, ცდილობდა გამოეჩინა სახელოსნოებისთვის ასე თუ ისე შეაფერი სათავსები. ენთუზიაზმის აგურის ძველი შენობა სახელოსნოებად გადააკეთეს, ზეპოლად განთავსდა მოაწყეს... პედაგოგი ნიჭიერ კადრებს არჩევ



და, სტუდენტთა ნამუშევრების პირველ გამოფენაზე ეძებდა სკულპტურული გამოსახველობის ელემენტებს. ასე მიხვდნენ ქანდაკების ფაკულტეტზე აკადემიის პირველი სტუდენტები, ამჟამად ცნობილი მოქანდაკეები: სილოვან კაკაბაძე, გიორგი სესიაშვილი, რებენ ამიროვი.

იაკობ ნიკოლაძე ფრიად განათლებული, საინტერესო პიროვნება გახლდათ. გარკვეულად თითქოს ცივი, მაგრამ შინაგანად მეტად თბილი და ფაქიზი იყო. უყვარდა ლიტერატურა, მუსიკა, ხშირად ესწრებოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, გრძნობდა ნამდვილ პოეზიას. შესაძლოა ამიტომაც, იაკობის სკულპტურული ქმნილებები მუდამ დრამა შთაგონებითაა აღსავსე. გონებასწავლი და ძალზე დაკვირვებელი იყო, მისი მოწაფეები დღესაც იგონებენ მასთან მეგობრულ, გულწრფელ საუბრებს.

იაკობის სახელსნოს კარი მუდამ ღია იყო, ხშირად მინახავს იგი ქანდაკებაზე მუშაობის პროცესში.

იაკობ ნიკოლაძემ რეალისტურ ტრადიციებზე დააფუძნა ქართული ქანდაკების განვითარება და ნიჭიერ მოქანდაკეთა მთელი თაობები აღზარდა. მაგრამ იგი მხოლოდ ამ დარგზე არ ზრუნავდა, ჯერ თიდევ ოციან წლებში აყენებდა საკითხს ქართული კერამიკისთვის ბაზის შექმნის შესახებ. ნიკოლაძის ინიციატივით 1925 წელს აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კერამიკის განყოფილება და მცხეთაში გაიხსნა მცირე სახელოსნო. კერამიკულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ბორის შებუვეი, რომელსაც სტროგანოვის საწარმოო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული.

შესანიშნავ პედაგოგს, ბ. შებუვეს ოცდაათიან წლებში შეეხვდი. ამ პერიოდში აკადემიის კერამიკული განყოფილება უკვე ფაკულტეტად იყო გადაკეთებული.

შებუვეი უკვე ხანდაზმული, მაგრამ კვლავ წარმოსადგეი, მხარბეჭიანი მამაკაცი გახლდათ. გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა მისწავლებთან, ნახატისა და აკავრების შესანიშნავ ოსტატად ითვლებოდა და არა მხოლოდ კერამიკის, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც მისგან სწავლობდნენ აკავრებით წერას, ფერადღვანი პარმინის შექმნას.

შებუვეი ძალზე მუსიკალური იყო. სასიამოვნო, საკმაოდ ძლიერი და კარგად დაყენებული ხმა (ბანი) ჰქონდა. იგი სიამოვნებით გამოდიოდა ხოლმე სამხატვრო აკადემიაში მოწყობილ სტუდენტთა თვითმომქმედებით კონცერტებზე. ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებდა ყველას, ვინც უსმენდა. მღეროდა არიებს ოპერებიდან, ჩაიოგოსკის რომანსებსა და სხვა კლასიკურ ნაწარმოებებს.

იშვიათად ვხვდებოდი ჰენრის გრაუნესკის ძალზე თავაზიანი, მორცხვი და სიტყვაძუნწი იყო

იგი. თუმცა მისი ღია ფერის თვალები მუდამ თბილად იმზირებოდნენ. ჩვევად ჰქონდა — ჩიბუხს გადაისვამდა ხოლმე კვავლით შეყვირილებულ ულაგაზეზე. სწრაფად დადიოდა, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა. თავი მოკრძალებით ეჭირა. დიდად განათლებული ადამიანი იყო, რამდენიმე ევროპული ენა იცოდა, მხატვრული განაოლებზე ფლორენტიანია ჰქონდა: მიღებულა. აკადემიაში პერსპექტივასა და აკავრულ ასწავლიდა. მკაცრი და მოთხოვნი პედაგოგი სტუდენტებს აიძულებდა რამდენჯერმე გადაეკეთებინათ ნამუშევრები, ვიდრე ამ მიაღწევდნენ იმას, რასაც მათგან ითხოვდა.

მოსე თითქმის ოცდაათიან წლების დასაწყისში შეეხვდი. სქელი თმა შევერცხობდა, მაგრამ თვალები კვლავ ჭაბკურად ვერწყინავდა. ენერგიული, ძალზე მოძრავი, ცოცხლად და მხნედ დააბიჯებდა. აკადემიის ინტერესებით ცხოვრობდა, დაულაღად იღვწოდა თავისი მოწაფეებისთვის. მათთან ურთიერთობას არ წყვეტდა აკადემიის დამთავრების შემდეგაც. თუკი ახალგაზრდას შინ მუშაობის პირობები არ გააჩნდა, ხოლო თითქმის მას სახელმოსროში შეიკვდილებდა მსოფლიო, ხშირად საკუთარ ბინაში ოთახსაც კი უთმობდა.

დიდ მხატვარს უყვარდა სამხატვრო აკადემიაში კრებებზე გამოსვლა, მუდამ მიღვწოდდა წარმითქვამდა სიტყვას ახალგაზრდა მხატვრებზე, მათ შემოქმედებით ინტერესებსა და საკითხობებზე.

1928 წელს აკადემიაში მოვიდა პარიზიდან ახალდაბრუნებული დავით კაკაბაძე — უკვე სახელგანთქმული მხატვარი, მკაფიო, ელვარე ტანატი და დიდად განათლებული ადამიანი; იგი აკადემიაში ხელმძღვანელობდა დეკორატიულ ფაკულტეტს, ასწავლიდა ფერწერას. მას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ხალისიანი, გამოწყვდილი, ცოცხალი თვალებით თავის ასაკზე ბევრად უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

მისაუბრეს ბოლომდე ყურადღებით უსმენდა. არასოდეს შეწყვეტილებდა სიტყვას. აკადემიაში მკაცრი სასწავლო ნაწილის გაშე იყო. სტუდენტები მას დიდ პატივს სცემდნენ და ემონოდით კიდევ იმის გამო, რომ დისციპლინის დარღვევას არავის აპატიებდა. მასთვის შემთხვევები, როცა დავითი ზრუნავდა, რათა ამა თუ იმ გაჭირვებულ სტუდენტისთვის სტიპენდია დაეინშნათ. სტუდენტებს კი აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ეს მათი მკაცრი სასწავლო ნაწილის გამცემ მწველით კეთდებოდა.


დავით კაკაბაძე კარგად იცნობდა თავისი მოწაფეების შემოქმედებით შესაძლებლობებს, ძალზე ფრთხილად და ფაქიზად ეკიდებოდა თითოეულს, საკუთარ მრწამსს არასოდეს თავს არ ახვევდა, არ უსწორებდა ფუნჯით. იგი საინტერესო




მოსე თოიძე.



ეევგენი ლახვიძე.



იაკობ ნიკოლაძე.



ნიკოლოზ კანდელაკი.



გელიმ თათვეოსიანი.

სო, მიმზიდველი ფორმით უზიარებდა სტუდენტებს ცოდნასა და გამოცდილებას.

გალიზიანება, უხეშობა, გაბრაზება დაეითს არ სრვეოდა და გეგონებოდათ, მუდამ კარგ გუნებაზე არისო. აკადემიაში ყოველდღე წვერაგაპარსული, ვლევანტური და ხალისიანი ზოდოდა.

ყოველთვის მოცეხდა, თუ როდის ასწრებდა თავის ტილოებზე მუშაობას. იგი ხომ ასე ბევრ დროს ახმარდა აკადემიაში საქმიანობას.

ერთხელ, მეცადინეობის შემდეგ, ვკითხე, როგორ ასწრებთ ყოველივეს-მეთქი.

დავითმა მხიარულად გადახარხარა და მითხრა:

— ადამიანმა უმჭველად უნდა იმუშაოს, უნდა შეხედეს ადამიანებს. იგრძნოს, რომ იგი საჭიროა მათთვის. ეს სტიმულს მისცემს შემოქმედებაში. სურვილი თუ გექნება, დროს ყოველთვის გამოხსავ.

ხელოვნების ყველა სფერო აინტერესებდა, უნახავს არ დატოვებდა ახალ ფილმს, ახალ დადგმას.

თუ დავით კაკაბაძემ თავის პეიზაჟურ შემოქმედებაში იმერეთს უმღერა, ალექსანდრე ცინაკურიძისთვის მშობლიური ქართლი იყო შთამაგონებელი.

მშვიდი და წყნარი იყო ალექსანდრე ცინაკურიძე, კეთილი, უეშმაკო და მიმდობი. ნათელი ღიმილი ასხივონებდა მის სახეს. გულწრფელად უხაროდა ზოლმე თავისი კოლეგების შემოქმედებითი გამარჯვება და სწყინდა მათი მარცხი. მჯერა, რომ მისთვის უცხო იყო შურის, სიძულელიის გრძობა. მაგრამ აფეთქებაც იცოდა, ადვილად შემოსწყობოდა ვინმეს.


ალექსანდრე ცინაკურიძე პიმნს უმღერდა საქართველოს მზეს, რომელიც უხვად იყო დაღე-



გიორგი გაბაშვილი.



იოსებ შარტლემანი.



გიორგი ჩუბნაშვილი.

რილი მის სურათებში. მისი გამჭვირვალე ჰეროი, მოწუხნუხე წყაროები, ხალასი სიმწვანე — ყოველივე ეს ფართო და მღელვარე ფუნჯით გადმოსცა ფერმწერმა თავის ტილოებში, ცოცხალ და ნათელ ფერებში აღბეჭდა მშობლიური ქვიშხეთის პეიზაჟები.


ამ რამდენიმე ხნის წინ თ ქვიშხეთში მომიხდა ყოფნა და ისეთი შერჩნება მქონდა, თითქოს ციმაკურაძის ტილოებს გვერდით ჩავეარე, იმ ტილოებს, რომლებსაც უკანასკნელად 1954 წლის პერსონალურ გამოფენაზე მოუყარეს თავი. რამდენიმე თვის შემდეგ კი მათი ავტორი უკვე აღარ იყო. მამინ ერთხელ კიდევ ვიგრძენი, თუ რატომ გააჩნდა ესოდენი შემოქმედების ძალა მის შემოქმედებას — ეს იყო გულწრფელი, მართალი, დიდი მხატვრის მიერ განცდილი, ჭეშმარიტად რეალისტური ხელოვნება.

ალექსანდრე ციმაკურიძე ხანდაზმულობამდე მუშაობდა სამხატვრო აკადემიაში, მოწაფეებს სიყვარულით გადასცემდა თავის ოსტატობას, ხალისიანი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი, პოეტური ხელოვნების საიდუმლოებებს აზიარებდა მათ.

ვალერიან სიღამონ-ერისთავს აკადემიაში მოსვლამდე დიდი შემოქმედებითი გზა ჰქონდა გავლილი. მრავალმხრივი მხატვარი წარმატებით მუშაობდა დაზვგურ და თეატრალურ მხატვრობაში, კინოში...

საშუალო სიმაღლის იყო, თხელ-თხელი, თმა სადად გადავარცხნილი ჰქონდა. დიდრონი და მუდამ ნაღვლიანი თვალები ადამიანს ერთი შეხედვისთანავე სიმაპითით განაწყობდა.

მომხიბლავი პიროვნება იყო, მოკრძალებული, ყველას უყვარდა და პატივს სცემდა, ვისთანაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. ფერწერას პირ-



ალექსანდრე ციმაკურიძე.



ღვთი კაკაბაძე.



ველ კურსზე ასწავლიდა, გრაფიკის ფაკულტეტის მესამე კურსზე კი — ხატვას. გაკვეთილებზე სტუდენტებთან ერთად თვითონაც ხატავდა. „მამინაც კი, როცა სახელოსნოში ციოდა, — იგონებს მხატვარი ვერა ბელუცკაია — ჩვენ გატაცებით ვხატავდით. მუდამ თბილი, შემოქმედებით ატმოსფერო სტუფენდა გაკვეთილებზე“.

მუშაობისას მხატვარი მკაცრი და მომთხოვნი იყო, არავის აბატებდა და ცინიკოსის დარღვევას, შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. ამხვე დროს, ძალზე გულისხმიერი და კეთილი გახლდათ. ერთხელ, ზამთარში, კინოსტუდიასში ახალგაზრდა მხატვარი უპალტოოდ მივიდა. როცა გალერეაშია შეიტყო, რომ მას პალტო არ ჰქონდა, საკუთარი პალტო გაიხადა და აწუპა. იგი მატერიალურად არაერთხელ დახმარებია თავის მოწაფეებს.

ნათელი, ხალასი პიროვნება, შემოქმედებაშიც ასეთივე იყო. უყვარდა ცოცხალი, ნათელი ფერები, უყვარდა თავისი ხალისი და მისი ისტორია, რომელიც შესანიშნავად ასახა კიდევ თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში.

აკადემიაში ნიკოლოზ კანდელაკსაც ვხვდებოდი იგი 1934 წელს დაბრუნდა ლენინგრადიდან, სადაც სწავლობდა ცნობილი მოქანდაკის მატენევის ხელმძღვანელობით.

წარმისადევი, მხარბეჭიანი, სქელი, წითური თმით, ხშირი, აბურბეჭული წარბებითა და ცხრისფერი მხიარული თვალებით თითქოს ვეება მასიური გრანიტისაგან იყო გამოკვეთილი.

სამხატვრო აკადემიაში კანდელაკის მოსვლასთან ერთად ქართული ქანდაკება ახალი ნაწარმობებით გამდიდრდა მონუმენტურ პლასტიკაში. მათი ავტორები იყვნენ ნ. კანდელაკი და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები. მოქანდაკეთა მთელი თაობები თავყანს სცემდნენ თავიანთი პედაგოგის ხელოვნებას და ბოლომდე იზიარებდნენ მის შემოქმედებით პრინციპებსა და მეთოდებს.

1923 წელს ფერწერის ფაკულტეტზე შევიდა მოხდნილი, ტანწერწეხა ქალიშვილი თამარ აბაკელია, იგი მოსე თოიძის მოწაფე გახდა. გატაცებითა და დიდი მიონდობებით მუშაობდა. უკვე სავარჯიშო-აკადემიურ ნახატებსა თუ კომპოზიციებში მკაფიოდ გამოვლინდა თამარ აბაკელიას ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობანი და თავისებური მხატვრული ხელწერა. ახალგაზრდა ფერმწერი-სტუდენტის ტროლები ექსპონირებულ იქნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე 1927 წელს. სწორედ მათში აღმოაჩინა იაკობ ნიკოლაძემ თამარ აბაკელიას სკულპტურული ტალანტი.

— თქვენ მოქანდაკე ხართ, — დაბეჯითებით უთხრა მან თამარს, — გადმოიღით ჩემთან, ქანდაკების ფაკულტეტზე.

თამარ აბაკელიას აკადემიის დამთავრებამდე სულ ერთი წელი ჰქონდა დარწმნლი, მაგრამ უყოყმანოდ გადავიდა ქანდაკების ფაკულტეტზე. იგი პირველი მოქანდაკე ქალია, რომელმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა.

რთულ პირობებში მიდინარეობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების კადრების მოწოდება. „მავრიტანული“ სასახლის ნაწილი მდგომარეობს კვათა. სახელოსნოები თხელი ტინრებით იყო გადაყოფილი, მაგრამ მაინც არ კმაროდა. სტუდენტებს მეცადინებთა უსდებოდათ დღისითაც და საღამოთიც, აკლდათ მილბერტები, საღებავები...

სათავსების უქონლობა დიდად აფერხებდა არქიტექტურის ფაკულტეტის მუშაობას. „მანსარადა“, სადაც არქიტექტორები მეცადინებდნენ, მტისმეტად პატარა იყო და ამის გამო ზოგჯერ არ ხერხდებოდა სტუდენტების მიღება პირველ კურსზე. არქიტექტურის ფაკულტეტის დღკანი ნიკოლოზ სვერიოვი ამას ძალიან განუდიდა.

მაგრამ ფაკულტეტი მაინც მუშაობდა, უშვებდა ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთა წარმატება დიდ სიხარულს გვირგოდა სვერიოს.

გაფრინდნენ წლები. აკადემიის ყოფილი მოსწავლეები, ამჟამად ცნობილი ხელოვანნი, ახლათვით ზრდიან მხატვართა ახალ თაობებს.

ძალიან ბევრი გავაყთა განსაზღვრული აკადემიისათვის მისმა ერთ-ერთმა პირველმა კურსდამთავრებულმა და შემდეგ რქტორმა აპოლონ ქუთათელაძემ. დიდი დამსახურება მიუძღვის მას სამხატვრო აკადემიის მთელი სისტემის რეორგანიზაციასა და სასწავლო-შემოქმედებით პირობების გაუმჯობესებაში. მისი თაოსნობით ბევრი ახალი განყოფილება გაიხსნა აკადემიაში, დასაწყისი მიეცა სხვადასხვა პროფესიის მხატვართა აღზრდას, ჩამოყალიბდა თეორიულ სპეციალობათა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებები. აკადემიაში შეიქმნა მხატვრული კერამიკის ქარხანა, სასწავლო საწარმოო წამოწყება და არქიტექტურის, სახვითი და დეკორატიული ხელოვნების ექსპერიმენტული მიურე. შემოქმედს კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი.

დაუეწყარია შეხვედრები აკადემიის მოამაგე მხატვრებთან, რომელთაგან დღეს მხოლოდ ზოგიერთი გავისხნეთ.

ბევრი მათგანი, ვინც აშენებდა მხატვრული კადრების ამ შესანიშნავ სამჭედლოს, ვინც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დღევანდელი ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში, ახლა ჩვენი შრომის აღარ არის, მაგრამ უკვდავია მათი ნამოღვაწარი. ისინი ცოცხლობენ თავიანთ ქმნილებებში, მოწაფეთა შრომასა და შემოქმედებაში.



მმრნა ადვილად დაეწიდა მოგონებას. ასე იმიტომ მეგონა, რომ ახლო ვიცნობდი ნატოს, მის მეუღლეს და ჩემ საყვარელ მეგობარს ნიკოლოზ შენგელაიას, მთელ მის ოჯახს. ნატოს ცხოვრება და მოღვაწეობა დიდ მასალას იძლევა მოგონების დასაწერად და, აბა, რას უნდა შეეშალა ხელი. მაგრამ, არ დავმალავ, მაინც გამიძინელდა: სათქმელი ბევრია და, ახლა თქვენ განსაჯეთ, რა უნდა ჩატიო ქურნალის ერთ ან თუგინდ ორ გვერდში? რომელი ამბავი დამთმო, რა უნდა გადასდო განზე, რომ არ გააფერმკრთალო პიროვნება, მისი ცხოვრების გზა, ღვაწლი და პირადი ადამიანური ღირსებები?

ამ სტრიქონებს ერთადერთი დანიშნულება აქვთ — მიზნად ერთხელ კიდევ გამოთქვა ღრმა პატივისცემა იმ ადამიანის სხილისადმი, ვინც ახლაც ცოცხლობს ყველა ჩვენგანის გულში, როგორც განსახიერება კეთილისა, კეთილშობილებისა და საინოებისა. ვინც თავისი შექოქმედებით სიხარულს გვანიჭებდა.

\* \* \*

რამდენადაც დიდი უნარი გააჩნია მსახიობს გარდასახვისა, იმდენად უფრო მეტად ვაფასებთ მის ტალანტს. მსახიობი, ქალი თუ ვაჟი, დღეს რომ სათანო, ან უმეწო ადამიანს განსახიერებს, ხვალ მოგვევლინება დესპოტის და შესაზარი თვისებების პიროვნებად. ხვალ და ზევ კიდევ სხვა სახით წარდგება ჩვენ წინაშე, და სამივე მდგომარეობაში ის თანაბრად ძლიერი იქნება. ეს დაუწერელი კანონია და ყველა მსახიობს მოეთხოვება.

ნატო ამ შემთხვევაშიც გამოჩნაკლისი იყო. ის მხოლოდ თავის თავს განსახიერებდა. ის აუცილებელი, დიდად საჭირო მრავალსახეობის უნარი სხვას მოთხოვეთ, ნატოს კი ნუ შეაწუხებთ. ის ყველგან და ყოველთვის მხოლოდ თავის თავს წარმოგვიდგენს. მისი სულიერი სამყარო იმდენად მდიდარი იყო, ისე აურაცხელი იყო მისი სულიერი საუნჯე, რომ მან, თუმცა ბევრი იმრობა, მაინც ვერ მოასწრო თავისი მდიდარი ბუნების უფრო სრულყოფილად გამოჩენა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მას საყვედურობდნენ ხოლმე ერთფეროვნებას. საყვედურობდნენ, მაგრამ ძალიან კი სცდებოდნენ. ნატო, როგორც მსახიობი, უჩვეულოდ მთლიანი, მონოლითური არსებობდა იყო. ვიცი, ამას არ დავთანხმებინა ზოგიერთნი, არცოდნადაც ჩამითვლიან. რას იზამ, დაიმშვიდონ გული გაიკიცხვით: ოღონდ შეიწუხონ ერთი წუთით თავი და კიბონ თავის თავს: მამ რაში მდგომარეობდა საიდუმლო ნატოსადმი საერთოდ დიდი სიყვარულისა, საიდუმლო მისი საოცარი პოპულარობისა? გარეგანი სილამაზე? საქართველოში არავრთია

დიდად ლამაზი ქალი, და იქნებ, უფრო ლამაზიც, ვიდრე ნატო იყო, — მაგრამ რომელმა გასწია ის უღელი, რომელსაც ნატო ეწეოდა? და, აი, იმ საოცარი მთლიანობის დარღვევას შეემლო მხოლოდ ის გაეკეთებინა, რომ დაშლიდა, დააპატარავებდა იმ სამყაროს, რომლის გამოსავლინებლად ნატო იყო მოწოდებული. ის კი მოწოდებული იყო ეწვევებინა ჩვენთვის, თუ რა არის, როგორი სახე და ძალა აქვს სიკეთეს, კეთილშობილებას, სათნობას, სულიერ სისხეტაკეს, პატიოსნებას და გულწრფელობას — ჩვენ მიერ ხშირად დაგვიწყებულ ამ მაღალ ადამიანურ თვისებებს. და აი, დატეხა და დაქუცმაცება ხასიათისა, რომელიც მოწოდებული იყო ამის გამოსავლინებლად, რა თქმა უნდა, მხოლოდ საზიანო იქნებოდა მისთვის, და უფრო კი, ჩვენთვის. საჭირო იყო მხოლოდ, რომ იმათ, ვისაც ამის უნარი შესწევთ, უფრო ხელი შეეწყუთ მსახიობის ტალანტისთვის, რომ მას კიდევ უფრო ღრმად და ძლიერად შესძლებოდა თავისი ნიჭის ამაღლება.

\* \* \*

რუსთაველის პროსპექტზე ნინოშვილის ძველთან გიორგი ლეონიძეს, აკაცი ბელიაშვილს და მე ნატო ვაჩნაძე შემოვხვებარ. ნატო, საერთოდ, სიცოცხლის სასიყვარ და უყვარს მეგობრებთან შეხვედრა. ახლაც თითქოს ისეთივე, როგორც ყოველთვის, მაგრამ აკაკიმ მაინც შენიშნა, რომ ის არც თუ ჩვეულებრივად ხალისიანია და კეთილხეობა:

— რაღაც უგუნებოდ მერქნები...

— დალილი ვარ...—ამბობს ნატო. — კინოსტუდიიდან მოვიდვარ. კიდევ კარგი, ჩემი ეპიზოდი მალე გადაიღეს და ადრე განთავისუფლდლი!

სულ მალე საესები შეეცვალა გუნება და მისთვის ჩვეული ხალისითა და იუმორით გვეუბნება:

— რამდენი წელიწადია კინოში ვმუშაობ? თხუთმეტი, ხომ? ჰო და, მითხარით, შეიძლება განა, რომ თხუთმეტი წელიწადი სულ ციროდეს ადამიანი?

გაოცებით მივაჩერდით.

— ჰო, სულ მატიყრებენ! მამ რომელმა მნახეთ გახარებული? სულ ტანჯავა, წამება და ცრემლები! ვცნებობ, ერთხელ მაინც გაღიმებული გამოვჩნდებ ვერაინდამ.

— აბა, რას ამბობ! მაგ შენი ტანჯვითა და ცრემლით ხარ განთქმული მთელ კავშირში და განა მხოლოდ კავშირში! — კაცური პირდაპირობითა და გულუბრყვილობით ეუბნება გოგლა.

— აღარ მინდა! რამდენი ეპიზოდი სურათში, იმდენი ზღვა ცრემლი უნდა დაედვარო და იმდენჯერაც უნდა მაწამინ. გაიკეთ, მომბერდა!

ნატო თითქოს ანჩისლობს, მაგრამ ჩვენ უფრო ღრმად ჩა-  
მაღულ იუმორს ვგრძობთ მის სიტყვებში და ღიმილით შეე-  
ყურებით.

— თქვენ იცინით, მე კი გული მტკივა! — რამდენჯერმე  
შევეცადა კავშირ გამომტყვევლება მიელო, მაგრამ მაინც ვერ  
მოახერხა და მერე ხალისიანად მოგვმართა: — რა იქნება,  
ერთხელ მეც გაგიცინო ეკრანიდან! მეგობრები ხართ ჩემი,  
პქენით სიკეთე და დასწერეთ ჩემთვის ისეთი სცენარი, სადაც  
მეც გაგიცინებ და სხვაასე გაგამხიარულებ! სიტყვას გაძ-  
ლეოთ, არ შეგარცხვებთ. შე ისეთი სიცილი ვიცი, რომ...

მართლს ამბობდა ნატო. ის ხომ სიცოცხლით სავეყ და  
საოცრად ხალისიანი იყო. თანდაც ვაგაკუსური ქალი და საიმი-  
ლო მეგობარი.

\*\*\*

ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია. ერთიც და მეო-  
რეც ძალიან ხალისიანები და ყველგან სასურველი სტუმრები  
იყვნენ. ამასთანავე უშუალონიც: რაც არიან, ის არიან, ყველ-  
გან და ყველა გარემოში. ზოგჯერ ეს მანებელიც არის, მაგ-  
რამ რა ქნან. ნიღბებს არ ატარებენ. არ ატარებენ კი არა,  
ვერ პკუობენ. ზოგჯერ ბავშვებიც არიან. ბავშვებით —  
ეს ასე უნდა გაიგოთ: გულით და სულით უცოდველნი, სპე-  
ტაკნი. ამასთანავე ძალიან უბრალონი, გულწრფელად უბრა-  
ლონი. ასეთები არიან ყველასთან და ყველგან.

არაერთხელ შემომჩნევია: სადმე ოჯახში დიდი წვეულუ-  
ბაა. სტუმრებმა უკვე მოიყარეს თავი. სხვადასხვა პროფესიის  
ადამიანები არიან და ხასიათითაც განსხვავდებიან ერთმანე-  
თისგან. თითქოს რაღაცას ექიშებიან ერთიმეორეს, რაღა-  
ცას არ თობენ, კიდევაც ებრძვიან გუნებაში. საერთო ენა  
ვერ გამოუნახავთ და ზოგჯერ მდუმარედ ყოფნასაც ამჯობი-  
ნებენ. თითქოს კიდევაც ეებრძვიან ერთმანეთა, ვინ უფრო  
გამოიჩენს ქედმაღლობას და გულცივობას... მაგრამ, აი, შე-  
მოაღეს გარეები ნატომ და კოლიამ. შემოვიდნენ ისე, რომ  
შემოპყავთ სუფთა პაერი და მალე იქაურობა სრულიად იც-  
ლის ფერს და განწყობილებას. თავისი უშუალობით, ცოც-  
ხალი იუმორით, გულწრფელობით და საოცარი უბრალოებით  
ნატო და კოლია თითქოს-და გადასდებენ თავის ხასიათს,  
თანდათან ყველას დაუბრუნდება ადამიანის სახე, თითქოს

კეთილი ბუნებაც იღივიტებო მათში. ხედავენ, რომ ეს ორი  
პოპულარული, ცნობილი ხელოვანი თურმე რა უბრალოდონია  
ყოფილან, სრულიადაც არ ყოყოობენ. პირიქით, ძალიან  
თავაზიანად და ბუნებრივად უჭირავთ თავი. ხედავენ და უკ-  
ვე იმას ცდილობენ, რომ მხარი აუბან მათ.

გგონიათ, ვამეტებ? მეტწმუნეთ, არაფერს, სრულიად  
არაფერს!

\*\*\*

ნატოს ბევრი წერილი მოსდიოდა. სწერდნენ ისინი, ვი-  
საც ერთხელ მაინც ენახა ეკრანზე. წერილები მოდიოდა საქა-  
რთველიდან და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლი-  
კებიდან. არ დამჯობდება ალბათ იმის თქმა, რომ ყველა  
ეს წერილი გამოხატავდა თავის სიყვარულს ნატოსადმი. წერ-  
დნენ, როგორც სრულიად უბრალო ადამიანები, ასევე საქვეყ-  
ნოდ სახელგანთქმული პიროვნებებიც, მაგალითად, როგორც  
იყო აკადემიკოსი ფილატოვი. მისგან გამოგზავნილი რამ-  
დენიმე წერილი წამაყიხა ნატომ. ეს მოხუცი, დიდი მეც-  
ნიერი, საოცარი გულთბილობით და მამაშვილურობით უზიარ-  
ებდა ნატოს თავის შეხედულებებს ხელოვნებაზე, ცხოვრება-  
ზე, კინოხელოვნებაზედაც.

უგზავნიდნენ თავის წერილებს გამოჩენილი რუსი მწერ-  
ლები, რომლებიც კიდევაც მეგობრობდნენ მასთან, ესენი იყ-  
ვნენ მაიაკოვსკი, ფადეევი და ბევრი სხვა. ესენი ხომ ნატოს  
აბლო მეგობრებიც იყვნენ.

ეს წერილები არ დაკარგულა. ისინი სახელმწიფო მუზე-  
უმში ინახება. კარგი იყო აქამდისაც მიეცეკია ვინმეს ყურად-  
ღება და აუღვევაც გაემზადებინა გამოსაცემად. ეს წერილები  
ხომ მართკ ნატოს არ ეკუთვნის: ეს წერილები ქართველი ხა-  
ლისისადმი სიყვარულს ამჟღავნებენ.

ამათი გამოცემა არასოდეს გვიან არ არის. ოღონდ რო-  
დმდე გადავდეთ? მხოლოდ ერთი გაფრთხილება: არ უნდა  
ჩაუვარდეს ხელში უცეცს.

\*\*\*

შუადღისას ტელეფონით შემხმინა:

— ჩემთან მოვა ნიკოლოზ ტისონოვი, მეუღლით. ამოდი,  
გელოდები.



ნ. შენგელაია,  
ვ. ლუონიძე, ნ. ვაჩნაძე და ლ. ქაიხაძე.



მივედი და იქ უკვე ჩემზე ცოტა ადრე მისულიყვნენ ცოლ-  
ქმარი ტიხონოვები და ელენე შენგელაია.

ნატომ მასპინძლობაც ისეთი იცის, რომ ის ჩვეულებრი-  
ვი პირობითობანი, რომელიც ბორკავს ხოლმე სტუმარს, სულ  
არ იგრძნობა. ნიკოლოზ ტიხონოვი ისედაც ძალიან სასიამო-  
ნოონი პიროვნებაა, საოცრად გულწრფელი და უბედლო. თუ  
მზიარულ გუნებაზეა, შენც ავტოკაცებს და ავაციოლებს.

საყვარელ სტუმრებს, რა თქმა უნდა, დიდსულოვნად  
გაუმასპინძლდა ნატო, მაგრამ ამით კი არ დარჩა სამამ-  
სოვროდ ის დღე.

— ვიცო, ძალიან გიყვართ პოეზია, — ეუბნება ნატოს  
ნიკოლოზ ტიხონოვის მეუღლე მირია კონსტანტინეს ასული  
და ქმარს მიმართავს: — კოლია, კარგ გუნებაზე ხარ, გატყ-  
ყობ. წაიკითხე შენი ახალი ლექსები.

— არა, ახლა მე „იმ ლექსების“ გუნებაზე ვარ! — ამ-  
ბობს ტიხონოვი და იწყებს კითხვას.

ეს ლექსები დღემდე არ დაბეჭდილა. ხვალ თუ ზეგ პოე-  
ტი, რა თქმა უნდა, გამოაქვეყნებს მათ. თვითული მათგანი  
ნამდვილი შედეგია. იმ წუთებში მიღებული შთაბეჭდილება  
ახლაც ცოცხლობს ჩემში მთელი თავისი მომხიბვლოებით,  
საოცარი სისხეტაკით, მუსიკალობით, ნათელ აზრებით. დი-  
ას, ნამდვილი შედეგებია.

ნატო და ელენე შენგელაია პოეზიის დიდი მოყვარულნი  
არიან. ამასთანავე ფენომენალური მესსიერება აქვთ. ისინი  
კიდევ მრავალი დღის განმავლობაში იმეორებდნენ მოსმენილ  
სტროფებს, რომლებიც უფრო ზუსტად ახსოვდათ.

ნატო იტყობა ხოლმე: — არ დაიჯერებ და, ღმერთმანი,  
სასტუმრო ოთახში როცა შევალ, ხშირად ასე მჩრეუნება, ტი-  
ხონოვი იმ თავის ლექსებს კითხულობს და მისი ხმა მესმის...

თუ ერთი წუთით დავეშვებით ისეთ საოცრებას, რომ ადა-  
ნიანის ხმას შეუძლია დარჩეს და იცოცხლოს ოთახებში თა-  
ვისი იღვამლი სიცოცხლით, ცხაკაიას ქუჩაზე იმ ბინის ას-  
ლანდელ პატრონებს, სადაც წინათ ნატო და კოლია შენგე-  
ლაია ცხოვრობდნენ, არც თუ მაინცდამაინც მშვიდად ვიძინე-  
ბათ იმ ოთახებში, სადაც ოდესღაც არაერთხელ ისმოდა ნა-  
ტოსა და ნიკოლოზ შენგელაიას და მისი დის ელენეს მეგობ-  
რების ნ. ტიხონოვის, ა. ფადეევის, მ. ბჟაიანის, ი. ტინიანო-  
ვის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძისა და მრავალ  
სხვათა ხმა.

\*\*\*

ნატო ვანჩაძის „მოგონებანი, მსხვედრები“ რამდენიმე-  
ჯერ გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე. წიგნს თავის  
დროზე საკმაო გამოსაშვრება ჰქონდა რუსულ და ქართულ  
პრესაში. მართლაც, რომ კარგი ნაშრომია! ძალიან ცოცხლად  
არიან თქარმოდვენილი სახელგანთქმული თეატრალური  
მოღაწეწი და მწერლები: ვანო სარაჯიშვილი, კოტე მარჯა-  
ნიშვილი, ვლადიმერ მაიაკოვსკი და სხვანი.

აქვე დიდი სიყვარულით იხსენობს ავტორი თავის ადრი-  
ნდელ წლებს, იმდროინდელ კახეთს და იმ დროს, რომელიც  
სამხრეთ საფრანგეთში გაატარა ბავშვობისას. ძლიერ შთა-  
ბეჭდილებას ახდენს ის ეპიზოდებიც, რომლებშიც მოთხრო-  
ბლია მამის, გიორგი ანდრონიკაშვილის, ტრაგიკულად და-  
ლუპვის ამბავი.

ბორის პასტერნაკი, ერთ თავის ბარათში სწერდა ნატოს:  
— თქვენი შესანიშნავი პროზაიკოსიც ყოფილხართ. მოიზი-



ლული ვარ თქვენი წიგნით, მოხიბვლული ვარ თქვენი სტი-  
ლით, თქვენი თხრობის თავისებურებებით...

ნატომ მხოლოდ ერთი წიგნის დაწერა და გამოცემა მოასწ-  
რო. ერთი, იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან საჭირო ნარკვევ-  
ბის წიგნის დაწერა ჰქონდა განზრახული: კინოში მომზადე  
რამდენიმე გამოჩენილ რეჟისორსა და მსახიობზე.

ნატო ვანჩაძე 1953 წლის 14 ივნისს დაიღუპა. ეს დღე  
მისი დაბადების დღე იყო. უნდოდა ეს დღე თბილისში, თავ-  
ის ოჯახში შვილებთან ერთად გაეტარებინა. მაგრამ, როცა  
თვითმფრინავი ნიკოლოზ შენგელაიას შობილიური სოფლის  
ობუჯის თავზე მიფრინავდა, მზი მოხვდა და აფეთქდა.

ასევე უნდაურად დაიღუპა თორმეტი წლით ადრე მისი  
ქმარი, გამოჩენილი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია.  
კინოექსპედიციიდან დაბრუნებულმა ლოჭინის ხევეში ძლი-  
ერი გულსატკეცილი იგრძნო, ჩამოყვანეს მანქანიდან, ნაბა-  
დი გაუშალეს მიწორზე და იქ აღმოხდა სული.

ნატო და კოლია... ორივე ახალგაზრდა და მრავალი  
ღირსებით შემკული ხელოვანი იმითაც, რაც გააკეთეს, დიდად  
გამამდრდეს და აამაღლეს ქართული კინოხელოვნება. ბევრი  
გაკეთეს და კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. მთელი თა-  
ვისი სიცოცხლე ერთმანეთის სიყვარულში გაატარეს. სიცო-  
ცხლეში ორივე მომხიბლავი იყო და სიკვდილშიაც საცრებში  
იყვნენ. და ორივეს ისეთი სახელი დარჩა, არასოდეს მიეცე-  
მიან დაიწყებას.



## აკადემიკოსი

## ვანესტანგ ბერიძე

ნუგზარ ანდლულაძე

ხმელშენების ისტორიის გამოჩინილ მკვლევარს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ვანესტანგ ბერიძეს 60 წელი შეუსრულდა. თითქმის ოთხი ათეული წელია ბატონი ვანესტანგი დაუღალავად მუშაობს ქართული ხელოვნების ისტორიის დარგში. მის შრომებს, რომლებიც ფართოდაა ცნობილი ჩვენში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, დიდი წვლილი შეაქვთ ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლაში.

აკად. ვ. ბერიძე მზრუნველად ზრდის ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებს, რომელთაგან მრავალი წარმატებით მოღვაწეობს ქართული კულტურის საზოგადოებაში.

ვ. ბერიძე დაიბადა და აღიზარდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწის, პროფესორ ვუკოლ ბერიძის ოჯახში. ბატონ ვანესტანგის პიროვნებისა და მომავალი მეცნიერის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ფაქტორი გახლდათ ქართული ხელოვნებისადმი ის ღრმა ინტერესი, რომელიც ვუკოლ ბერიძის ოჯახში სუფევდა.

მომავალი აკადემიკოსი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებშივე იწყებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში წლების მანძილზე კითხულობს ხელოვნების ისტორიისა და არქიტექტურის ისტორიის ზოგად კურსებს. ამ უაღრესად საინტერესო ლექციებს, გარდა სტუდენტებისა, ხშირად ისმენენ ხოლმე ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც.

1941 წლიდან მიყოლებული ვ. ბერიძე მჭიდროდ უკავშირდება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ცხოვრებას. იგი სხვადასხვა დროს იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1973 წლიდან კი ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელია. 1957 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო მიმდინარე წელს — აკადემიკოსად.

1950 წელს ვ. ბერიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებისა“. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია, დაცული ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

ბატონი ვანესტანგი ათეული წლების მანძილზე გვერდში ედგა თავის მასწავლებელსა და მეგობარს, გამოჩინილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელს, გიორგი ჩუბინაშვილს, რიწელიც ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა თავისი მოწაფის მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ფართოა და მრავალმხრივი სამეცნიერო პრობლემატიკა, რომელიც იზიდავს აკად. ვანესტანგ ბერიძეს, როგორც დიდი ერუდიციისა და არაჩვეულებრივი ნიჭის მკვლევარს. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი წერილი და წიგნი ქართული ხელოვნების საკითხებზე. ეს ნაშრომები ახალ შუქს ბეჭენ შეასაუკუნეებისა და თანამედროვე ხელოვნების მრავალ საკუროადღებო პრობლემას. ბატონი ვანესტანგი ყოველთვის დიდი

ვ. ბერიძემ მონოგრაფიულად შესწავლა XI-XIII საუკუნეების ისეთი ძეგლები, როგორცაა—ცხევი, საფეხ-ცხევი, ცხი, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, „მაღალანთ ეკლესია“ და სხვ. რომლებშიც, პირველად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მოგვცა ძეგლთა მხატვრულ-ისტორიული ანალიზი, განსაზღვრა მათი აგების თარიღები და ამ ძეგლთა ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში.

შეცხიერმა ორტომიანი გამოკვლევა უძღვნა XVI-XVIII საუკუნეების ქართულ არქიტექტურას (წიგნს ბეჭდაც გამოცემლთა „ხელოვნება“). მასში პირველად, დიდალი ფაქტობრივი მასალის დამუშავების საფუძველზე, მოცემულია გვიანი საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრების განვითარების ზოგადი სურათი. მონოგრაფიის ცალკეული ნაკვეთები ეძღვნება ქალაქების არქიტექტურას, თავდაცვითი, საერო და საეკლესიო დანიშნულების საგნობებს. ამ ნაშრომში ფაქტურად განხილულია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზა XIII საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო.

ცალკე ნაშრომი შექმნა ვ. ბერიძემ ადრექრისტიანული ხანის ქართულ არქიტექტურაზე («Грузинская архитектура в раннехристианского времени», сборник — «XX международные курсы по равенскому и христианскому искусству», Равенна, 1973, ფრანგულ ენაზე). მასში განხილულია IV-VII საუკუნეების ადრექრისტიანული ძეგლები. ნარკვევის პირველ თავში მოცემულია აღნიშნული ეპოქის ქართული არქიტექტურის საერთო დახასიათება ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების არქიტექტურის ფონზე, ხოლო მეორე თავში განხილულია უმთავრესი ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ავტორმა ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა იტალიაში—რავენისა და ბიზანტიური ხელოვნების საერთაშორისო კურსებზე. იმავე თემაზე ვ. ბერიძემ კიდევ ხუთი მოხსენება წაიკითხა ტურინსა და რავენაში, რომლებსაც ძალზე დიდი ინტერესით შესვდნენ ხელოვნების მკვლევარნი.

ცალკე წიგნებდაა გამოცემული მიმოხილვითი ხასიათის შრომები ძველი ქართული არქიტექტურის შესახებ («Архитектура Грузии», Москва, 1948; «Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX в. Тбилиси, 1967, რუსულ და ფრანგულ ენებზე). ამ წიგნებში მოუღებდა ადწერილი მრავალსაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების მთელი ისტორიული გზა.

ვ. ბერიძემ ორტომიანი მონოგრაფია მიუძღვნა ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურას («თბილისის ხუროთმოძღვრება — 1801-1917». I ტ. 1960 წ.; II ტ. — 1963 წ.; რეზიუმეებით რუსულ და ფრანგულ ენებზე). ამ მონოგრაფიაში წარმოჩენილია თბილისის არქიტექტურის სურათი საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. ნარკვევი ფაქტურად გვიხატავს ქართული არქიტექტურის ევოლუციას მისი ისტორიული არსებობის ახალ ეტაპზე. ორივე ტომში თავმოყრილი და განხილულია სრულიად უცნობი საარქივო მასალა და XIX საუკუნის რამდენიმე ასეული პროექტი. მეორე ტომს თან ერთვის თბილისში მოშუავე არქიტექტორთა და მშენებელთა ბიოგრაფიები.

ეს ნარკვევი საინტერესოა არა მარტო ჩვენი ეროვნული არქიტექტურის ერთიანი ისტორიის წარმოსადგენად, არამედ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უარესად

## 60

ხალისითა და გულისხმიერებით ეხმარება ქართული საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებით თუ მეცნიერული ცხოვრების ყველა საკითხს.

ცხადია, ერთ წერილში შეუძლებელია ვ. ბერიძის მეცნიერული შრომების სრული დახასიათება; ჩვენ მხოლოდ მის ძირითად გამოკვლევებზე გავემახვილებთ ყურადღებას.

შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის მხრივ უარესად მნიშვნელოვანია ვ. ბერიძის მონოგრაფია საქართველოს ისტორიული პროვინციის სამცხის არქიტექტურის შესახებ («სამცხის არქიტექტურა XIII-XVI საუკუნეებისა», თბილისი, 1956, რეზიუმეებით რუსულ და გერმანულ ენებზე). უმნიშვნელოვანესი ანსამბლებისა და ცალკეული ტაძრების მხატვრულ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე ავტორმა გადავიწია XIII-XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოში ჩატარებული ინტენსიური მშენებლობის შესახებ, ცალკეულ ძეგლთა არქიტექტურისა და ისტორიის შესწავლით გვიჩვენა, თუ როგორ ჩამოყალიბდა აღნიშნულ პროვინციაში არქიტექტურული ხელოვნების ახალი საფეხური, რომელიც მკაფიო ეროვნულ ხასიათს ატარებს და საერთოა მთელი იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრებისთვის. ავტორის ღრმა დაკვირვებებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხუროთმოძღვრების, არამედ მთელი ქართული კულტურის ისტორიისთვის. აღსანიშნავია, რომ ავტორისეული დასკვნები ნათლად დადასტურდა საქართველოს სხვა რაიონებში ამავე ეპოქის ძეგლების კვლევისას.



მნიშვნელოვანი საფეხურის ყოველმხრივი გაშუქებისთვისაც; დიდი მნიშვნელობა ენიჭება მას აგრეთვე დღევანდელი ქართული არქიტექტურის პრინციპული საკითხების გარკვევის თვალსაზრისითაც.

მეიხვედმა სასოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო ვ. ბერიძის წიგნი „ძველი ქართველი ოსტატები“ (თბილისი, 1967), სადაც თავმოყრილია ცნობები ძველი ქართველი მშენებელი ოსტატების, მხატვრების, ოქრომქანდაკეებულთა და კალიგრაფთა შესახებ, რომელთაც ქართული კულტურას შექმნის ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები.

ვ. ბერიძე არის ქართული საბჭოთა არქიტექტურის შესწავლის პიონერი. მის მიერ გამოქვეყნებული „ქართული საბჭოთა არქიტექტურის ო'ტორია“ (ნაწ. 1, თბილისი, 1955) მიმოიხილავს ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიას 1921-1931/33 წლების მანძილზე. ნაშრომში ნაჩვენებია განვითარების ძირითადი ტენდენციები, გაკვეთულია უსივარტის ნაგებობათა მხატვრულ-სტლიისტური ანალიზი, მეორე ნაშრომში «Архитектура Советской Грузии» (გამოქვეყნებულია კრებულში «Архитектура республик Закавказья». Изд. Акад. Арх. СССР, Москва, 1951) პირველადია მოცემული საბჭოთა საქართველოს ხუროთმოძღვრების მიმოხილვა 30 წლის მანძილზე. ეს ორი ნაშრომი ფაქტურად პირველი ნაბიჯია ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორიის დამუშავების თვალსაზრისით.

ვახტანგ ბერიძის მეცნიერული ინტერესები მარტო ხუროთმოძღვრების შესწავლით არ იფარგლება. იგი ავტორია არაერთი ნაშრომისა ისტორიული მხატვრობა და ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შესახებ. ნარკვევი „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“ (წიგნს ბეჭდაცვს გამოცემლობა „სოცექსკი ხელოვნება“) ეხება ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საკითხებს 1921-1941 წლების მანძილზე. მასში განხილულია ქართული ფერწერა, გრაფიკა და სკულპტურა. ეს არის პირველი, დეტალურად დამუშავებული ისტორიული ნარკვევი, სადაც მოთხრობილია ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაზე, ნაჩვენებია ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზები და ძირითადი ეტაპები.

მეტად გულთბილი ნაშრომი მიუძღვნა ბატონმა ვახტანგმა თავის მასწავლებელსა და მეგობარს აკად. გიორგი ჩუბინაშვილს („გ. ჩუბინაშვილი“, თბილისი, 1963), სადაც სიყვარულით მოგვითხრო ამ დიდი მეცნიერის მოღვაწეობის, მისი კვლევის მეთოდოლოგიის, ინტერესებისა და მისი, როგორც პროფესიონის შესახებ.

ვახტანგ ბერიძის კალამს ეკუთვნის მრავალი კრიტიკული ხასიათის წერილი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკე წიგნად გამოცემული «Против искажения истории грузинского искусства», Тбилиси, 1949, რომელშიაც ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში. წიგნში კრიტიკულადაა მიმოხილული ქართული ხელოვნების შესახებ აისყებული მთელი უცხოური ლიტერატურა XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის ნახევრამდე, გამოვლენილია ის მედარი ტენდენციები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია ქართული ხელოვნების განვითარების ბაზეექტურ ჩვენებაზე.

მრავალი ნარკვევი და სტატია მიუძღვნა ვ. ბერიძემ ქართული საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებას, თანამედროვე მშენებლობის და ქალაქთა ძველი რაიონების დაცვის პრობლემებს, ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე

ქართული არქიტექტურის ურთიერთობის საკითხს და სხვ. გამოქვეყნებული აქვს დიდი რაოდენობის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები ქართული და უცხოური ხელოვნების საკითხებზე, მეცნიერი დიდ ყურადღებას აქცევს ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევათა პოპულარიზაციას — ხშირად გამოიღოს ტელევიზიით, მონაწილეობს რადიოგადამცემებში, კითხვობის საჯარო ლექციებს...

ვ. ბერიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და მეცადინეობით შეიქმნა ქართული ხელოვნების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი ბილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტთან და მილანის კათოლიკურ უნივერსიტეტთან, სადაც წარმოებს ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა და პოპულარიზაცია. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივნისში ზერგაშოში მოეწოდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ქართული ხელოვნება პრობლემებს მიეძღვნა; მასში ვ. ბერიძის მეთაურობით მონაწილეობა მიიღეს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმაც.

უაღრესად ფართო დიაპაზონისაა ვ. ბერიძის სასოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო; იგი არის საქართველოს კომპარტიის თბილისის კალენინის სახელობის რაიკომის ბიუროს წევრი, არქიტექტურთა კავშირის გამგეობის წევრი, „სსრკ-რუმინეთის“ მეგობრობის სასოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეჯის წევრი, უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსჯეული, ძველთა დაცვის საქართველოს სასოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს სასოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ა. შ.

ასეთია ბატონი ვახტანგის სასოგადოებრივი მოღვაწეობის არასრული, მშრალი ნუსხა.

როგორც პიროვნება, ბატონი ვახტანგი უაღრესად კაცობიერად და გულისხმიერია. თავის თანამშრომლებთან და, ერთობ, ადამიანებთან ურთიერთობაში იგი დიდი ტაქტის მქონე, მომხიბლავი თანამოსაზრებელი და განსაკუთრებით გრძნობით დაჯიბრებული ადამიანია, ამავე დროს — მიმოხივნი და პრინციპული. იგი უაღრესად ერუდირებული მეცნიერია: ბრწყინვალედ იცის მსოფლიო ხელოვნების ისტორია, ლიტერატურა, საერთოდ, კულტურის ისტორია; შესანიშნავად იცნობს თანამედროვე მწერლობას, მუსიკას, თეატრსა და კინოს. ეს არაჩვეულებრივი ერუდიცია მტკიცე საფუძველს უქმნის ყველა მას ნაშრომს. ამასთან იგი შესანიშნავი ორატორიაცა და ყოველთვის დიდი სიმამრებანი იწყვეტს საჯარო ლექციების წასაკითხად; თავისუფლად ფლობს უცხო ენებს, რაც მეტად უაღვილებს პირად ურთიერთობის უცხოელ მეცნიერებთან; ბევრ მათგანთან მას მჭიდრო მეგობრობაც აკავშირებს. ვ. ბერიძის შრომები იმეჭდება მსოფლიო ხალხთა მრავალ ენაზე.

ვახტანგ ბერიძის სახელი დღეს ფართოდაა ცნობილი და მისი ღვაწლი სათანადოა დაფასებული. როგორც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, იგი წარმატებით ატარებდა გიორგი ჩუბინაშვილის მიერ დაწესებულ და განმტკიცებულ გზას ქართული ხელოვნების კვლევის საქმეში.





რს მნიშვნელობა აქვს ბავშვების ნამუშევრების გამოფენას? რა უღვეს საფუძვლად ბავშვების ნახატების შეფასებას?

ბავშვების შემოქმედება, მსატკრობა გვიჩვენებს, გვიხატავს პატარების სამყაროს, მათ ინდივიდუალურ თვისებებს, ტემპერამენტს, ხასიათს. აქვე ჩანს ისეთი მხარეები ხასიათისა, როგორცაა ლირიზმი, პოეტურობა, პერიოკისაყენ სწრაფვა.

გამოფენებზე მონაწილეობა, გარდა იმისა, რომ დიდი სიხარულია, საჭიროა იმიტომაც, რომ ნორჩი ავტორები შედარების გზით აფასებენ თავის ნაწარმოებს, ბევრ საერთოსაც პოულობენ საკუთარსა და სხვების ნამუშევრებს შორის, ბევრი რამ აქ მათთვის მოულოდნელია და განუმეორებელი. როგორც ვთქვით, ეს არის ძალიან საინტერესო სამყარო, და გასაკვირი არაა, რომ მაცურებელი არ აკლია ამ გამოფენებს.

საინტერესოა გამოფენა მეცნიერული თვალსაზრისითაც, ფსიქოლოგებისთვის განსაკუთრებით. ჩვენ შევხებით მხოლოდ ემოციურ მხარეს, იმას, თუ შემოქმედების რა სახეობასთან გვაქვს საქმე. შევეცდებით გავიგოთ (ნაწილობრივ მაინც), რატომაა, რომ ბავშვების ნახატები სიხარულს გვანიჭებენ და უფროსებისა კი — ზოგიერთ შემთხვევაში — არა.

პირველი გრძნობა გამოფენაზე — სიხარულია, ზეიმის შეგრძნება! თითქოს შევიდვართ და თანაც ვუბრუნდებით იმ ქვეყანას, რომელიც ერთდროულად ნაცნობიცაა და საკვირველიც.

ღიმილით შევცქერით ნახატებს, არა მარტო იმიტომ, რომ ავტორები ბავშვებია, ვფიქრობ — ეს ნამდვილი ხელოვნების განმასხვავებელი ნიშანია, განურჩევლად იმისა, თუატრის დაბარაში ვართ, გამოფენაზე, თუ ლექსს ვკითხულობთ. თუ ზუსტადაა მონახული მსახიობის ფესტი ან ინტონაცია, ტრაგიკულიც რომ იყოს მოქმედება, თუ ზუსტია პოეტური სახე — სიხარულს განვიცდით, გველიმება (თუნდაც შინაგანად), ეს არის ხელოვნებისაგან მიღებული კმაყოფილება, უფრო სწორად — გრძნობა, რომ შენი არსება რაღაცით ივლება, იზრდება,

რა სიზუსტეზეა ლაპარაკი, როგორ გვესმის ჩვენ ეს სიზუსტე? როცა მხედველობაში ბავშვების შემოქმედება გვაქვს, მიმბამეველური სიზუსტე გამოირჩევა. ბავშვებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ მიანსაგანონ ნახატი საგანს მამრალა აქ ზუსტი? ზუსტია ნახატში გადატანილი ემოცია. ჩვენ იგივე მღელვარებას განვიცდივით, როგორსაც განვიცდიდა პატარა მსატკარი მუშაობის დროს.

ვიმეორებ, ბავშვები ვერ ხატავენ ისე, რომ ნატურის მიმსაგავსების საშუალებით შევაფასოთ ესა თუ ის ნახატი.

მიაქცეით ყურადღება, როცა ბავშვი ცდილობს „სწორად“ დახატოს, მაქსიმალურად მიამსაგავსოს



## ბავშვთა ნახატების


## გამოფენაზე

ზურაბ ნიქარაძე

ნახატი ნატურას, ასეთი ნახატი ყოველთვის ნაკლებად ემოციურია, ნაკლებად მოგვიწონს, ნაკლებად გვაძლევებს.

იგივე მეორდება მამნიაც, როცა ბავშვს რაიმე ძნელად დასამუშავებელ მასალაში აქვს გაკეთებული სურათი. აქ ტექნიკური სირთულე უშლის, მასალა ჩავრავს და კარავს იმას, რაც, ჩემი აზრით, ბავშვთა შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანია და ძვირფასი — უშუალობას. ემოციური ზეგავლენა სურათისა იმით იზომება, თუ რამდენად უშუალო იყო მსატკარი, რა

რაოდენობა გრძობისა ჩაქსოვა მან ნახატში. რა იწყებს მხატვარში ემოციის? გარეშე სამყარო, რაიმე მოვლენის ან ფაქტის პლასტიკური სიმდიდრე და გამომხატველობა. არის კიდევ მასალა, რისგანაც კეთდება სურათი: ფერი, საღებავი, თხა, ქვა, ბრინჯაო და სხვა. ბავშვებს მუდამ ემოციური, ალღელებული დამოკიდებულება აქვთ თავის სამუშაო მასალასთან, უფროსებს კი ხშირად არა. ჩამოყალიბებული შემოქმედი მუშაობისას აუცილებლად გამოყოფს თავისთვის მნიშვნელოვან, მთავარ მომენტს. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის იდეა, ნაწარმოების შინაარსი. მასალა ამ იდეის, შინაარსის მხოლოდ ხორცშესხმის საშუალებად იქცევა. ნებისთ თუ შენბლით, ხშირად მასალისადმი მომხმარებლობითი დამოკიდებულება ვითარდება. მომხმარებლობა კი ხელოვნების არც ერთ სფეროში არაა მისასალმებელი.



ხელოვნება იწყება იქ, სადაც საქმე გაქვს მასალის სილამაზისა და შემოქმედის ოსტატობის შერწყმასთან. მომღერალს თუ არა აქვს ლამაზი ტემბრის განსაკუთრებული ძლერადობის ხმა — მასალა, აზრობრივად ძალიან საინტერესო სიმღერასაც ვერ მიაწვდენს მსმენელს, არ იქნება ემოციური. ეს ხელოვნების ყველა დარგს ერთნაირად შეეხება.

უფროსი ტილოს შეფასებისას ხშირად ვივიწყებთ ამას, რატომღაც ყოველთვის სინამდვილის მიმსგავსების პრინციპი იმარჯვებს. სურათს პლასტიკური გამომსახველობით კი არ ვაფასებთ, არამედ იმით, თუ რამდენად ჰგავს იგი სინამდვილეს, ან რამდენად მნიშვნელოვან ფაქტს ასახავს. აქედან იწყება სწორედ მხატვრობის (და საერთოდ ხელოვნების) ევლუგარული გავრცელება და შეფასება.

ბავშვების ნამუშევრების შეფასებისას ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ ზუსტი მიმსგავსების პრინციპით. მათ სურათებს სხვა ღირსებები გააჩნია: ეს არის სიმდიდრე პლასტიკური გამომსახველობისა — რიტმული წყობა, საღებავების ძლერადობა და მრავალფეროვნება — მოყვანილი გარკვეულ პარმონიაში, ხაზის, კონტურის გამომხატველობა, ლაქების კომპოზიციური განაწილება და ა. შ.

ნახატის მიმსგავსებას იმიტაციაში ვიყვარებთ და ეს უკვე ხელოვნების ფარგლებს გარეთ რჩება.

მხატვრობა სინამდვილის შემოქმედებითი აღქმად და არა ნატურის მონური მორჩილებად, რომელიც ხელს უშლის ხელოვნების საგნის — ახალი სინამდვილის წარმოქმნას. თუ ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმად სინამდვილის მიმსგავსებას მივიჩნევთ, უაზრობამდე მივალთ, რადგანაც ფერადი ფოტოგრაფია მშვენივრად ასრულებს ამ როლს. უსაგნო ხელოვნება კი ჰუმანი-


სტურ ტრადიციებს ცილებდა, რაც მიუღებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის.

მხატვრობის ცნობილ, საუკეთესო ნიმუშებს ორივე მხარე გააჩნიათ: პლასტიკური სიმდიდრეც და სინამდვილისადმი, ბუნებისადმი ერთბაშეც.

ბავშვებისთვის უცხოა ისეთი უცნაური შეუ-







საბამობა, როგორცაა ფორმისა და შინაარსის დაპირისპირება, ან თუნდაც გაყოფა, რომელიც ხშირად, პრობლემის სახითაც კი, წარმოგვიდგება ცნობილი მხატვრების ტილოებზე. ბავშვის ზღაპრითან ერთად იზრდება, ფართოვდება ცოდნის სფერო, ამას მოსდევს მოვლენების შეფასება, რომელიც ხშირად ტენდენციურობაში გადადის, ასე

რომ, ძნელია შეინარჩუნო ალქმის პირვანდელი ბავშვური მთლიანობა, უშუალობა, ემოციურობა შემოქმედებაში და ამავე დროს შექმნა ფსიქოლოგიურად დაძაბული, ღრმა შინაარსიანი სურათი. ამით აიხსნება ისეთი შემთხვევები, როგორცაა ერთ-ერთი მხარის გაუბრალოება: ან შინაარსის და იღვის გაღარიბება, ან ფორმის გა-





მარტივება; ერთ შემთხვევაში ვლემბულთა ფორმალისტურ ნაწარმოებს, მეორე შემთხვევაში — არამხატვრულ სურათს, რომელიც ხელოვნებასთან მხოლოდ პირობითად თუ არის დაკავშირებული.

ბოლო დროს მხატვრების ერთ ნაწილს (ლპარაკია უკვე ჩამოყალიბებულ შემოქმედებზე) სართულუებისაგან თავის დაღწევის გარკვეულ მისწრაფებას ვამჩნევთ. ბევრი სურათი დახატულია თითქოსდა ბავშვის ხელით. რთული, დაძაბული, უაღრესად დრამატული მოვლენებით აღსავსე სამყარო დანახულია თითქოს ბავშვის თვალით. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სურათები, როგორც წესი, ბევრად უფრო ღარიბია ბავშვების ნახატებზე თავისი გამომხატველობითა და შემოქმედების უნარით.

სურვილი ბავშვობაში დაბრუნებისა, რატომღაც ყველაზე მძაფრად ხელოვნების სფეროში იჩენს თავს, კერძოდ კი — მხატვრობაში. სტიქიური მასშტაბი მიეცა გაბავშვებული მხატვრების ტილოების ნაკადს. ეს იგივეა, რომ წვერებიანმა ძიან ჩლიფინით დაიწყოს საჯაროდ ლექსების კითხვა, თან გვარწმუნებდეს — არა ვხუმრობო. არა მგონია, ამ სურათების ავტორები პირად ცხოვრებაში ხელმძღვანელობდნენ ბავშვური წარმოდგენებით, ან ბავშვური ურთიერთობით ერთმანეთში.



ეს დაკარგული უშუალობის დაბრუნების ცდაა და თანაც უშედეგო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანს გაზრდილი საინფორმაციო წყაროებისა და კულტურული მემკვიდრეობის ტვირთის გამო ძალიან მცირე ადგილი რჩება, სადაც შეიძლება იყოს უშუალო, ე. ი. აღიქვას რაიმე ფაქტი, მოვლენა ერთ განზომილებაში, ყოველგვარი ასოციაციებისა და დრამატული დაპირისპირების გარეშე. ამგვარად — უშედეგოა ეს ცდა იმიტომაც, რომ ვეძებთ უშუალობას იქ, სადაც შეუძლებელია იყო უშუალო.

სურათის ჩანაფიქრი, კომპოზიცია, სიუჟეტი პერსონაჟების დახასიათება — ეს ყველაფერი ინტელექტის, მსოფლმხედველობის, აზროვნების მასშტაბის სფეროს ეკუთვნის. აქ ჩვენ ვერ ვიქნებით უშუალონი, ან უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მინიმალურად მივალწიოთ მასს.

სურათის შექმნის პროცესში ფუნქციები თითქოსდა ნაწილდება... თუ იდეური მხარე უფრო გონებას ემორჩილება, მასალის სიყვარული გრძნობას აეკისრება და უკიდურეს ემოციას მაშინ განიცდით, როდესაც ფერი ან თიხა ცოცხალ ფორმაში გადადის, როცა მასალა ცოცხლდება და ამავე დროს არ კარგავს თავის სახეს. ბავშვებს არასოდეს არ ავიწყდებათ ეს. მათ უყვართ თავისი ფერები, და ეს გრძნობა (სიყვარული) გადააქვთ სურათებში.



მასალის გაუთვალისწინებლად, მისი ბუნების და სილამაზის საზგასმის გარეშე აგებული შენობა არ ითვლება ხელოვნების ნაწარმოებად. უკეთეს შემთხვევაში, ეს არის ინტენერული ნაგებობა, შეიძლება ძალიან საჭირო, მაგრამ არა როგორც ხელოვნების ნიმუში.



თანამედროვე მუსიკაში წარმოუდგენელია დიდი ყურადღება არ ეთმობოდა ორგესტრირებას, რომელიც გულისხმობს ინსტრუმენტების განუმეორებელი ფლერადობის საზგასმას, სხვადასხვა ინსტრუმენტის ტემბრალური სიმღერის გამოვლენას.

აქ არაა ლაპარაკი იმაზე, საჭიროა თუ არა ინსტრუმენტების ტემბრალური თავისებურებების შენარჩუნება. ეს თავისთავად იგულისხმება.


თუ შემოთქმულს მხატვრობას დავკავშირებთ, უნდა ითქვას: პირველყოფილი და ადრინდელი ცივილიზაციების მხატვრობის ნიმუშები მოწმობენ იმაზე, რომ მაშინდელი მხატვრები გრძნობდნენ, ესმოდან შემოქმედება, როგორც ზეიმი უსულ მასალის გაცოცხლებსა. ისინი ბუნებასთან ახლო პარმონიულ კავშირში იმყოფებოდნენ, ე. ი. გრძნობდნენ და იცნობდნენ კიდევაც ქვისა თუ საღებავის თვისებებს, მათ ყოველ ნიუანსს, გამოცდილი ჰქონდათ სინამდვილე ამ მასალის მოპოვებისა. ოსტატი ცდილობდა ისე დაემუშავებინა, ისე ეხმარა საღებავი, რომ არ წაშლილიყო მისი პირვანდელი სილამაზე, მისი თვითმყოფადობა. ხომ არ მოუვა აზრად ოქრომჭედელს, ადამიანის კანისფრად შეღების ოქროს ნაკეთობა, რათა უფრო მიუახლოვოს იგი სინამდვილეს?



იგი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად გამოკოს, გამოამქდანოს მისი „ოქრობა“. სამყაროსადმი თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად, მოვლენების ესთეტიკური ინტერპრეტაციისთვის ეს კავშირი — მასალისა და ოსტატობის — საკმარისი იყო. დონე იმდროინდელი მხატვრობისა, ის დონე, რომელიც ბუნებისეულს, საერთოსა და მარადიულა გამოხატავს, დღემდე მიულწველია.


ბავშვების ნახატები ამ მხატვრობას გვაგონებენ არა მარტო უშუალოებით. აქაც ისეთივე გაგებაა ხელოვნების, როგორც საყოველთაო ზეიმისა. პიროვნული არ არის გამოყოფილი. ეს პლასტიკის, სიცოცხლის უკვდავების გამოხატავა. ამიტომაცაა ხალისიანი!

ტრაგიკული პიროვნულთან ერთად გაჩნდა ხელოვნებაში. აღორძინების ეპოქამ პიროვნება დააყენა ყურადღების ცენტრში. პიროვნების პრობლემა კი, რაც დრო გადის, სულ უფრო რთულდება. ამ სირთულეების დასაძლევად აღარ კმაროდა ძველებური გაგება ხელოვნებისა. ცალკეული პიროვნების სიცოცხლის წუთიერება, პიროვნების გაზრდილი მნიშვნელობა სულ სხვა მდ-







გომას და გაღწეულს მოითხოვდა მხატვრისაგან. თუ ადრინდელი მხატვრობა, მცირე გამოწერისით, არ იყო ინდივიდუალური და მშვენიერების საერთო კანონები გამოჰყავდა, ახალი დროის ხელოვნება სწორედ ადამიანის ხასიათს, მის პიროვნულსა და განუმორებელ თვისებებს გამოხატავს. ახალ მოთხოვნილებებს პასუხობდა ახალი მასალა: ეს გახლდათ ზეთის საღებავი, რომელიც ძალზე პლასტიკურია. ეს თვისება საშუალებას აძლევდა ოსტატს ძალიან ახლო მიხსულიყო სინამდვილესთან და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ფერწერა გახდა ერთ-ერთი წამყვანი დარგი სახვითი ხელოვნებისა. შეიქმნა მთელი გალერეა სახეებისა, ისტორიული პიროვნებებისა, და სწორედ ინდივიდუალური თავისებურებების ფიქსირების შესაძლებლობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ფერწერა რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სინამდვილესთან მიახლოებამ ფერწერას დაუკარგა მასალის სიმშვენიერე. ფერი, როგორც გარკვეული ვიზუალური თვისებების მატარებელი, გაქრა საღებავების ერთმანეთში არევიტ. იმისთვის, რომ მივიღოთ სინამდვილეს მიმსგავსებელი ტონი, თვით ფერის ღირსებები იკარგება; მაშინ როდესაც აგურისაგან აგებულ შენობაში აგური არ იქცევა არც ხედ და არც სხვა რაიმე მასალად. ბრინჯაოს ქანდაკება იმიტოა ლამაზი, რომ ბრინჯაო ჩანს, და არაფის მოუკა აზრად, იკითხოს, რატომაა აქ ადამიანი მწვანე ე. ი. ბრინჯაოსდერი და არაა შეღებილი ნატურალურ, ადამიანისთვის დამახასიათებელ ტონებში.




ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ფერწერა ჩიხშია მოქცეული: იმიტაციური პრინციპით შექმნილი ტილოები აღარაფის აკმაყოფილებს და აწვევს დროს ავანგარდული შემოქმედება არ პასუხობს ხელოვნების დანიშნულებას. ერთი შეხედვით, მართლაც უიმედო სურათია. შეიძლება თუ





არა შეერთება უშუალობისა და დრამატულად დაძაბულ შინაარსისა? თუ უშუალობა მასალის სიყვარულში იჩენს თავს, თუ შეიძლება დავებრუნოთ ეს დავიწყებული დამოკიდებულება, საკითხის მნიშვნელოვანი ნაწილი, უფრო სწორად, ნახევარი მაინც, გადაჭრილი იქნება. ამას ჩვენ ბავშვების მსატერობა გვიმტკიცებს. ამაშია, ჩემი აზრით, სერიოზული მნიშვნელობა ამ გამოფენების, გარდა იმისა, რომ დიდი სიხარულის და სიამოვნების მომნიჭებელია.





რამქინის შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული თეატრის ორგანიზაციულ და საკითხებთან.

სტანისლავსკის მოწოდება, რომ „გვიყარდეს ხელოვნება შენი და არა შენი თავი ხელოვნებაში“, იყო და დარჩება მსახიობის ეთიკის განმსაზღვრელ ფორმად.

რეჟისორმა თავისი დიდი უფლებები შემოქმედებით კოლექტივთან ფრთხილად უნდა გამოიყენოს. მან კარგად უნდა იცოდეს ის ნორმები, რომლებიც სცენის პროფესიონალი ოსტატი-სთვისაა აუცილებელი. თუ რეჟისორი პირად ინტერესებს ხელოვნებაზე მაღლა აყენებს, იგი არღვევს თანამედროვე თეატრალური ეთიკის მოთხოვნებს.

რეპეტიციის მეთოდი, როლების განაწილების პრინციპი, შემოქმედებითი დისციპლინა, სამხატვრო-სადღემო ორგანიზაცია, დასის დაკომპლექტება, რეპერტუარის ჩამოყალიბება, ყოველდღიური რეპეტიციებისა და სპექტაკლების ორგანიზაცია, მთელ კოლექტივთან, თითოეულ მსახიობთან საერთო ენის გამოანახვა და სხვა — რეჟისორისგან მოითხოვს დიდ ცოდნას, დაკვირვებას, ნიჭს, ენერჯიასა და, რასაკვირველია, ეთიკის ნორმების დაცვას.

ასეა, როცა ყურადღების ცენტრში დგას მასპარაზისა და თეატრის პრობლემა, რომელიც ფართო საზოგადოებრივ სამსჯავროზე იქნა გამოტანილი, ბევრ დამაბრკოლებელ მიზეზს აებაფარდა, ბევრი რამ გახდა ნათელი, მაგრამ ის დაძაბული, მეტად რთული საქმიანობა, რომელიც ყოველდღიურად მიმდინარეობს კულინებს მიღმა თუ სარეპეტიციო ოთახებში და რომელიც წინ უძღვის ხელოვნების ზვიმს — სპექტაკლს, მასურებელთა უმრავლესობისთვის ბურჟიათაა მიცული. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ეს საქმიანობაა ყველა იმ საკითხის ძირითადი საფუძველი, დღეს რომ ასე მწვავედ იჩინა თავი. საქმე ეხება თეატრის იმ რთულ შინაგან მექანიზმს, თავის მხრივ, მუდმივ და აუცილებელ კონტაქტში რომ იმყოფება თეატრის ეთიკურ ნორმებთან. ცხადია, მასურებელს არ მოეთხოვება ანგარიში გაუწიოს იმ გარემობას, თუ რა მდგომარეობაა თეატრში ეთიკური თვალსაზრისით. მას შედეგი აინტერესებს და სამართლიანადაც. მაგრამ ჩვენ — თეატრის მუშაკებს, რომლებსაც ასე გვაღელვებს თეატრისა და მასურების პრობლემა, უფლება არა გვაქვს ამ საკითხს გვერდი ავუაროთ. იგი ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. მას მრავალი განმტკბება აქვს. ჩემი მიზანია ზოგიერთ მათგანზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

ვთქვათ, რეჟისორმა შემოქმედებით კოლექტივში უნდა გაანაწილოს როლები, ხოლო დასში ჯერ კიდევ მისთვის უცნობი დამწყები და გამოცდილი მსახიობებია. თუ როლის განაწილება იმდენად მსახიობის ცნობილი მსახიობი დასს

## რეჟისორის ეთიკის ზოგიერთი საკითხი

ოთარ ალექსიშვილი

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბუთო ხელოვნება“, №12-2-5, 1974 წ.





დატოვებს, თეატრი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ამის გამო უნდა მოიხსნას რამდენიმე სპექტაკლი. რიგითი მსახიობის წასვლის შემთხვევაში კი საქმე შედარებით იოლად გადაწყდება: მას შეცვლის სხვა მსახიობი და მაყურებელი ვერც კი შეამჩნევს მის წასვლას.

ცნობილია, რომ სტანისლავსკი, კაჩლოვი, მისკინი, ლეონიდევი, უშანგი ჩხვიძე, აკაკი ხორაგა, სერგო ზაქარიაძე და ბევრი სხვა გამოჩენილი მსახიობი ვერაფერს შეცვალა. ტალანტის შეცვლა შეუძლებელია; მაგრამ არსებობს ასეთი აზრიც: „თეატრი კოლექტიური შემოქმედებაა და ყველას ერთი სასომით უნდა შეხედო, დიდი და პატარა არ განასხვავო და ყველას ერთნაირად უნდა მოექცე. თუ ამ დებულებას არ დავეთანხმებით, საჭიროა ერთი მსახიობი მეორისგან განასხვავოთ სტაჟის, მდგომარეობის, წოდებისა და დამსახურების მიხედვით. ეს კი ნიშნავს, თეატრში დახურვო ორი დისციპლინა—ერთი წამყვანი, მეორე რიგითი მსახიობებისათვის, რაც დაუშვებელია. მაგრამ წამოიტყრება ახალი კითხვა: პრაქტიკულად როგორ დავიკეთო ეთიკური ნორმები თეატრში? ერთი მხრივ, არ შეიძლება აბატიო დისციპლინის დარღვევა როგორც წამყვან, ასევე რიგით მსახიობს და, მეორე მხრივ, საჭიროება იქმნება სხვადასხვა კატეგორიის მსახიობს სხვადასხვანაირად მოექცე

თეატრში მხატვრო-ორგანიზაციული და ეთიკური მხარეები ისე ორგანიზალაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ მათი ერთი მეორისგან დაშორება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ შემოსწენებული საკითხები უნდა გაიჩრქვს და გადაწყდეს თეატრის მხატვრო-ორგანიზაციული და ეთიკური პრობლემების კომპლექსში.

სამხატვრო თეატრის მსახიობმა და რეჟისორმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ლ. მ. ლეონიდეოვმა ახალგაზრდა რეჟისორებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე (რომლის მონაწილე ამ წერილის ავტორიც გახლავთ) ასეთი შეკითხვა დასვა: „როგორი დამოკიდებულება გსურთ იქონიოთ კოლექტივთან, რომელთანაც თქვენ იმუშავებთ?“

პასუხი სხვადასხვაგვარი იყო.

ერთმა უპასუხა: — „მე მინდა კოლექტივის უყვარდე“.

— უყვარდე? შეაჩერა ლეონიდეოვმა. ეს ხომ ნიშნავს: ზოგს უყვარდა, ზოგი არ სძულდე

მეორემ გაუხედავად დაუმატა:

— პატივს მცემდნენ.

— ეს უფრო შესაფერისია. — მაგრამ ლეონიდევი კმაყოფილი არ იყო პასუხით.

— რეჟისორის უნდა სჯეროდეთ! და ცოტა მორიდებულად უნდა იყვნენ მისდამი. მას დიდი უფლებები აქვს მინიჭებული და კოლექტივი ამას უნდა გრძნობდეს, თუმცა კარგი ხელმძღვანელი იშვიათად უნდა სარგებლობდეს უფლებებით. ვისაც არ სჯერათ, იძულებულია კოლექტი-

ვი შიშით დაიმორჩილოს. ეს კი საშინელებაა. ეს უკვე თეატრი აღარ არის. კიდევ უარესი, თუ რეჟისორის კოლექტივის ემირია და ცდილობს თავი ხელის გადასმით დაიმორჩილოს მსახიობი და ამ ხერხით მოხვედროს ავტორიტეტს. ასეთი რეჟისორის არ ეშინიათ და არც პატივს სცემენ მას.

მსახიობებს უყვართ თქმა, რომ მათ სჭირდებათ განსაკუთრებული სიბოძო, ალერსი. სინამდვილეში კი ისინი ყველაზე მეტად აფასებენ რეჟისორის ნიჭსა და დისციპლინას და სწორედ მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა რეჟისორისა და მსახიობის დამოკიდებულებაში. ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ რეჟისორმა, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა უნდა შეისწავლოს თითოეული მსახიობის ბუნება და თითოეულ განდეს საქმისადმი კეთილშობილური და თვითკმედულების მაგალითი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სჯერა მსახიობს რეჟისორისა და ბოლომდე მიჰყვება მას.

ყურადღებია ისიც, რომ რეჟისორთა შემეტსი ნაწილი (სხვადასხვა მიზეზის გამო) გადადის თეატრიდან თეატრში. ამ შემთხვევაში მათი მუშაობის ხასიათი განისაზღვრება იმ თეატრების მიხედვით, რომლებშიც მათ უხდებოდათ მუშაობა.

პირველი, რაც ყველაზე უფრო აღელვებს გამოცდილ რეჟისორსაც კი, ეს არის კითხვა: რით დიწყოას ახალ თეატრში?

თეატრში მისვლისას რეჟისორი ცდილობს თავიდანვე სწორად აუღოს ადლო კოლექტივის მუშაობას და დასახოს ახალი შემოქმედებითი გეგმები. ხშირ შემთხვევაში რეჟისორი სწორად განისაზღვრავს კოლექტივის შესაძლებლობას, მის შემოქმედებით ბუნებას და საბოლოო გამარჯვებას აღწევს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა რეჟისორი გამოუცდლობს, ან საკუთარ თავში მეტისმეტად დარწმუნებულობის გამო ცდებო, თავიდანვე ვერ ამყარებს კონტაქტს კოლექტივთან და მარცხდება. ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ფაქტი მაგონდება: დამნიშნეს მთავარ რეჟისორად ერთ-ერთ თეატრში. თეატრის შემოქმედებითი ძალების გაცნობის მიზნით ზედმედ ვნახე სამი თუ ოთხი სპექტაკლი. აღარ დავაყოვნე და მაშინვე გამოვედი კოლექტივის წინაშე დიდი „საპროგრამო“ სიტყვით.

დაწვრილებით გავაჩრიე და გაგაკრიტიკე ნაწახი სპექტაკლები. შემდეგ, კოლექტივის ველაპარაკე თეატრის განვითარების პერსპექტივებზე—დავიპირდი, რომ თეატრში მივიწვევე ცნობილ დრამატურგებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, მოვახდენ მსახიობთა კოლექტივის რეორგანიზაციას და შევაგებო ცნობილი მსახიობებითა და რეჟისორებით. დარწმუნებული ვიყავი, რომ თეატრის გარდაქმნის პერსპექტივა კოლექტივის მოვლენიბო და აღფრთოვანებდა. მაგრამ მხოლოდ პირიქით.

როგორც კი ძველი სპექტაკლების შესწორე-

ბას შევედგეთ და შევეცადო დაშლილი სპექტაკ-  
ლები აღმედგინა, დასმა კატეგორიული წინაა-  
ღმდეგობა გამოიწვია.

იმის გამო, რომ მსახიობებს უკვე შესისხლ-  
ხორციებული ჰქონდათ პიესის შინაარსი და  
სპექტაკლის არსი, მე კი ამისათვის სულაც არ  
მეცალა, ისინი ხშირად „მიეგრდნენ“ შეცდომე-  
ბში და ამხელდნენ ჩემს უცოდინარობას. ჩემმა  
კეთილშობილმა განზრახვამ ან შემთხვევითი არ გაამა-  
რთლა, პირიქით, ქაოსი, გაუგებრობა და კონ-  
ფლიქტი გამოიწვია.

ძილებული გაგზიძე ძველი სპექტაკლის აღ-  
დგენაზე ხელი ამძლო და გადავწყვიტე კოლექ-  
ტივისთვის ლექცია-საუბრები ჩამეტარებინა, რა-  
თა დასთან საერთო შემოქმედებითი ეხა გამომე-  
ძებნა, ჩემი რეჟისორული გეგმები გაეცნო. მსა-  
ხიობები ჩემს საუბრებსაც სპექტაკურად მსგვლ-  
დნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დადებითად  
აფასებდნენ ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას,  
„სწავლულებს სწავლა აღარ სურდათ“, ასე, რომ  
არც ეს „ექსპერიმენტები“ გამოვღა.

თითქმის ერთმა წელმა გავლო. სპექტაკ-  
ლებს ვგდამდით ძველებურად, მაგრამ თეატრი  
შემოქმედებითად ისევ დაბალ დონეზე იდგა.  
ძილებული ვიყავი განცხადება დამეწერა და წა-  
ესულიყავი თეატრიდან, მაგრამ სპექტაკლზე  
მუშაობა უკვე დაწყებული მქონდა და თეატრმა  
საჭიროდ ჩასთვალა დადგმა დამეთავრებინა.  
როგორც კი განვთავისუფლდი მთავარი რეჟისორის  
თანამდებობიდან რეპეტიციაც შესანიშნავად  
შემიძარბა, რადგან ზედმეტი „თეორიული“  
მსჯელობების ნაცვლად პირდაპირი შევედგეთ  
პრაქტიკულ მუშაობას, სუსტი მსახიობები შეე-  
ცვალეთ უფრო ძლიერებით და საბოლოოდ საინ-  
ტერესო სპექტაკლი გამოვიდა. მე თითქმის და-  
მიბრუნდა დაკარგული ავტორიტეტი, მაგრამ  
საქმე გვიანი იყო. დავამთავრე იმით, რითაც უნ-  
და დამეწყო.

ახალი მთავარი რეჟისორი ჩემზე უფრო გა-  
მოდებული აღმოჩნდა და მუშაობაც სხვანაირად  
დაიწყო. მისი „საპროგრამო“ სიტყვა ორიოდ  
წუთში დამთავრდა: „თქვენ ყველაფერი იცით  
თქვენი თეატრის შესახებ, მეც ზოგიერთი რამ ვი-  
ცი, ზედმეტი ლაპარაკი საქმეს არ უშველის,  
ხვალ 11 საათზე დანიშნულია ახალი პიესის რე-  
პეტიცია. გთხოვთ არ დაგვიანოთ“. ეს იყო და  
ეს. კოლექტივმა იჩრია საქმიანი რეჟისორი, რო-  
მელმაც თავიდანვე უფრო სწორად აუღო კოლექ-  
ტივის ალო, ვიდრე მე.

მასსადავმე, ერთი მხრივ, ძნელია დაიწყო  
შენთვის უცნობ თეატრში სპექტაკლის მომზა-  
დება, თუ კარგად არ იცნობ თეატრის კოლექ-  
ტივის, ხოლო, მეორე მხრივ, ვერ გავცნობ, თუ  
არ დაიწყებ მასთან პრაქტიკულ-შემოქმედებით  
მუშაობას. ეს დებულებები თითქმის ერთმანეთს გა-  
მორიცხავს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც ამ ორი

უკიდურსობისგან, უკეთესია, რაც შეიძლება, გა-  
დაუდებლად, პრაქტიკულად დაიწყო მუშაობა  
პიესაზე, თორემ კოლექტივის ზედმეტი „მსგვ-  
რულა“ მსახიობების იწვევს გაღიზიანებას, მიი-  
ქმა-მოთქმას და არასასურველი შედეგი მოაქვს.

რეჟისორმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს მსა-  
ხიობის ბუნება, მისი დადებითი და უარყოფითი  
შესარბები, მან უნდა შეაფასოს მსახიობის  
მრავალფეროვანი, ცოცხალი და დამაჯერებელი  
ხასიათების განხორციელება. სწორედ ესაა რეჟი-  
სორის ხელოვნებაში ის უმაღლესი და საბოლოო  
მიზანი, რომელზეც სპობს ყოველდღე კონფ-  
ლიქტს და სრულ კონტაქტს ამყარებს რეჟისორ-  
სა და მსახიობს შორის.

მაგრამ არის იაფი შემთხვევებიც, როცა რე-  
ჟისორისა და მსახიობის შემოქმედებითი ურთიე-  
რობის დროსაც ირღვევა კეთილი ნორმები, რა-  
საც სავალალო შედეგი მოაქვს. ამასთან დაკავ-  
შირებით მაგონდება ასეთი ფაქტი: ერთ-ერთ  
თეატრში ვგდამდი პიესას, რომელმაც მთელი  
დასის მოწონება დაიმსახურა. მთავარი როლის  
შესრულება დავგისრა თეატრის ერთ-ერთ წამე-  
ვან მსახიობს. საჭირო იყო როლის იყო დამე ფსი-  
ქოლოგიური გასნა, მისი ცენზური სიმართლით  
განხორციელება. დაბაბული რეპეტიციების შემ-  
დეგ მსახიობმა გარკვეულ შედეგს მიიღწია, მაგ-  
რამ მუშაობის შემდეგი ეტაპი მოითხოვდა რო-  
ში უფრო ღრმად შეჭრა, ზოგიერთი მნიშვნე-  
ლოვანი დეტალის დაუსტებებს, აქ კი მსახიობს  
აღარ ეყო ნებისყოფა, როლზე მუშაობა დამთავ-  
რებულად ჩათვალა და უარყო რეჟისორის რჩევა-  
დარიგებანი. შევეცადე უფრო ნათლად გაეგნო  
ჩემი დამოკიდებულება როლისადმი. მსახიობს  
მოეთხოვე განგებო როლზე მუშაობა და ფსი-  
ქოლოგიურად გაედრმავებინა იგი. მსახიობი გა-  
კვიტდა და დემონსტრაციულად დატოვა რეპე-  
ტიცია, თეატრის ხელმძღვანელობა იძულებული  
გახდა იგი როლიდან მოეხსნა.

ცნობილია, რომ დრამატურგია საფუძველია  
თეატრისა. ამიტომ თეატრის მთელი ყურადღება  
მიმართული უნდა იყოს დრამატურგისადმი.  
თეატრმა უნდა შესწლოს დრამატურგთან მუშაო-  
ბა, მასთან შემოქმედებითი კონტაქტის დამყა-  
რება. მრავალი ფაქტი არსებობს, ასეთი მუშაო-  
ბის შედეგად, როცა თეატრს საშუალო დონის  
პიესაც აუმაღლებია და წარმატებაც მოუპოვებია.

ჩემი მუშაობის პრაქტიკიდან მაგონდება ასე-  
თი მაგალითი: ჩემთვის და კოლექტივისთვის უც-  
ნობმა დრამატურგმა მოგვიტანა ახალი, თანამე-  
დროვე თემაზე დაწერილი პიესა. წინასწარ გა-  
ვეყვანი პიესას და დავასკვენი, რომ იგი თემა-  
ტურად, იდურად და მხატვრულად ძალიან სა-  
ინტერესო იყო, მაგრამ კოლექტივი უნდობლად  
შეგვდა უცნობ დრამატურგსა და მის პიესას, ზე-  
რულედ მოუხსნა პიესის კითხვას და კატეგორი-  
ულად უარყო მისი დადგმა ჩვენს თეატრში ჩემმა





დაბეჯითებულმა მტკიცებამ არ გასჭრა და იძულებული გახვდა დროებით უარი მეთქვა პიესის დადგმაზე. გვიდა დრო და კვლავ წავიკითხეთ ეს პიესა დასმე კოლექტივს იგი თითქოს მოეწონა, მაგრამ ახლა იმ მსახიობებმა დაიწუნეს, რომლებმაც თავიანთი როლები ვერ ნახეს პიესაში და კოლექტივის ინტერესები კი ნაკლებად აინტერესებდათ. პიესა კვლავ განწირული იყო სცენის მიღმა დასარჩნად.

მე არ დავთმე საკუთარი მოზიციები, პიესა სათითაოდ წავაკითხე იმ მსახიობებს, რომლებსაც ჩემი აზრით, უნდა განესახიერებინათ ამ პიესის გიორები.

ამჯერად სიმართლემ გამიარჯვა. პიესა დავდეთ და მას წარმატებაც ხვდა. შემდეგ სხვა თეატრებმაც დადგეს იგივე პიესა და დღეს უკვე ის დრამატურგიც და მისი სხვა პიესებიც ცნობილია. ასეთი მაგალითი ჩვენს თეატრებში ცოტა როდია.

მაგრამ იშვიათი არაა სხვაგვარი მაგალითებიც, როცა კოლექტივი სამართლიანად ურჩევს რეჟისორს, რომ თეატრისთვის შეუფერებელია ესა თუ ის პიესა, რეჟისორი კი დაქინებით მოიხიხვს მის დადგმას, მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს და... მარცხით ამთავრებს საექტაკლზე მუშაობას. ამ შემთხვევაშიც ირღვევა ეთიკის ნორმები.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი ყოველთვის სწორად აღ ირჩევს პიესას. უფრო სწორად, პიესის მიღება მიიღეს თეატრის კოლექტივის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არ ხდება. მე ეს პიესა მომწონს, — ამბობს ხშირად რეჟისორი და ნაკლებად უწყებს ანგარიშს შემოქმედებითი კოლექტივის აზრს, თანაც არგუმენტად იმას იშველიებს, რომ ოდესღაც კოლექტივის მიერ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად მარჯანიშვილს „ყვარყვარ თუთაბერი“ დაუდგამს წარმატებით, იმას კი აღარ კითხულობს, თვითონ არის კი მარჯანიშვილისეული შემართებისა და რეჟისორული ალღის მქონე. თანაც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მარჯანიშვილს ეთიკური ნორმები დაერღვოს შემოქმედებითი კოლექტივებთან ურთიერთობაში. იგი ყოველთვის ჩვეული ტაქტიკით ელოდბოდა დაერწმუნებინა დასის ყოველი წევრი თავის გადაწყვეტილებაში და ენთუზიაზმით აღანთებდა ყველას.

როგორც ვიცით, თეატრის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია თაობების ცვლა და მათდამი დამოკიდებულება: უფროსი და ახალი თაობის პრობლემა, რამდენადაც ეთიკურია, იმდენად შემოქმედებითია.

მსახიობების და რეჟისორების ყოველი შემოქმედებითი თაობა თავისთავად საინტერესოა. უფროსი თაობის ოსტატობის სიმწიფე, ცოდნა, გამოცდილება დიდ შემოქმედებას ახდენს ახალგაზრდული სითამამის, მგზნებარების, ოპტიმიზმის დაუმრეტელ ძალასა და ენერგიასზე. თეო-

რიულად ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ საქმეა მით, პრაქტიკულ მუშაობაში გაერთიანებას ღვაჭრდა, მაშინაა და უფროსი თაობის შემოქმედებითი ძალებისა, არც ასე ედელია.

დღემდე გადაუწყვეტელია ერთი მტკივნეული საკითხი, კერძოდ, როგორ ურთიერთობაში უნდა იყვნენ დირექტორი და მთავარი რეჟისორი და ვინ უნდა იყოს თეატრის ხელმძღვანელი. სამამულო ომამდე, სამხატვრო ხელმძღვანელის სახით, თეატრს უძღვდა ერთი კაცო—თეატრის რეჟორმატორი და მისი შემოქმედებითი სახის შემქმნელი. დღეს იურიდიულად თეატრის ხელმძღვანელი დირექტორია. მაგრამ თეატრს აქვს თავისი დაუწერელი კანონი, იგი შემოქმედებითი ორგანიზაციაა და საკუთარი მხატვრული სახე უნდა ჰქონდეს ამიტომ რეჟისორმა დირექტორთან კონტაქტში უნდა გამოიყენოს თავისი უფლებები. ეს ასეც არის იმ თეატრებში, სადაც ავტორიტეტული მთავარი რეჟისორები მუშაობენ, მაგალითად: ი. ზავაცკა, გ. ტოტსტონოვი, თ. ფერმოვი, ი. ლიუბიმოვი, ე. სიმონოვი, ე. პლუჩევი და სხვები. დირექტორები მთავარ რეჟისორებს ანიჭებენ უპირატესობას. მათ კარგად ესმით თეატრის ბუნება, მისი ამოცანები და ყველანაირად ეცილობენ ხელი შეუწყონ მთავარ რეჟისორს.

მასასადავმე, ეთიკის საკითხი თეატრში უმნიშვნელოვანესია და არ არსებობს არც ერთი სხვა პრობლემა, რომელიც მასთან არ იყოს დაკავშირებული. ერთ სტატიაში შეუძლებელია თეატრის ყველა ეთიკური საკითხის გაანალიზება. თითოეული მათგანი საგანგებო განხილვის საგანია. ამჯერად ჩვენ მხოლოდ თუხისურად გვავამაგებოვთ ყურადღება იმ ძირითად საკითხების მიმართ, რომლებიც ზოგადად იძლევიან წარმოდგენას თეატრის ეთიკური ნორმების უდიდეს მნიშვნელობაზე.

თეატრის საკითხებზე აღძრული ყოველი დისკუსია, დისპუტ თუ პოლემიკა საბოლოოდ ყოველთვის მჭიდრო კავშირშია ეთიკასთან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს სწორედ დღეს, როცა ასე მწვავედ დგას თეატრისა და მასყურბლის ურთიერთობის პრობლემა.



ალექსანდრ ბუშკინი

სვანა I

სინა-ღარბაზი

ალბერი და მსახური

ალბერი.

ასპარეზობას, ქვეყანა რომ დაიქცეს, მინც  
ვერ დაგაკლდები. აბა, ერთი მაჩვენე კიდევ  
ეგ მუზარადი... (მსახური აწვდის მუზარადს.)

რა დარტყმაა! გახერხილია  
ერთი მოქნევით. არა, მაგის თავზე დახურვა  
აღარ იქნება; გრაფო დელორზე, წყვეულმც იყავ!

მსახური.

მაგრამ თქვენც კარგად გადუნხადეთ, უხანგებიდან  
რომ გააფრინეთ და მიწა რომ მოალოკინეთ.  
მკვდარივით იწვა მთელი ღამე და საეჭვოა  
გამომოჯობინდეს.

ალბერი.

მაგრამ თორი ხომ მთელი შერჩა,

არ იზარალა სამკერდული ვენციური,  
მკერდი კი იმას, საკუთარი, არაფრად უღირს.  
არ დასჭირდება ახლის ყიდვა. რატომ იქავე  
თავს არ ავხადე მუზარადი. მაგრამ ჰერცოგის  
სეფექტალების მომერიდა, რაღას ვიზამდი.  
ნეტავი თავი გაეხვრიტა ჩემთვის იმ წყევულს!  
ჯუბაც არა მაქვს, მჭირდება კი. უკანასკნელად  
იქ რომ ვიყავი სადარბაზოდ, რაინდებს — ყველას —  
ოქსინო ეცვათ და ხავერდი, ჰერცოგის სუფრას  
მარტო მე ვუკრე თორაბჯარში. სხვა რა გზა მქონდა:  
შემთხვევით მოგხვდი კარზე-მეთქი, მოვიმიჯნე.  
რით გავიმართლო ახლა თავი. ო, სიღარიბე,  
როგორ ამცირებს შენი სუსხი რაინდის ყოფას!  
როცა კისკასად ჩამიქროლა გვერდით დელორემა  
და მუზარადი გადამიგდო მძიმე პოროლით,  
მე დეზი ვკარი ჩემს ამირას, ჭარაშოტივით  
ვეძებე გრაფს და პირშიშველა მორკინალივით

# ქუნში რანილი

# კუმკინი 175

ძირს დავანარცხე. რა უცერად წამოიშალენ  
ადგილებიდან სეფეკალნი! თვითონ კლოტილდამ  
თვალებზე ხელი აიფარა და უნებურად  
შეჰკვილა, ხოლო ჰეროდებნი მიქებდნენ დარტყმას.  
რაინდთა შორის ჩემს უცნაურ ძალმოჭარბების  
და გულფიცხოვის მიზეზს მაშინ ვერავინ მიხვდა.  
გაშმაგებული ვიყავე ჩემი მუზარადისთვის:  
რა იყო ძირი გმირობისა, როგორ გგონია?  
სიძუნწე, — დილა! მამაჩემის ციხე-დარბაზში  
ძნელი არაა ზნე და ფერი იცვალოს კაცმა...  
ამირას ფეხი როგორა აქვს?

მ ს ა ხ უ რ ი.

კოჭლობს საწყალი.

ჯერხნობით მასზე ვერ შეჯდებით.

ა ლ ბ ე რ ი.

ისევ ქურანა

უნდა ვიციდო, სხვა არა მაქვს გამოსავალი.  
ბევრსაც არ მოხოვენ.

მ ს ა ხ უ რ ი.

მაგრამ ფული, ფული სად არი?!

ა ლ ბ ე რ ი.

ის უმაქნისი სოლომონი რას ამბობს ნეტა?

მ ს ა ხ უ რ ი.

იმას ამბობს, რომ ამას აქეთ არ შეუძლია  
გვასესხოს ფული, თუ გირაოს არ ჩავაბარებთ.

ა ლ ბ ე რ ი.

მაგრამ, რჯულდადლო, ეს გირაო სად ვიშოვნო-თქო?

მ ს ა ხ უ რ ი.

მეც ეს ვუთხარი.

ა ლ ბ ე რ ი.

მერე?

მ ს ა ხ უ რ ი.

კუთავს და იგრიხება.





ა ლ ბ ე რ ი.  
კი მაგრამ, გეტყვა, სხვათა შორის, რომ მამაჩემმა  
ურიასავით მდიდარია, ადრე თუ გვიან  
მე რომ დამრჩება მამაჩემის საბადებელი.

მ ს ა ხ უ რ ი.  
გუთხარი.

ა ლ ბ ე რ ი.  
მერე?

მ ს ა ხ უ რ ი.  
კუთავს ისევ და იგრისება.

ა ლ ბ ე რ ი.  
ო, რა დღეში ვარ!

მ ს ა ხ უ რ ი.  
ასე მითხრა, გამოვივილიო.

ა ლ ბ ე რ ი.  
მადლობა უფალს! უსასყიდლოდ ვერც გადმირჩება.  
(კარზე აკაკუნებენ.)

ვინ არის, — შემო.

უ რ ი ა.  
მე ვარ, თქვენი მონა-მორჩილი.

ა ლ ბ ე რ ი.  
ა-ა, სოლომონ!... აქეთ მოდი!... წვეულო ჩარჩო,  
ურიაც სინდისგარეცხილო, ნისიას უკვე  
ალარ მენდობი?

უ რ ი ა.  
მოწყალეო თავადიშვილო.  
თქვენი მადლი ნუ გამიწყდება, გამატიალა  
მე რაინდების სამსახურმა, სადა მაქვს ფული?  
არავინ მიხდის ვალს, მე თვითონ სათხოვრად მოველ,  
ვინძლო ნაწილი დამიბრუნეთ, ვინძლო...

ა ლ ბ ე რ ი.  
ყაჩაღო!  
ფული რომ მჭონდეს, როგორ ფიქრობ, გაგიყადრებდი  
თავს, უკუღმართო! ნულა ოინობ, ჩემო სოლომონ,  
დამევევი ნებას, სანამ შენ თავს გავაჩხრეკინებ.  
სულ რაღაც ასი ოქრო მინდა.

უ რ ი ა.  
ასიო? ღმერთო!

ერთი მარჩილიც რომ გამაჩნდეს.

ა ლ ბ ე რ ი.  
ნუთუ სინდისი  
გადიწურე სულ მთლად, შენი მეგობრის დახსნა  
რომ ალარ გინდა?

უ რ ი ა.  
თავა ვფიცავ...

ა ლ ბ ე რ ი.  
ჰო, კარგი. მორჩი.  
გირაო გინდა, — ხომ ასეა? მაგრამ იფიქრე —  
რა უნდა მოგცე გირაოში, თქვი, ღორის ტყავი?  
მოსაცემი რომ რამე მჭონდეს, დიდი ხანია  
გზას ვუჩვენებდი. ანდა იქნებ რაინდის სიტყვას,  
შე მართლა ღორო, აღარაფრად არ აგდებ?

უ რ ი ა.  
სანამ  
ცოცხალს გხედავთ, დიაღაც რომ ოქროდა ფასობს  
ეგ თქვენი სიტყვა, ფლამანდის ყველა საგანძურს



და ოქროებით გ.მოტენილ ზანდუკებს იგი თილისმასავით გახსნის უმალ, მაგრამ თუკი მას მე ჩამაბარებთ, გაკოტრებულ, საწყალ ებრაელს, ამ დროს კი (ღმერთმა დაგიფაროს.) მოკვდებით, ზაშინ უძირო ზღვაში გადავდებულ ზარდახშის კლიტეს დაემსგავსება იგი...

ა ლ ბ ე რ ი.

ნუთუ მე მამაჩემზე

ადრე მოკვდები?

უ რ ი ა.

ვინ რა იცის? უღმობელია განგების ხელი! აგერ გუშინ ვარსკვლავს რომ წყვეტდა, იმ ჭაბუკს თოხი ბერიკაცი წელში მოხრილი დღეს საფლავისკენ მიასვენებს. ღმერთმა ინებოს, ბარონმა კიდევ ოცი წელი და ოცდაათიც რომ იდღერებოდას.

ა ლ ბ ე რ ი.

თავს ნუ იგდებ, რა — ოცდაათი! ოცდაათი წლის შემდეგ მე ხომ ორმოცდაათი მომიკაკუნებს და მაშინ ფულს რა თავში ვიხლი?

უ რ ი ა.

ფულსო? ო, ფული საჭიროა ყველა ასაკში, მაგრამ ჭაბუკი მას იყენებს ფეხბარდ მსახურად და უშოწყალოდ აქეთ-იქით დაარბენინებს. ბერიკაცი კი მასში ერთგულ მეგობარს ხედავს და უფრთხილდება ამიტომაც თვალისჩინივით.

ა ლ ბ ე რ ი.

არა! მამაჩემს არც მეგობრად და არც მსახურად არ მიაჩნია იგი, მისთვის კერპია ფული. ემსახურება მას თვითონვე, და მერე როგორ? როგორც უხამსი მონა, როგორც ჯაჭვზე დაბმული ნაგაზი. აკი ზამთარ-ზაფხულ თავის ხუხულას არა შორდება. ხმელ პურზე და წყალზე გადადის. თვალს არა ხუჭავს მთელი ღამე. ყვეს და წრიალებს. ზანდუკებში კი უდრტიწიველად სძინავთ ოქროებს... ხმა-მეთქი! ჩემი დღეც დადგება და იმ ოქროებს დაავიწყდებათ მშვიდი ძილი.

უ რ ი ა.

ჭეშმარიტს ბრძანებთ!..

ბარონის სიკვდილს ცრემლზე მეტად ფული იტირებს... ღმერთმა ქნას, მალე ჩაიბაროთ მემკვიდრეობა.

ა ლ ბ ე რ ი. Amen!

უ რ ი ა.

ან იქნებ...

ა ლ ბ ე რ ი.

რაო, იქნებ?

უ რ ი ა.

არის სხვაგვარი

გამოსავალიც...

ა ლ ბ ე რ ი.

ჰო, როგორი, აბა!

უ რ ი ა.

ისეთი...

ერთი ნაცნობი ებრაელი ბებერი ვიცი, აფთიაქარი...



Emet-dome Mtsakoban  
Lugal Anshu 2. 1911



ა ლ ბ ე რ ი.

შევახსენა შენსავით გლახაკს

და უკეთური თუ ცოტათი პატიოსანი?

უ რ ი ა.

არა, ტობიას დახლი უდას სულ სხვანაირი —  
წვეთებს აზავებს... გაგაოცებთ მათი ძალუმო  
ზემოქმედება.

ა ლ ბ ე რ ი.

კი მაგრამ, მე რაში მარგია?

უ რ ი ა.

სამიოდე წვეთს გააზავებთ ერთ ჭიკა წყალში...  
არც გემოს მისცემს და არც ფერი არ დააჩნდება.  
კაცი კი ამ დროს მუცლის გვერდის, პირისსაქმების,  
კრუნჩხვის გარეშე სულს ეყრება.

ა ლ ბ ე რ ი.

შენი ბებერი

აფთიაქარი, როგორცა ჩანს, საწამლავეს ყიდის.

უ რ ი ა.

ჰო, საწამლავესაც...

ა ლ ბ ე რ ი.

მერე რაო, რას აძობო მავით.

ფულის მაგივრად საწამლავეს თრასი შუშა  
გინდა მომართვა, თითო ოქროვ? ამას მპირდები?

უ რ ი ა.

დამცინით ალბათ, გაიხარეთ!.. მე... მე ვფიქრობდი...  
იქნებ თქვენ გსურდათ... მე მგონია, დრო არის უკვე  
ბარონმა სული მიაბაროს მამაზეციერს.

ა ლ ბ ე რ ი.

როგორ! მოვწამლო საკუთარი მამა? შე წუწკო,  
როგორ მიბედავ!.. ო, ასპიტო, პირგესლიანო! (მსახურს)  
შეჭკარ ახლავე, არ გაუშვა! იცი თუ არა,  
რომ ამ წუთსავე ჩამოგივლებ კარიბჭის ძელზე  
და ვერაფერი ვერ გიმშველის.

უ რ ი ა.

ო, მამატკით.

დამნაშავე ვარ... მე გეზუმრეთ...

ა ლ ბ ე რ ი.

შეჭკარი-მეთქი!

უ რ ი ა.

ო, მე... გეზუმრეთ, მე ფული მაქვს წამოღებული...

ა ლ ბ ე რ ი.

თავიდან მომწყდი, უკეთურო!  
(სოლომონი გადის. მიმართავს მსახურს.)

აი, სადამდე

მივცავარ ჩემივე საკუთარი მამის სიძუნწეს.  
ხედავ, ურიამ, მაგ ურჯულომ, რა გამიბედა?  
ღვითი დამისხი ერთი ჭიკა! სიბრაზისაგან  
ვკანკალებ სულ მთლად... მაგრამ ფული, რომ მაინც  
მინდა!

წადი იმ წვეულს დაეწიე და რაც ოქრო აქვს,  
წაართვი ბარემ... მომიტანე საწურ-კალამიც,  
რომ ხელწვერილი დავუწერო. ოღონდ, ითახში,  
ნუ შემოიყვან მაგ იუდას, ნუ დამანახებ!  
თუმცა მოიცა, მის ოქროებს მისი ძე წინაპრის  
ვერცხლივით ალბათ საწამლავეს სუნი აუვა...  
ღვინო დამიხი, რა გითხარი!



რომ აღარა გვაქვს!

ალბერი.

ის რაღა იქნა, რემონმა რომ გამომიგზავნა ესპანეთიდან?

მსახური.

ის გუშინლამ — უკანასკნელი ბოთლი ავადმყოფ მქედელს მივე.

ალბერი.

ჰო, მახსოვს, კარგი...

მაშ, წყალი მიმე. რა ვუთხარი ასეთ ცხოვრებას! არა, გადაწყდა, სამართალი უნდა ვეძიო, პერცოვთან მივალ, აიძულის იქნებ ბარონი, მომეპყრას ისე, ვით შეპყვრის ძეს მხოლოდშობილს და არა ვირთხას ჯურღმულისას.

სცენა II

საბანაურში.

ბარონი.

ვით ქარაფშუტა ახალგაზრდა ელის პაემანს მემრუჭე ქელთან, ან ცრუ სიტყვით დამბულ დიაცთან და სული მისდის, ეგრევე მეც სულმოთმენლად ამ წუთს ველოდი მთელი კვირა, სანამ იღვამულ ჩემს საგანძურში ამ ზანდუკებს არ მოვაკითხე. სვიანი დღე მაქვს! დღეს ჩემს ზანდუკს რიგით მეექვსეც ( ზანდუკს ჯერ ნაკულუს.) ერთი მუტა ოქრო შევმატე. ცოტაა იქნებ? მაგრამ თქმულა: თითოწვეთობით აივსებაო ზღვის უფსკრული. წაკითხული მაქვს: ხელმწიფეს ერთხელ თავის სპისთვის უბრძანებია, წაეღოთ მიწა თითო მუტა და დაეყარათ დანიშნულ ადგილს, სადაც მიწა ჯერ აიბორცვა, მერე კი იქცა ქედამართულ გორაკად და ის ხელმწიფე თურმე იმ ქედიდან გადასცქეროდა თეთრი კარვებით გადაპენტელ მინდორს და ზღვასაც, ზედ მოსრიალე გემებით და ხომალდებითურთ. მეც ყოველ კვირა თითო მუტა ოქროს მოტანით აქ, საგანძურში ავამალღე თანდათანობით ჩემი გორაკი და მაღლიდან დავსცქერი ახლა ყველაფერს, რაც ჩემს ხელმწიფეებს ემორჩილება. რაღა არ არის ჩემს ხელკვეთზე? მე შემბღლია ამიერიდან წუთისოფლის ვიყო გამრიგე! მოვისურვებ და პალატები აღიმართება, უმშვენიერეს ბაღნარებში ჩემს დამახილზე უცბათ მობიბენს ულამაზეს ნიმფების გუნდი. მუზები ჩენს წინ მოიღებენ თავიანთ ალაფს, თვით ქედუზრელი გენიაც კი დამემონება და სათნოება და გარჯილი, უძილო შრომაც ისევე ჩემს ჯილდოს და საწყურს დაეულოდება. დავუსტვენ მხოლოდ და მორჩილი ზმუილით ჩემკენ სისხლით მოთხვრილი ბოროტება მოიზლანება, მოვა და ხელებს დამილომნის, თვალეზმი მუნჯად მომაშტერდება, რომ გაიგოს ჩემი გულისთქმა. ჩემს მეუფებას მონებს ყველა, გულითუძრავი, მარტო მე არვის ვემონები ამ საწუთროში,





ყველაზე მაღლა მაქვს საუფლო, ყველაფრის ზვეტი  
ვიცი, რა ძალით ვარ მორტყმული და მამოშინეებს  
მარტოლენ ამის გაფიქრებაც...

(დასცქერის თავის ოქროებს.)

ცოტაა თითქოს,

მაგრამ განა არ აიწონის მათი სიმძიმე  
კაცთა ზრუნვას და სიდუხჭირეს, ჭირსა და ვარამს,  
წყველას, ვედრებას, უბედობას, მუხანათობას?  
აქ არის საღლაც ძველებური დრაკანი... ავერ!  
ქვრივმა გადმოძეცა ეს დრაკანი, მაგრამ მანამდე  
ჭიშკართან, ჩემი ფანჯრების წინ სამი ბალღითურთ  
მუხლებზე იდგა და მიუღიო დღე ღმერთა. წვიმამ  
ამასობაში გადაიღო, გავწვიმდა ისე,  
ის კი — თვალთმაქცი — არ იძვროდა. შემძლო მისი  
გაგდება, მაგრამ წინაღწივე მიგრძობდა გული,  
რომ მოტანილი ექნებოდა თავის ქმრის ვალი  
და ხვალ ციხეში წაბრძანებას არ ისურვებდა.  
ხოლო ეს? ეს მე მომიტანა უწინა ტიბომ,  
ნეტა საიდან გამოჩნჩია ჩიტირეკიამ?  
მოიპარავდა უსათუოდ! თუმცა, ვინ იცის?  
იქნება სადმე შარავაზე, ღამით, ჭალაში...  
ასე! რაც აქ საუნჯეა გადანახული,  
მისთვის დაღვრილი ყველა ცრემლი, სისხლი და ოფლი  
ერთბაშად მიწის გულიდან რომ ამოსცდარიყო,  
წარღვნიდა სისხლის ნიაღვარი ქვეყანას და მეც  
ჩემს ზანდუკებთან დამაღრჩობდა... ახლა კი დროა!  
(ზანდუკის გაღებას აპირებს.)

ყოველივის, როცა დაეუბირებ ზანდუკს გაღებას,  
ცხრო მომივლის და უცნაური თრთოლა ამიტანს.  
კი არა ვშიშობ (მეშინოდეს ვისიმე? რატომ?  
მახვილი თან მაქვს და მტერს პასუხს იგი მიაგებს  
საკადრისს!) მაგრამ მეუწრება როგორღაც გული  
ამოუსხნელი წინათგრძობით... არისო ხალხი,  
მედიოკობი გვარწმუნებენ, კაცის კვლამი რომ  
უცნაურ შვებას ნახულობენ. როდესაც ბოქლომს  
გასაღებს კურგებ, მე თავად ვგრძობ, რას უნდა

გრძობდნენ  
ისინი, როცა თავიანთ მსხვერპლს დანას უყრიან:  
საშინელებას და უცნაურ შვებას...

(აღებს ზანდუკს)

ჩემი შვება და ნეტარება! (შიგ ყრის ოქროს.)

გვეოთ წაწაღლი

კაცთა ვნებების სამსახურად! აქ დაისვენეთ,  
და ცათა შორის მიძინებულ ღმერთების მსგავსად,  
თქვენც მიძინეთ მაგარი და ნეტარი ძილით...  
მინდა დღეს ჩემთვის მოვილხინო: სანთელს დავუნთებ  
თვითეულ ზანდუკს და მათ შორის უხმოდ ჩამდგარი  
თავახილო ოქროს დავაცხრები თვალდამშუელო.  
(მიყოლებით ხსნის ზანდუკებს და სანთლებს უნთებს.)  
მე მაქვს მეფობა ამ ჯადოქრულ ოქროზე! მე ვარ  
მისი პატრონი და უფალი! ამ ქვეყანაზე,  
ბედნიერებით და ღირსებით მორტყმული მისგან  
დავთარები!. მაგრამ შემდეგ, ჩემს შემდეგ მასზე  
ვის უნდა დარჩეს ხელმწიფება? შემკვიდრეს ჩემსას,  
ამ შლეგს და მფლანგველს, მემრუშეთა უბადრუკ არიფს?..  
გაცივებასაც არ დამაცლის, როცა მოგვედები —

სანთელი  
მეფობა



ჩემი შვება (სა) ...  
ნეტარება



III ანთროპო  
III ანთროპო  
III ანთროპო



მეფობა შიგ

ის, ის — უგვანი! აჰ, ამ მყუდრო თაღების ჩრდილში  
შემოიჭრება მოქეიფე კარისკაცების  
და უტიფარი როსკიპების მთვრალი ამალით,  
წამგლეჯს გასაღებს და უშვერი სიცილ-ხარხარით  
დახსნის ზანდუკებს! და ეს ჩემი ნაწვავა-ნადავი  
იმათ გახვრეტელ ჯიბეებში ჩაჩხრიალდება.  
ოქროს ბარძიმებს იავარყოფს, დაღუწავს თასებს,  
სამეუფეო ზეთით მიწას გააძღობს, ყოველს —  
გაფლანგავს, გასცემს, ქარს გაატანს, გააპარტახებს!..  
მაგრამ ვიცი თხოთ, რა უფლებით? ყველაფერი ეს  
მე განა ქარმა მომიტანა, ან კიდევ ციდან  
ჩამომივარდა! არა, ოქრო ყომარბაზივით  
კამათლის ერთი გადაყრით არ მომიხვევტია!  
ვინ დაიჯერებს, თუ რამდენი უძილო ღამის,  
დაოკებული ვნების, მწარე თავმეკავების,  
ფიქრის და ზრუნვის ფასად მიღირს ეს ყველაფერი?  
ან იქნებ მეტყვის ჩემი ძე, რომ ხავსი მომგლო,  
რომ გული ვნებით არასოდეს ამძვრებია,  
ან არასოდეს განმიცდია სინდისის ქენჯან?  
სინდისი! — გულში მოწრიალუ პატარა მხეცი,  
ღამის სტუმარი აბეზარი, ტლანქი შევალე,  
ეს მაძახურა კუდიანი, რომელიც მოთვარეს  
აბნელებს ხოლმე, რომ საფლავში აჭრილი მკვდრები  
დედამიწაზე ამორეკოს... არა! ჯერ იგრძენ,  
იწვნიე, თვითონ გამოსცადე სიმწარე ჩემი  
და მერე ვნახოთ — ჭინჩახული, — როგორ გაფანტავ  
იმას, რაც სისხლით გიმოვინა... ნეტა შემეძლოს  
ამ საგანძურის გადამაღვა ავი თვალისგან!  
ნეტა შემეძლოს საფლავიდან აქ მობრუნება,  
რომ ზანდუკებზე არჩილივით წამოსკუპულმა  
ცოცხლებისაგან დაეფარო ეს ჩემი განძი,  
როგორც აქამდე ვიფარავდი!...

სცენა III

სახალუზი.

ა ლ ბ ე რ ი, ჰ ე რ ც ო გ ი

ა ლ ბ ე რ ი.

მერწმუნეთ, თქვენო მეუფეებო, დიდხანს ვითმინდი  
ხელმოკლეობის მწარე სირცხვილს და მტისმეტად  
რომ არ მიჭირდეს, საჩივრით თავს არ შევაწყენდი.

ჰ ე რ ც ო გ ი.

მჯერა, დიაღაც, თქვენისთანა კეთილშობილი  
რაინდი მამას ბრალს არ დასდებს, არ გაამტკუნებს,  
თუ უსაშველო ჭირი არ სჭირს. თუმცა არიან  
გულარძინილებიც... ნულა ჯავრობთ, მამათქვენს ცალკე  
გაგუწევ თათბირს, დავტუქსავ და დაეყოლიებ.  
მას ველოდები ახლა სწორედ, დიდი ხანია  
აღარ მინახავს. მეგობრობდა წინათ პაპაჩემს! —  
ჩემს ბავშვობაში, ცხენზე ბევრჯერ შევეჯენივარ;  
თავის მუზარადს დამხურავდა ხოლმე, საოწპარს,  
მძიმე ზარივით უზარმაზარს.  
(ფანჯარაში იცქირება.) ის არის, მგონი.

ა ლ ბ ე რ ი.

გახლაეთ!





ქ ე რ ც ო გ ი.

მიბრძანდით იმ ოთახში. მე დაგეგმავთ.  
(ალბერტი გადის. შემოდის ბარონი.)  
უფალმა მოგვეთ მუხერძელობა! მიხარის დიდად,  
გულმხნედ რომ გხედავთ და ჯანმრთელად!

ბ ა რ ო ნ ი.

ჩვენო პატრონო,  
ბედნიერი ვარ, რომ შევეძელი ბრძანებისამებრ  
გსლემბოდით კარზე.

ქ ე რ ც ო გ ი.

დიდი ხანი გავიდა უკვე,  
რაც არ გვინახავს ერთმანეთი. მე თუ გახსოვართ?

ბ ა რ ო ნ ი.

თუ მახსოვხართო? ცხადად, თითქოს ახლა გხედავდეთ,  
ცოცხლი ბავშვი ბრძანდებოდით. ჰერცოგი ხშირად  
მეტყობდა ხოლმე, ცხოვნებულ: ფილიპე ჩემო  
(ის მე ფილიპეს მებახოდა მუდამ), ხომ ხედავ?  
ოცი წლის შემდეგ ეს რას იზამს? მე და შენ ალბათ  
შუმ ტუტუტებად გამოუჩნდებით ამ ბაღლის გვერდით,  
ამ ბაღლის, ანუ... თქვენ წინაშე...

ქ ე რ ც ო გ ი.

ეს მახლობლობა  
ჩვენ კვლავაც უნდა აღვადგინოთ. სულ დაივიწყეთ  
თქვენ ჩემი კარი.

ბ ა რ ო ნ ი.

დავებრდი მე, ჩემო პატრონო,  
რაღა დროს ჩემი კარს ყოფნაა, თქვენ გაიხარეთ  
ასპარეზობით, დაბაზობით, ჟამი თქვენია.  
მე გარდავსულვარ! დმერთმა ომი თუკი ინება,  
კიდევ მივათრევ ჩემს ბებერ ძველბს ცხენის ზურგამდის,  
კიდევ მეყოფა მკლავში ძალა ხმლის მოსაქნევად,  
მამულისა და თქვენი მტერი რომ დავიფრინო.

ქ ე რ ც ო გ ი.

თავადო, თქვენი ერთგულება გვეთნევა ფრიად.  
თქვენ მეგობრობდით ჩემს დიდ პაპას, მამაჩემი კი  
ვაჯვაცობისთვის გაფასებდათ. და მეც ყოველთვის  
მიმანდით ერთგულ, თავდადებულ, მამაც რაინდად.  
მაგრამ ცოტა ხანს დავიმუხლოთ... შვილები თუ გყავთ?

ბ ა რ ო ნ ი.

ვაჭი მყავს ერთი.

ქ ე რ ც ო გ ი.


სასახლემი ვერ ვხედავ რაღაც!  
თქვენ კარმა თავი მოგაბეზრათ, მაგრამ მის ხანში,  
მისი წოდების ჭაბუკს მართებს გვეახლოს კარზე.

ბ ა რ ო ნ ი.

ჩენს ძეს არ ხიბლავს სეფექალთა შორის ტრიალი,  
უხიაგია და პირქუში. უცნაური ზნე  
დასწემდა, ტყეში ლამაზობით მარტოკა დაძრწის,  
როგორც ირემი მარტოხელი.

ქ ე რ ც ო გ ი.

საკადრისია  
გატყიურება, თქვით, ასეთი? ჩვენ მოვარჯულებთ  
მას სახიობით, დაბაზობით, ასპარეზობით.  
გამომიგზავნეთ უსათუოდ! შვილს დაუნინწეთ  
თავის წოდების შესაფერი ხელის სახარჯო...







თქვენ იღუშებით. გზა დაგლღიდათ, თუმცა ამაში არაფერია გასაკვირი...

ბ ა რ ო ნ ი.

თქვენ გააწვილეთ მოხუცი, თქვენო მეუფებავ, მე არ მინდოდა შეიღოს ამბავი გამემხილა. თქვენ მაიძულეთ, გამოგიცხადოთ დაფარული: საუბედროდ, ჩემი ძე თქვენი არც წყალობის, არც ყურადღების ღირსი არ არის. ბიწიერ და უმსგავს ქეიფში ატარებს იგი სიჭაბუკეს...

ქ ე რ ც ო გ ი.

მარტოდმარტოა

და ეს იმიტომ ემართება, მოცალოებით გალაღებული სიმარტოვე ღუპავს ჭაბუკებს. გამომიგზავნეთ! მიყრუებულ ციხე-დარბაზის ველური ზნე აქ, სასახლეში დაავიწყდება.

ბ ა რ ო ნ ი.

რა გითხრათ... თქვენო მეუფებავ, მომიტყევეთ მე, ვერ დამითანხმებთ მაგ საქმეზე.

ქ ე რ ც ო გ ი.

კი მაგრამ, რატომ?

ბ ა რ ო ნ ი.

გთხოვთ, დამითხოვოთ ბერიკაცია...

ქ ე რ ც ო გ ი.

მე კი მოვითხოვ,

გამაგებინოთ ამ უარის მიზეზი!

ბ ა რ ო ნ ი.

შეილზე

მე გამწყალი ვარ.

ქ ე რ ც ო გ ი.

მაგრამ რ, ტომ?

ბ ა რ ო ნ ი.

გულში ჩემდამი

ავი ზრახვა აქვს და იმიტომ.

ქ ე რ ც ო გ ი.

რა ავი ზრახვა?

ბ ა რ ო ნ ი.

გთხოვთ, დამითხოვოთ...

ქ ე რ ც ო გ ი.

უცნაური ამბავი ხდება, —

იქნებ გრცხენიათ მის მაგივრად?

ბ ა რ ო ნ ი.

მრცხენია, დიას.

ქ ე რ ც ო გ ი.

არ მეტყვით, რა ჰქნა მან ასეთი?

ბ ა რ ო ნ ი.

მას... ჩემი მოკვლა

უნდოდა...

ქ ე რ ც ო გ ი.

მოკვლა? მაშ, სამსჯავროს გავუწერ ასლავ, როგორც გულბოროტ დამნაშავეს.

ბ ა რ ო ნ ი.

მე ვერ დავიწყებ

ამის მტკიცებას, თუმცა ვიცი დანამდვილებით, რომ სიკვდილს ნატრობს იგი ჩემსას, თუმც უტყუარად მე ის ვიცი, რომ აპირებდა...



პერცოგი.

რას?

ბარონი.

ჩემს გაქურდვას.  
(დარბაზში ალბერი შემოვარდება).

ალბერი.

ცრუობთ, თქვენ ცრუობთ!

პერცოგი.

როგორ ბედავთ!..

ბარონი.

ო, მამ, აქა ხარ,  
შე უმაღურო! და მამაშენს ამას უბედავ?  
ვცრუობ, ხომ?! მერე სად? ჰერცოგის წინაშე? არა,  
ალარ ვყოფილვარ შე რაინდი!.. და შენ უძღებო...

ალბერი.

სიცრუეს ამბობთ!

ბარონი.

ო, ცა რატომ თავს არ მენგურევა...  
მამ, ხმაღმა, ხმაღმა გაგვასწოროს!  
(ხელთათმანს ესვრის ალბერს. იგი სწრაფად იღებს  
ხელთათმანს)

ალბერი.

დიდი მადლობა!

აი, პირველი საჩუქარი მშობელი მამის!

პერცოგი.

ღმერთო, რა ხდება! ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა?  
მოხუცი მამის გამოწვევა მიიღო შეილა...  
რა დროს ვიტვირთე ჰერცოგობა! გეყოფათ-მეთქი,  
დადუმდიო, შლეგნო! შენც გულბნელი მოხუციო, და შენც,  
ლომის ბოკვერო! მომეცი აქ ეს ხელთათმანი!  
(ართმევს ხელთათმანს).

ალბერი.

დიდადა გწუხვარ.

პერცოგი.

ჩაჰფრენია ბრჭყალებით! — მხეცო!  
გასწით და სანამ არ მოგიხმობთ, არ დამენახოთ  
თვალთ! (ალბერი გადის).  
თქვენ კი... თქვენ, უბუნურო მოხუცო, ნუთუ  
არა გრცხვენიათ?


ბარონი.

მომიტყვეთ, ბატონო, მაგრამ...  
ვეღარ ვერევი თავს... მუხლები მღალატობს თითქოს...  
სუნთქვა მეკვრება... ვიზუთები!.. ოჰ, გასაღები!..  
სადაა ჩემი გასაღები!..


პერცოგი.

გათავდა! ღმერთო,  
რა საშინელი დრო დაგვიდგა, რას მოვესწარით?!

თარგმნა თაზაზ ჩანაქალა



ჯალრი ფალმილან „ქრისტინე“.



მრგვალი  
მაგიდა

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ინიციატივით მოეწყო საქართველოს მწერლებისა და კინემატოგრაფისტების შეხვედრა-საუბარი კინოდრამატურგიის აქტუალურ საკითხებზე, მწერლის როლზე ეროვნული კინოხელოვნების განვითარებაში.

შეკრებაზე, რომელიც გახსნა სტუდიის დირექტორმა, კინორეჟისორმა რამაზ ჩხიშიძემ, საინტერესო მოსაზრებებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მან გულაბაძემ, მწერალთა კავშირის პირველი მდივანი თინათინ ბუაჩიძემ, მდივნები — იოსებ ნინუაშვილი და ნოდარ ღუმუაძე, პოეტები პარლო კალაძე და ლადო სულაბერიძე, კრიტიკოსი გურამ გვირგვინიძე, დრამატურგები რამაზ თაბუაშვილი და რამაზ მებრაღიძე, კინორეჟისორები სიკო ღოღოძე, ლანა ღოღოძე-ბერიძე და ელზარ ზენებელიანი, მსახიობი დოდო აბაშიძე, სტუდიის სასცენარო-სარეჟიჟო კოლეგიის მოხვარი რედაქტორი გივი ღვალტიანი.

# ქართული მწერლები და კინო

რამაზ ჩხიშიძე:

ყველასთვის ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლობას ეროვნული კულტურისა და ხელოვნების, კერძოდ, კინოხელოვნების განვითარებაში. ქართული კინოს ყოველი გამარჯვება მუდამ დაკავშირებულია ქართულ მწერლობასთან, მის მიღწევებთან. გავისსენოთ თუნდაც პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭალენსუში“, რომელიც 1912 წელს გადაიღო პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა. ეს ფილმი გაცისკროვნებულია დიდი პოეტის შთამაგონებელი სახით. ასევე პირველი ქართული მხატვრული ფილმიც „ქრისტინე“, რომელიც რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ შექმნა, წარმოადგენს ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების ცნობილი მოთხრობის ეკრანიზაციას. პირველი ქართული საბჭოთა მხატვრული



ფილმის „არსენა ჯორჯიაშვილის“ სცენარი მწერალ შალვა დადიანის კალამს ეკუთვნის.

მომდევნო წლებშიც ქართული კლასიკური მწერლობა განსაზღვრავდა ქართული კინოს დონეს, მიგვანიშნებდა მის მაიმუდებელ პერსპექტივებზე. ქართულ კინოში სასიამოვნო ტრანსფორმაცია განიცადა ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიანელის, სერგო კლდიაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, დემნა შენგელაიას ნაწარმოებებმა. ქართული კინოდრამატურგიის ავანგარდში დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევიან ჩვენი მწერლობის მომდევნო თაობების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც ჩინებულად აგრძელებენ დამკვიდრებულ ტრადიციას. ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულავერი, რევაზ ჯავახიძე, რევაზ თაბუკაშვილი, ნოდარ წულუკისკირი, რევაზ ინანიშვილი, რევაზ ებრაძიძე, მერაბ კლითიშვილი, აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები, რომლებიც ახლა მოდიან კინოდრამატურგიაში, ქმნიან იმ ფასეულობას, რომელიც უდავოდ შედის ქართული კულტურის მდიდარ მკანძნურში. მაგრამ, თუხედავად იქ ჩამოთვლილ მწერალთა საკმაოდ სოლიდური რიცხვისა, მიმანია, რომ ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფს ჯერ კიდევ არა აქვს ის მჭიდრო კონტაქტი, ის სისხლსორცველი სახსლოები, რაც ეუბნებებოდა ეროვნული კინემატოგრაფიის აღმავლობა-განვითარებისთვის.

დრამა ვარ დაწერებულა, რომ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების რიტმი და არმი მრავლად წარმოშობს ახალ აქტუალურ თემებს, სიუჟეტებს, თვალსაჩინოს ხდის ახალი ადამიანის სახეს, თავისი სულიერი და მორალურ-ეთიკური თავისებურებებითა და ნორმებით. ბევრი მწერალი მას სათუთად დაატარებს ოცნებაში და ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია რომანისა თუ მოთხრობის ფორმაში.

თუ ამ გარემოებასაც გაითვალისწინებთ, კიდევ უფრო დაგრწმუნდებით, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი დღევანდელი შესვენდრა, მით უმეტეს, თუ საუბარი იქნება გულახდილი, საქმიანი და პრინციპული. ვისაუბროთ იმაზე, რა პრობლემები გვაღვლეებს, რას ვაკეთებთ მოსაწონს, სად ვუშვებთ შეცდომას, რომლის დროზე შეინიშნა და დაძლევაც აუცილებელია, რა თემებს მივაქციებთ მითავარი ყურადღება, რა სჭირდება დღეს ჩვენს ხალხს ისეთი, რომლის კინოში გადატანაც აუცილებელია, თუკი გვსურს კინო იყოს მაქსიმალურად თანამედროვე, ეროვნულ-ინტერნაციონალური, ჭეშმარიტად ხალხური, რომელიც ჩვენი თანამემამულთა ზედსა და პერსპექტივაზე ილახარაკებს. ასეთი კონტაქტები და საუბრები ჩვენი წინასწარ უდავო გარანტიაა. ქართველი კინემატოგრაფისტები ვერძნობთ და გზავდით, რომ სტუდიის მიერ გამოშვებული ყვე-

ლა ფილმი არ არის მაღალმხატვრული, ისეთი, რომელსაც ძალუხს დააკმაყოფილოს მაცურებლის სულიერი მოთხოვნა, გაზარდოს მისი მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება, მოკლედ რომ ვთქვათ — იქცეს ჭეშმარიტად ეროვნულ მოვლენად.

ზემოხაოთქვამიდან გამომდინარე, მართლაც ბევრი და სეროფული პრობლემების წინაშე ვდგავართ. ამ პრობლემების გადაჭრა კი კინოს მხოლოდ მწერლობასთან ურთიერთობით შეუძლია. ამიტომ ჯერ გავაცნობთ ჩვენს უახლოეს გეგმებს, რა ფილმებზე ვაკისრებთ მუშაობას, ხოლო შემდეგ ვისაუბროთ მის სისწორესა და აკარგზე. საქმიანი წინადადებისა და კორექტივის შეტანა მეტ სინათლესა და აზრს მისცემს გადასალეზად გამიზნულ სცენარებს.

**გიმი დავალიშვილი:**

— აქ სავესებთ სწორად ითქვა, რომ ქართული კინოს ყველა სავესისხსომ წარმატება დაკავშირებულია ქართულ ლიტერატურასთან. ამ ტრადიციისთვის მას არც შემედგომ უღალატია. „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ელისო“, „დარიკო“ თუ „დაკარგული სამოხებე“ ამის სასიამოვნო გამოსატლენებაა. ალხანს ცნობიტი გავდა, რომ ვევა-ფშველას პოემების მიხედვით შექმნილმა აბულაძის ფილმმა „ვედრის“ იტალიის ქალაქ სან-რემოს საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი პრემია მოიპოვა.

ჩვენს დღევანდელ გეგმაშიც, ტრადიციულად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მხატვრული ლიტერატურის ინიშუმების ეკრანიზაციას; ასეთებია: მაგალითად, „ნაფანამ რა ქანა“, „ბათა ქქია“, „სალამურას თავგადასავალი“, „რაინდი მღვიმედან“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე თუთაბებზე“, „ყორნალი“, „მზე ჩვენთან ამოდის“, „ლარბა“, „მკედრის მზე“, „ლახუნდარელის თავგადასავალი“, ცაში ასროლიტი ქუდები“. განზრახული გვაქვს აგრეთვე გ. ლეონიძის წიგნიდან „ნატვრის ხე“ ორი მოთხრობის ეკრანიზაცია. ასეთია ზოგადად ჩვენი კავშირი ქართულ სამეოთხე მწერლობასთან.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ წელიწადში უშვებს შედლ სრულმეტრაიან მხატვრულ სურათს. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ თუ გაითვალისწინებთ იმასაც, რომ საკავშირო ტელევიზია ახლა ფართო სამოქმედო სიპარესს გვაძლევს — ფილმებს გვიკვეთავს შეუწლუდავი რაოდენობით, შეკვიძლია იმდენი გადავიღოთ, რამდენსაც შევძლებთ ჩვენი ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით. ამ მხრივ, მართლაც რომ სასიამოვნო პერსპექტივები ისახება...

შედგენილი გვაქვს პერსპექტიული ცეცნა, რომლის მიხედვით ავტორები მუშაობენ სცენარების საბოლოო ვარიანტის დადგენაზე. ამდენად, მალე წარმოებთა ჩაყვება ს. ჟღერტის სცენარი „განო“, გ. გეგეშიძისა და კ. არაბულის



„ქივალი“, რ. ებრალიძის სცენარი, რომელიც ასახავს ქართველი მეტალურგების ცხოვრებას, რ. გაბრიძის „მოხეტიალე რაინდები“, ვ. გიგაშვილის სცენარი ქართველ ალბონისტებზე; განზრახული გვაქვს გადავიღოთ ფილმი სათაურით „თბილისი და თბილისელები“. გარდა ამისა, გვინდა ვიმუშაოთ ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფილმის სცენარის შესაქმნელად. გადამწვეტილი გვაქვს სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება იტალიის ერთგულ გმირ ფორე მისულიშვილზე, აგრეთვე, ქართველ გეოლოგებზე.

ორიოდე სიტყვა იმაზეც, თუ რა ფილმებს მიიღებს ჩვენი მაყურებელი 1974-75 წლებში. ორი ფილმი ფაქტიურად უკვე გადაღებულია. ესენია საბავშვო ფილმი „ჭაბუკები ისამინის ქუჩიდან“ (რეჟისორი ნ. ნენოვა) და „ანარკლი“ (რეჟისორი თ. აბესაძე, სცენარი თ. მალაფერიძისა). დ. რონდელი მწერალ ნ. წულუკისკირის სცენარის „საპაერო ხიდის“ მიხედვით იღებს ფილმს ენგურაქის მშენებელ ახალგაზრდებზე. ფილმს ქართველ ახალგაზრდებზე, რომლებიც კამის ატოლოგიანტის მშენებლობაზე მუშაობენ, გადაიღებს რეჟისორი თ. გვასალია.

წლებადღელ გეგმაშია, აგრეთვე, ე. ასვლედიანისა და დ. ჯავახიშვილის სცენარი, რომელიც შექმნილია ვაჟა-ფშაველას „ივანე კოტორაშვილის“ მოტივებზე და რომლის გადაღებაც განზრახული აქვს რეჟისორ ნ. მანაგაძეს. ბ. ანდრონიკაშვილის სცენარის „კაპიტნების“ მიხედვით ფილმს გადაიღებს რეჟისორი თ. გომელაური, რომელსაც მუშაობაში დაეხმარებიან მ. კოკოჩავილი და ე. შენგელაია. წესდელ გამოვა ჟურნალზე ნ. დუმბაძის მოთხრობის „ძაღლის“ მიხედვით შექმნილი ფილმი „გოგიტას“ სახელწოდებით (რეჟისორი ლ. გორდელიძე), ე. ლიავა იღებს ფილმს „ფერმა მთაში“, რომლის სცენარი ეკუთვნის რ. ინანიშვილს.

1975 წლისთვის გეგმაში გვაქვს შეტანილი ზ. არსენიშვილის სცენარი „აურზაური სინკლისში“, რომელსაც გადაიღებს რეჟისორი ლ. დოლობერიძე. რეჟისორი ნ. მჭედლიძე, ლ. ჭელიძის სცენარის „პირველი მერქლის“ მიხედვით, გადაიღებს კინოკომედიას. რეჟისორი თ. იოსელიანი მუშაობს მორიგი კინოფილმის შექმნაზე რ. ინანიშვილის სცენარის „გაზაფხული სოფლად“ მიხედვით. მომავალ წელს განზრახულია აგრეთვე გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსნის“ ეკრანიზაცია. ფილმს გადაიღებს რეჟისორი შ. მანაგაძე. ს. დოლიძე, რ. ებრალიძესთან ერთად, მუშაობს ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე, რომელიც ასახავს ქუთაისის ციხიდან პოლიტიკური პატიმრების გაქცევას. ფილმი მიეძღვნება 1905 წლის რევოლუციის 70 წლისთავს. გეგმაში გვაქვს აგრეთვე ერთობლივი ფილმი იუგოსლაველ კინემატოგრაფისტებთან, რომელსაც გადაიღებს რეჟისორი თ. აბულაძე. ს. ქლენტი მუშა-



კალბა ფილმიდან „სამანიშვილის დედინაცალი“.

კალბა ფილმიდან „ელისო“.



ობს სცენარზე, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს ახალგაზრდა კომუნისტის, პარტიული მუშაკის ევრანული სახე — მისი ცხოვრება და საქმიანობა. ფილმს გადაიღებს რეჟისორი რ. ჩხეიძე.

ასეთია ჩვენი სტუდიის შემოქმედებითი საქმიანობის უახლოესი და პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმითაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენი კინემატოგრაფი თანდათანობით ზრდის თავის კადრებს, მოიღონ სპეციალური განათლების მქონე კინოდრამატურგები. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ გავაძლევს თვითდამზიდვის უფლებას...

1968 წლის შემდეგ, როცა ჩატარდა ქართული მწერლებისა და კინემატოგრაფისტების ერთობლივი პლენუმი, ასეთი ფართო მასშტაბის შესვედრა აღარ გვეჩინა. ამდენად, დღევანდელი შესვედრა გვაფიქრებინებს, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებანი, დასმული პრობლემატური საკითხები, დადებით გავლენას იქონიებს სტუდიის მოხალე საქმიანობაზე. მისი შემოქმედებითი ტონუსის ამაღლებაზე. არც ის არის გამორიცხული, რომ აქ გამოთქმულმა მოსაზრებებმა ბევრი საინტერესო კორექტივი შეიტანოს ჩვენს მიერ წარმოდგენილ სამუშაო გეგმაში.

#### ბურამ ბაბრძინაძე:

— კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უახლოეს და პერსპექტიულ გეგმებში, რომლებსაც ახლა გავეცანით, გვხვდება ბევრი ორიგინალური სცენარი, რაც დასტურებს, რომ კინოდრამატურგია ჩვენი საინტერესო პროცესებს განიცადის, ყალიბდება დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრად. ცნობილი ავტორების გვერდით შემოქმედებით შრომას ეწევიან ახალგაზრდები. ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ ის სცენარისტები, რომლებიც წლების მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობენ კინოში და შექმნეს არა ერთი სცენარი, რომელთა მიხედვით გადაღებულმა ფილმებმა შორს გაიტანეს ქართული კინოსელოების სახელი, უდავოდ ღირსნი არიან მწერალთა კავშირის წევრობისა.

აღბთ არავის ეპარება გვიც იმაში, რომ კინოდრამატურგები სულიკო ჟღერენ და რვეას გაბრიაძე დღეი ხანია იმსახურებენ ჩვენი კავშირის რიგებში ყოფნას. ამავე დროს მწერალთა კავშირმა მტკი ყურადღება უნდა გამოიჩინოს სცენარების ბეჭდვის საქმის მოვარებაში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს კინოდრამატურგების შემოქმედებით სტიმულსა და პროფესიულ პასუხისმგებლობას. ვფიქრობ, ამ საკითხების მოგვარება გარკვეულად შეუწყობს ხელს ეროვნული კინოს შემდგომ განვითარებას.

#### ბრიტოლ აბაშიძე:

— ჩვენ მოვედით იმ დაშინებთან, რომელთა შემოქმედებაც ასე ძვირფასია ყოველი ჩვენთაგანისთვის. ეს არის ორი მნიშვნელოვანი დარგის წარმომადგენელთა შესვედრა. ერთ დარგს —

მწერლობას ძალიან დიდი ისტორია აქვს, ხოლო მეორე — კინემატოგრაფია ახალგაზრდა მაგრამ ახალგაზრდობის მიუხედავად, ამ ხელოვნებამ დიდი ხანია დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მსოფლიო კულტურაში. ჩვენ კი ის გვახარებს, რომ ქართულმა კინემატოგრაფიამ უკვე სამართლიანად მოიხვეჭა სახელი და პოპულარობა.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ქართული კინემატოგრაფისტები ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ ქართულ მწერლობას. ეს ნათლად ჩანს კინოსტუდიის სამუშაო გეგმაშიც, რომლითაც გათვალისწინებულია თითქმის ყველა საგულისხმო ნაწარმოები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში შექმნა ჩვენმა მწერლობამ. ამ დამოკიდებულებაში იგრძნობა იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ქართული კინოს შექმნის პირველსავე დღეებში, რაც მომავალში ჩვენი მჭიდრო ურთიერთობისა და, ამდენად, წარმატების საწინდარ მიზანია. ჩვენი ერთი საზრუნავი გვაქვს, ჩვენ ერთი დიდი ფრონტის მიმინჯავი ფლანგები ვართ და ერთად უნდა ვეწყვეტოთ იმ საკითხებს, რომლებიც დღეს მიუღ საბჭოთა ხალხს ადუღებს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ხაზგასმით მიაქცია ჩვენი ყურადღება იმ თემატიკას, რომელიც ასე სასიცოცხლოა დღეს ყოველი პატიოსანი მშრომელისთვის. ახლა საქართველოს მწერალთა რიგებში დიდი გამოცოცხლება, მწერლები შემოქმედებით მივლინებამი არიან — მშენებლობებზე, საკომუნურეთი ველ-მინდვრებში, უშუალოდ მხედრულ-მიხედვებითან, ფაბრიკა-ქარხნებში, რათა მხატვრულ სიტყვაში გადმოიტანონ ჩვენი სახელოვანი მუშაობა კლასისა და გლეხობის ნაფიქრად-ნაწარვევი, მათი შრომითი შემართება და პატრიოტული თავადლება, სიხარული თუ ტკივილები. ლიტერატურაში მკაფიოდ უნდა აისახოს ის, თუ რით ცხოვრობს დღეს მშრომელი კაცი, როგორია მისი ინტერესების სფერო, ყველაფერი ის კარგი და თანამდროვე, რაც ეხმარება ჩვენს ხალხს, რაც ძალასა და სტიმულს აძლევს წარმატებით გაართვას თავი მეცხრე სუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებისთვის ბრძოლას. ამ მხარეს ქართული მწერლობა დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, აქეთვე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა ქართულმა კინომაც. ამიტომ აუცილებლად მიზანია კინორეჟისორებზე უშუალო კონტაქტები დაამყარონ სწორედ იმ მწერლებთან, რომლებიც ქმნიან შრომითი შემართების ამსახველ ნაწარმოებებს.

ცნობილია, თუ რა მაღალი რეპუტაციით სარგებლობს ქართული მწერლობა. ამიტომ ჩვენი სურვილია ქართული კინოს სარგებლობდეს ასეთი რეპუტაციით. მას აქვს ამის შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა კი მწერლობასთან კავშირია. უნდა გამოიჩინოს ყველა საშუალება, რომ ერთგულ ფილმის საფუძველი — სცენარი — მუდამ



იყოს მწერლობის მიერ შექმნილი, ასევე ეროვნული კინოდრამატურგიული ნიმუში.

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დიდი საიმედოება, რომელიც ასახაან ნახულმა ფილმმა „შერეკილებმა“ განმაცდევინა.

ნოდარ ღუბაძე:

— დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ კინემატოგრაფმა დიდი გავლენა მოახდინა პროზაზე. არაფერი ისე არ უწყობს ხელს მწერლის პოპულარობას, როგორც კინო. ამას კარგად აუღეს ალბო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პროზაიკოსებმა და კინოდრამატურგიაში მუშაობა თავიანთ მოვალეობად გაიხადეს, რასაც საინტერესო შედეგიც მოჰყვა — ამაღლდა კინოს მხატვრული დონე, გაიზარდა მწერლის პროდუქტიულობა. ჩვენში ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ კინოს ლიტერატურული საფუძველი მუდამ იყოს მაღალმხატვრული და მაღალპროფესიული. ამ განცხადების უფლებას მაძლევს სწორედ ქართულ მწერლობაში იმ უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების მოსვლა, რომელთა მოთხრობები ჭეშმარიტად მაღალ შეფასებას იმსახურებენ. პროზის ასეთი აღმავლობა კინოს უდავოდ უქმნის გამოუღვეველ ლიტერატურულ წყაროს.

თანამედროვე პროზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია მეტყველების კინემატოგრაფიულ ფორმასთან მიახლოება. ამდენად, ზოგჯერ მოთხრობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს წერის პროცესში ავტორი კინოზე ფიქრობდა. ამაშიც იგრძნობა ის გავლენა, რასაც კინო ახდენს ლიტერატურაზე.

ქართული კინო ჯერ კიდევ ვერ აუვლის გვერდს ეკრანიზაციას. დღევანდელ ეტაპზე იქნებ ეს აუცილებელიც არის და ამიტომ მისი ხელაღებით უარყოფა სწორი არაა.

შუძლებელია აღფრთოვანების გარეშე ვილაპარაკო იმ ნამდვილად შესანიშნავ ფილმზე, რომელიც დღეს აქ ვნახეთ. „შერეკილები“ ჭეშმარიტად ქართული ფილმი, რომელსაც პირველივე კადრებიდან ეტყობა მოაზროვნე შემოქმედის მაღლიანი ხელი. მისი სცენარი, რეჟისურა და აქტიორული ოსტატობა ისე პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, რომ არ შეიძლება აღტაცებაში არ მოიყვანოს მაყურებელი.

რაც შეეება ჩვენს დღევანდელ შეხვედრას, უნდა ვთქვა, რომ მისი მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. იგრძნობა ერთგვარი სტუმარ-მასპინძლური მოკრძალებაც, მაგრამ ასეთი რამ მუდამ ახლავს პირველ შეხვედრებს. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, არ უნდა შეგვზღუდოს. ერთმანეთს პირდაპირ ვუთხრათ, რაც გვაწუხებს და რა პერსპექტივებს ვხედავთ იმისთვის, რომ ჩვენს შემ-



კალრი ფილმიდან „ქაჯანა“.

კალრი ფილმიდან „ოთარაანთ ქერივი“.



დგომ საქმიან ურთიერთობას სისტემატური ხასიათი ჰქონდეს.

რემპზ მბრალიძე:

— ასლ, როცა გარეშე თვალთ შევხედ და შეგავსე ჩვენი კონსტიტუციის პერსპექტიული გეგმა, ნათლად დავინახე, რომ მასში ყველაფერი ისე ღრმად არ არის განაღვივებულ-გათვალისწინებელი, როგორც ჩვენი ზრით, უნდა იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ გვეპატიება საქართველოს ისტორიული წარსულის მივიწყება. აქ წარმოდგენილ გეგმაში ძალიან ღაღინად გამოიყურება ჩვენი ერის ყოფის ამსახველი მომენტები.

„ქართლის ცხოვრებას“ თუ გადავფურცლავთ, დავინახავთ, რომ მასში არტუთ ცოტაა ისეთი საკვანძო პასაჟები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ კინემატოგრაფიული ენით ამტკველვას. ამის გათვალისწინება, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩვენი მომავალი თაობისთვის. სტუდიის სასცენარო-სარეჟერტურ კოლეგიამ ეს საკითხი უდავოდ უნდა გაითვალისწინოს თავის პერსპექტიულ გეგმაში.

ლანა დოლოვიძიძე:

— ბუნებრივია, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ჩვენი პირველი შესვედრაც ვერ ასცდებოდა პარადულობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ ბევრი რამ საგულისხმო იქცა ობიექტურად, პრინციპულად, შეუღამაზებლად. ეს კი იმის მაიმედებელია, რომ ჩვენს კონტაქტებს აუცილებლად მოყვება სასარგებლო შედეგები.

ორი ზარი არ არსებობს იმაზე, რომ ქართული კინო დიდადა დავადებული მწერლობისგან. თუკი რამ საგულისხმო შექმნილა ჩვენს ურთულ კინემატოგრაფიაში, ეს უდავოდ, ლიტერატურის დამსახურებაა.

ქმთის, პირადად, ასეთ შესვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გატკაფ აყირი და სამუალება მოგვცა პირადად ვუთხრათ ერთმანეთს — რა გვაწუხებს, რაზე ვფიქრობთ, რა გვიდავ გაგაკეთოთ, რით შეგვიძლია ერთმანეთს დავუხმართ. ამ თვალსაზრისით, მომავალში ჩვენი შესვედრის მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ მხოლოდ ერთმანეთის საქმიანობა შევავსოთ, არამედ, ის, თუ რა მონაწილეობას ვიღებთ თითოეული ჩვენთაგანი ქართული კინოს განვითარებაში, რით ვუმარებთ მას, ეს მნიშვნელოვანია, რადგან კიდევ უფრო გავზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას კინოს წინაშე...

დასამალი არ არის, რომ კინემატოგრაფისტები სისტემატურად ვერ ვაღწევნებთ თვალს ლიტერატურას. ამ კატეგორიული განცხადებით კინოს მუშავეს შევარცხყოფას კი არ ვაყენებ და, საერთოდ, ლიტერატურისადმი მათ ნაკლებ ინტერესზე კი არ მივეუთობებ, არამედ აღვნიშ-

ნავ, რომ ქართული მწერლობის ახალ ნიმუშებს რატომღაც ნაკლებად ვუდგებით წმინდა კინემატოგრაფიული პოზიციებიდან, ღრმად არ ვწინობით მის საგულისხმო სიახლეს. ამიტომაცაა, რომ კინორეჟისორებს ბევრი ახალი სინტერესო რუზანი თუ მოთხრობა გვრჩება უყურადღებოდ. მომავალში ამას განსაკუთრებული ყურადღებუნდა მივაქციოთ, თუკი გვსურს ავამაღლოთ ყოველის ლიტერატურული საფუძვლის მნატურული დონე.

ამ თვალსაზრისით, ჩემთვის მებტად საინტერესო აღმოჩენა იყო ოთარ ჭილაძის რუზანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელშიც მაღალმნატურულადაა მოცემული ჩვენი ისტორიის გარკვეული მონაკვეთი, ჩვენი მითოლოგია. ეს ნაწარმოები უთოდ იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

ასევე საინტერესო ლიტერატურული მოვლენა იყო ჭაბუა ამიერჯიბის „დათა თუთაშინია“, რომელსაც ასლო მომავალში ალბათ ეკრანზეც ვიხილავთ.

დოდო აბაშიძე:

— საკამათო არ არის, რომ ყველა მწერალს არ შეუძლია სცენარის დაწერა, რაც, თავისთავად, სრულებითაც არ ამიციებს მწერლის ღირსებას. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში სიაშინებით შეიძლება აღინაშნოს, რომ გვყავს მწერალთა ის ნიჭიერი ბირთვი, რომელიც ინტენსიურად მუშაობს კინორდამატურგიაში და სასარგებლო შედეგებსაც აღწევს. მოვიდა საიმედო ახალგაზრდობა, რომელთა ნაწარმოებებში იგრძნობა დროის საწინცემა, თანამედროვე ადამიანის ფერები, სწრაფვა და მიზნები. ასეთი მწერლებია: ნ. დუმბაძე, ა. სულაკაური, რ. თაბუკაშვილი, ს. ჟღენტა, ნ. წულუისკირი, რ. ინანიშვილი, რ. გაბრიაძე, რ. ებრალოძე და სხვები. მათმა კინორდამატურგულმა ნაწარმოებებმა დიდი ხანა მოიპოვეს საზოგადოებრივი აღიარება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ გაიზარდა, იგი კიდევ გაიზრდება და, ბუნებრივია, მის წინაშე დიდი პერსპექტივებიც ისახება. ამიტომ საჭიროა მწერლობა უფრო ახლოს იდგეს კინოსთან, აქტიურად მონაწილეობდეს მის საქმიანობაში, სწორედ მან უნდა მისცეს პირველი ობიექტური შეფასება, როგორც იტყვიან — „ცხოვრების საგზაური“ — ყოველ დაუღებელ სცენარს, ყოველ ახალ ფილმს.

ამ შესვედრაში მე გედავ დიდ პერსპექტივას, იმ ჯანსაღი დამოკიდებულების სათავეებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მწერლისა და კინემატოგრაფის მუშაობა შემოქმედებით საქმიანობას.

სამწუხაროდ, არტუთ შორეულ წარსულში, ასეთი ურთიერთობა ჩვენს შორის თითქმის მოშლილი იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქმის

კინო ემიგრებოდა მწერლობას. ამ მანვე ტენდენციის გამო ქართულმა მწერლობამ ნაწილობრივ მართლაც შეაქცია ზურგი კინოს, რამაც ამ უკანასკნელის განვითარებაზე რამდენადმე უარყოფითად იმოქმედა. მწერლების ასეთი გაუმართლებელი იგნორირების მანვე პრაქტიკას კინოში უკვე საბოლოოდ დაესვა წერტილი და სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ხელშეწყობის ეს „ახალი მუხა“, ქართული მწერლობის სისტემატური დახმარებით, საქმით და არა სიტყვით, ახალ შემოქმედებით წარმატებას მიაღწევს.

საყველური უნდა ვთქვა ჩვენი კინოკრიტიკის მისამართით, რომელიც ობიექტურად არ ასახავს არსებულ მდგომარეობას. ზოგჯერ შეხედვებით ისეთი ფილმების ქება-დიდებას, რომელიც ამას აბსოლუტურად არ იმსახურებს და პირიქით. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მაყურებლის მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ამის ფაქტები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოზე მეტია. განა იშვიათია შემთხვევა, როცა ჩვენი მაყურებლის ერთი ნაწილი ეტანება უგემოვნო, ყალბი ემოციების სენტიმენტალურ უცხოურ ფილმებს. სალაროებთან არის გაუთავებელი რიგი და ერთი დავიღარაბა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რაიონებში. ვინ უნდა დაეხმაროს ასეთ მაყურებელს გემოვნების ამაღლებაში თუ არა კრიტიკოსი. ამ გარემოებას აუცილებლად მეტი ყურადღება სჭირდება.

სდროა ქართულმა კინემატოგრაფმა შეისისლხოვროს ყველა ის სათქმელ-საფიქრალი, ის პრობლემები, რომლებიც მწერლობას გააჩნია და სახიერად ამეტყველებული მიაწოდოს მაყურებელს, მათ, ვის წინაშეც ჯერ კიდევ ვალში ვართ. ჩვენ აქამდე ვერ შევძელით დიდი, მასშტაბური სურათის შექმნა მუშათა კლასისა და გლეხობის თემაზე. თუმცა ამ მიმართებით გვაქვს კეთილსინდისიერი ცდები, მაგრამ მათი მხატვრული დონე და დამაჯერებლობა არ დგას სასურველ სიმაღლეზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერში კინემატოგრაფისტებს ვერ დაავადანაშაულებთ. სტუდიაში ზოგიერთი მწერალი უჩვეულო პრეტენზიით მოდის, რადგან მწერალთა კავშირის წევრია, სწამს, რომ მისი ყოველი ნაწარმოები ლიტერატურის მაღალ კატეგორიას განეკუთვნება და აუცილებლად უნდა იქცეს ფილმის საფუძვლად. ასეთები დიდის აპლომით მოდიან და ზევიდან უყურებენ ჩვენს შრომას. მათ გასაგონად ბევრჯერ მოითქვამს ხოლმე, რომ ამდენ „გენიოსს“ სტუდიის ეზო ვერ დაიტევს, ხოლო მათ მიერ გენიალურად მიჩნეულ ნაწარმოებთ ერთი კი არა, ათი სტუდიაც ვერ აუკა-მეთქი...

ნოდარ ღუბაძე:

— სტუდიის ეზო საკმაოდ დიდია. თქვენ ახლა მწერალთა კავშირის პატარა ეზო წარმოიდგინეთ!



კალრი ფილმიდან „ჩევისებერი გოჩა“.



კალრი ფილმიდან „განაძი“.



დოქტორ აბაშიძე:

— ამ მწარე ხუმრობაშიცაა ჭეშმარიტება, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს. მთავარია, დამყარდეს ურთიერთგაგების, ნდობისა და პატივისცემის ატმოსფერო, დავაფასოთ ერთმანეთის შრომა და ღვაწლი. თუ ეს იქნება, თუ მწერალი და კინემატოგრაფისტი მხარში ამოუდგებიან ერთმანეთს, გაკეთდება ის დიდებული საქმე, რაზედაც ფიქრად დღეს ჩვენ აქ ასე მეგობრულ ვითარებაში შეგვეგობა.

იოსებ ნინუაშვილი:

— ჩემი აზრით, მართალი იყო რევას ებრაელიძე, რომელმაც გულისტკივილით აღნიშნა, რომ სტუდიის სამუშაო გეგმაში არ არის გათვალისწინებული ჩვენი ისტორიული წარსული. იმ შვიდი ფილმიდან, რომელსაც სტუდია წელიწადში უშვებს, ერთი რომ მაინც ასახავდეს ჩვენი ერის ისტორიის ძალა თუ იმ საინტერესო მომენტებს, ვფიქრობ, მეტად საჭირო საქმე გაკეთდება.

ასევე საჭიროდ მიმაჩნია, სტუდიამ არ უღალატოს მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნის სასახლო ტრადიციას და კვლავაც გამოუშვას ისეთი სურათები, როგორცაა მ. კობახიძის ფილმები, რომლებმაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ჩვენს კინემატოგრაფიას. ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ, ვგონებ, ამ ხაზით მუშაობა სტუდიამ ერთგვარად შეუძლია.

ბ. დვალაშვილი: — წელს გეგმაში გვაქვს გადავიღოთ ექვსი მოკლემეტრაჟიანი სურათი, რომელთა სცენარები შექმნეს ცნობილმა მწერლებმა: ო. იოსელიანმა, რ. ინანიშვილმა და სხვებმა.

იოსებ ნინუაშვილი: — ეს სასაბოგო ცნობაა, მაგრამ ერთი მაინც უნდა გისაყვედუროთ: სტუდია უმნიშვნელო ყურადღებას აქცევს ჩვენს ნორმ თაობას, ძალიან ცოტა ფილმი კეთდება ბავშვებისთვის. საბავშვო კინემატოგრაფის განვითარებას და მკვეთრ აღმაშლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ორიოდ სიტყვა ევრანოზაიკაზე. ჩემი აზრით, ევრანოზაიკის საქმე როგორ კარგადაც არ უნდა იყოს დაყენებული, იგი მაინც ნაკლები ბლანია, ვიდრე ორიგინალურ სცენარებზე შექმნილი ფილმები. პრაქტიკაში პრაქტიკულად ვიჭინება, რომ ევრანოზაიკა ვერაერთინო მაინც არ ჯაზღობს იმ მხატვრული ღირებულებებს ტოლფასი, როგორც მისი პირველწყაროა. აქას სერიოზული ჩაფიქრება სჭირდება. თუ ევრანოზაიკა აუკიდრებელია, იგი უნდა გაკეთდეს ასალი, თანამედროვე ხერხებითა და საშუალებებით.

ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი სატელევიზიო ფილმები. ქართული სატელევიზიო ფილმების სტუდია დღეს სამართლიანად ითვლება ერთ-ერთი საუკეთესო, საკუთარი ხელწე-

რისა და შემოქმედებითი მანერის მქონე სტუდიად ჩვენს ქვეყანაში. მის მიერ გამოშვებულმა ფილმებმა ხომ არაერთ საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალზე ისახელეს ფილმი. დასამაზად არ არის, რომ სატელევიზიო ფილმების სტუდია დიდ კონკურენციას უწევს „ქართული ფილმების“ სტუდიას, რაც მეტად სასიამოვნო ფაქტია. მიმაჩნია, რომ ასეთი კონკურენცია სასარგებლოა ორთავესთვის, იგი შემოქმედებით სტიმულს აძლევს ამ კოლექტივებს, რაც საერთო ჯამში ქართული კინემატოგრაფიის განვითარებას ემსახურება.

დღევანდელ შეგრებაზე ბევრი საქმეარი სიტყვა ითქვა ქართველი პროზაიკების მისამართით, რაც სასეხით დამსახურებულია, ითქვა იმაზეც, თუ რა სასარგებლო როლს ასრულებს ქართული პროზა ეროვნულ კინემატოგრაფში. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ქართველ პოეტებზე ისინი ძალიან ბასიურად ემბებიან კინოს ცხოვრებაში, რაც ეტყობა კიდევ ჩვენი ფილმების დიდი ნაწილის სასიმღერო ტექსტებს; ლექსების დაბალი დონე ანელებს ფილმისადმი საერთო ინტერესს. პოეტებმა, რომლებიც ფილმისთვის წერენ სიმღერის ტექსტებს, მაგალითი უნდა აიღონ მორის ფოცისფილისგან, რომლის ნამუშევარმა გარკვეული წელიწადი შეიტანა ახალი ქართული ფილმის „ვერის ბუნის მელოდიაში“ წარმატებაში.

ამ შეხვედრამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ აუცილებელია მწერალთა კავშირი შეიქმნას კინოლაბატორგოთა სექცია, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს კინოსა და მწერლობის დაახლოებას. სექციის სდომებზე მოხდება ახალი სცენარების კითხვა-განხილვა. საქმიანი შემოქმედების გათვალისწინება კი საშუალებას მისცემს ავტორებს სრულყოფილ თავიანთი ნაწარმოებში. ფილმის შექმნის შემდეგ ისევე შევიკრიბებით, ვიკამათებთ და ვიმსჯელებთ მის ავტორზე. ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს საერთო საქმის წარმატებას, აამაღლებს მომავალი ფილმის ხარისხს.

სიმო დოლიძე:

— სამწუხაროდ, ზოგჯერ რეჟისორები სათანადო სერიოზულობითა და გულისყურით არ ვეკიდებით ევრანოზაიკას, რის გამოც მწერლებს გულს ვტკენთ ხოლმე და ისეთ შთაბეჭდილებას ვუქმნით, თითქოს კარგი მოხიბობა ან რომანი სერიოზული დანაკარგების გარეშე არ გადადის კინოში, რაც მეტად დამაფიქრებელია. ამის მაგალითი ახლაც ბევრი გვაქვს, რაც აუცილებლად უნდა გავივიწყოთ წინით მომავალში.

ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა კარლო კობერიძის მოთხრობაში „წინ, ზარნაკეთში“, რომელიც ქურნალ „მზაობში“ დაიბეჭდა და ახლახან ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ეს ნაწარმოები აუცილებლად უნდა გამოიყენოს კინომ. მის სა-

ფუძველზე უდავოდ საინტერესო ფილმის შექმნა შეიძლება ჩვენს ახალგაზრდობაზე.

ამასთან, მწერლობის გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია, ყურადღება მიაკციოს ჩვენი სატელევიზიო ფილმების სტუდიას, სადაც ქეშმარიტად დიდი შემოქმედებითი პროცესები მიმდინარეობს. ეს მით უმეტეს საჭიროა ახლა, როცა დაკარგვულს ტელეფილმების სტუდია არავითარ დაცვეთას იღებს ცენტრალური ტელევიზიისგან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სცენარის მხატვრულ დონეს, ენობრივ სიწმინდეს. ამ საქმის წარმატებით განხორციელებაში გადაწყვეტი როლი სწორედ ჩვენმა მწერლობამ უნდა შეასრულოს, აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ თუ კინოს მრავალათასიანი აუდიტორია აყაჟს, ტელეფილმების აუდიტორია მრავალმილიონიანია, რასაც უდავოდ უნდა გაეწიოს ანგარიში...

კიდევ ერთი საკითხი: აქ ლაპარაკი იყო სტუდიის გეგმაში ისტორიული თემატიკის უკმარისობაზე. ამასთან დაკავშირებით, დავძენ, რომ უკანასკნელ წლებში რატომღაც ნაკლებად ვმუშაობთ ჩვენი ისტორიის და, კერძოდ, ჩვენი ერის სახელოვანი რევოლუციური წარსულის ამასხველ კინოსურათებზე, ქართველი ბოლშევიკების როლსა და მნიშვნელობაზე თვითმპყობელური რეჟიმისა და შემდეგ მენშევიზმის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა თავგამოდებულ ბრძოლაზე.

1975 წელს სრულდება 70 წელი რუსეთის პირველი რევოლუციიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით, რევაზ ებრაღიძესთან ერთად, ვმუშაობ ახალ სცენარზე, რომელშიც ასახული იქნება ქართველ ბოლშევიკ-რევოლუციონერთა ბრძოლა მაშინდელი წყობილების წინააღმდეგ.

იმედი მაქვს, ჩვენი მწერლობა დაგვეხმარება კეთილი რჩევითა და საქმიანი წინადადებებით, როცა აღნიშნულ სცენარს მწერალთა კავშირში განვიხილავთ.


**თენგიზ ბუაჩიძე:**

— ნამდვილი ხელოვნებისთვის არ არსებობს ასაკობრივი შეღავათები. ამდენად, ქართული კინემატოგრაფი უკან კი არ უნდა მისდევდეს ქართულ მწერლობას, არამედ მის გვერდით უნდა იდგეს და მასთან ერთად წყვეტდეს იმ მხატვრულ ამოცანებს, რასაც დრო ჩვენს წინაშე აყენებს. სხვა გზა ნამდვილი ხელოვნების შესაქმნელად არ არსებობს. თუ კინემატოგრაფისტებმა ის იფიქრეს, რომ ჩვენ ახალგაზრდა ხელოვნებას ვუმსახურებით და იმდენი არ მოგვეთხოვება, რამდენიც ძველ ხელოვნებასო, ეს — სხვა რომ არა ვთქვათ — მეთოდოლოგიურადაც მცდარი შეხედულებაა.

სტუდიის ლიტერატურული ხელმძღვანელობა უნდა დაფიქრდეს იმ საკითხზე, რაზედაც დაფიქრებულია ქართული მწერლობა. ნამდვილი ხე-



კადრი ფილმიდან „ბაში-აჩუკი“.



კადრი ფილმიდან „ვედრება“.

ლომენისთვის არ არსებობს წმინდა ისტორიული და თანამედროვე თემატიკა. ყოველ ჭეშმარიტ ნაწარმოებში ყველანაირი თემატიკა თანამედროვეა. ჩვენი მწერლობის და, საერთოდ, ჩვენი ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ისაა, რომ ქართველი ხალხის უახლესი ისტორიის საკვანძო მომენტები გაიზაროს ფილოსოფიურად, ისტორიულად, მხატვრულად, ეთიკურად და მთელი სერიოზულობითა და მაღალი პროფესიონალიზმით მიუღწეს მას. ჩვენ არავინ გვაპატივს ზერელე, გამართობი ხელოვნების შექმნას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი სახელოვნო კადრები ჯერ კიდევ ველში არიან ჩვენი რესპუბლიკის უახლესი ისტორიის წინაშე. ამ ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, კინოში უეჭველად ასასახავი მომენტია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები, სოფლის სოციალისტურ რელსებზე გადასვლა. და, ბოლოს, ჩვენი დღევანდელი დღეები.

ცხადია, ეს საკვანძო მომენტები სხვაგვარადაც შეიძლება გაიზაროს, სხვა თარიღები დავასახელოთ, სხვა კუთხიდან განვიხილოთ, მაგრამ აღნიშნულ საკითხებს რომ აუცილებლად უნდა შევხვით, ვფიქრობ, არავითარ კამათს არ საჭიროებს. თუ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ასე გლობალურად მიუდგება პერსპექტიული გეგმის შედგენას, ეს იქნება მიდგომა მიქალაქობრივი, სახელმწიფოებრივი, პარტიული და, ცხადია, ხალხური. ჩემი აზრით, სწორედ ეს აკლია აქ წარმოდგენილ გეგმას და, საერთოდ, ქართველი კინემატოგრაფისტების მუშაობას.

აქ ბევრი ითქვა თანამედროვე ქართულ მწერლობაში მიმდინარე საინტერესო პროცესებზე, იმაზეც, რომ ქართველ პროზაიკოსთა რიცხვს ახლა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოემატა. დაგეგნილ მხოლოდ იმას, რომ ამ შემოქმედებით ძალების მაქსიმალურად გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს ქართული კინოინდუსტრიის განვითარებას.

დღევანდელმა ფილმმა დამარწმუნა, რომ ჩვენს ეროვნულ კინოში ერივივარი შემოქმედებითი აღმავლობა იწყება. „შერეკილება“ მართლაც რომ შესანიშნავი ფილმია, რომლის მსგავსი ბევრი არ მოგვეპოვება. იგი რომ პროფესიონალმა კრიტიკოსმა განიხილოს, დაინახავთ, თუ რა საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება. ამ ფილმშიც, ისე, როგორც ე. შენგელიას წინა ნაწარმოებში — „არაჩვეულებრივი გამოფენა“, ნათლად გამოკვეთილი რეჟისორისა და სცენარისტის საინტერესო შემოქმედებითი პორტრეტები, ის, თუ რა სასიამოვნო შედეგის მოტანა შეუძლია მწერლისა და კინემატოგრაფისტის შეთანხმებულ, გააზრებულ თანამშრომლობას.

საჭიროა, ახალი ფილმების თავისებურებების, თითოეული კინოშემოქმედის ხელწერის ღრმა ანალიზი, საჭიროა ახავე დროს ჩვენი მოთხოვნები

ლებიც, ჩვენი მიდგომა კინოსადმი უფრო შემცდარი იყოს, ვიდრე დღემდე გვექონია.

პარლჟ კალამი:

— „შერეკილება“ ბევრ რამეში დამარწმუნა. ჯერ ერთი, იმაში, რომ კინო უდავოდ უნდა შექმნან კინემატოგრაფისტებმა ისე, როგორც ლიტერატურა — მწერლობამ. ამისთვის საჭიროა, კინო ღრმად ჩაწვედეს ცხოვრებას, მხატვრულად გაიზაროს ის სასიცოცხლო მოთხოვნები, რასაც დრო და ჩვენი საზოგადოება დღეს კინემატოგრაფიის წინაშე აყენებს. და თუ ამას იგი მაღალმხატვრულ-იდეური სრულყოფილებით შეძლებს, ადვილად დაჯერდებიან, რომ ვერანაშავია, საერთოდ, გადაუდებელი აუცილებლობა რიდა.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს გაზვიადებულად ვართულებთ სცენარის საკვიფრავს, მისი შექმნის სიმწიფებს, რომ თითქოს აუცილებელია მწერალმა საკვიფრულად შესწავლოს კინოინდუსტრიის პრინციპები და თავისებურებანი. ეს არ არის სწორი. მთავარი შესწავლა კი არ არის, არამედ ის, შემოქმედებლმა არსებობს თუ არა ის უნარი, რაც აქ ხელოვნებას საჭიროებს.

მეორე: ნაწარმოების შექმნის წინ შემოქმედი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს იმას, თუ ვისთვის ქმნის. ამ მხრივ ჩვენში, ჩემი აზრით, არასწორი ტენდენცია მკვიდრდება: საქეტაკოს ვეგამით, კინოფილმს ვიღებთ, საკონცერტო თუ ქორეოგრაფიულ რეპერტუარს ვაღვინთ, რატომღაც საზღვარგარეთ ვიყურებით — რასაც ვაკეთებთ, მიუწინააღმდეგავად თუ არა უცხოელებს, მოვიპოვებთ თუ არა პრიზებს საერთაშორისო ფორუმებზე. ამან აშკარა ზიანი მიაყენა ჩვენს ეროვნულ ცვაკვებს, იგი უმარავლეს შემთხვევაში ჟონგლითობამდე დაიყვანეთ, წაგართვით ბუნებრიობა, ხალხურობა.

ლიტერატურაში მუდამ ასე იყო: მწერალი ნაწარმოების თემას, იდეას, უშუალოდ თავისი ხალხის ცხოვრებაში აიღებს და მერე თუ მას დიდი სულიერი კულტურით აამაღლებდა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებით დამუხტავდა, ამის შემდეგ მოიპოვებდა ხოლმე მსოფლიოს ლიტერატურული შეფერების გვერდით დამოუკიდებელ მწერლობაში არ შექმნილა არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, არ ყოფილიყო თავისი ერის ხალხის, ხასიათისა და ბუნების გამომხატველი. ამას დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნების ყველა სფეროში.

სასეტებით მართებულ საყვედური გამოთქვა კინოკრიტიკის მისამართით პატივცემულმა დოდო აბაშიძემ, რასაც ვერ ვეთანხმები. კრიტიკა ნაწილობრივადაც ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას. სანამ არ იქნება ნამდვილი, ჯანსაღი, ობიექტური კრიტიკული აზრის მოძრაობა, როგორც კარგ, ისე ცუდ ფილმზე, მანამ კინემატოგრაფის



წინსვლას მუდამ ექნება გარკვეული შეფერხება, ვერ ვიტყვით იმას, რომ არა გვყავს პროფესიონალი კინოკრიტიკოსები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი სრულად ასახავდნენ ჩვენი კინოს წლებადღებულ მდგომარეობას. ჩვენ დღეს აქ შესანიშნავი ფილმი ვნახეთ. სწორედ კინოკრიტიკის ვალია „მწერელებს“ თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინოს ქართული კინოს საუკეთესო ნაწარმოებთა შორის.

ამ ფილმში მაღალ დონეზე დგას ყოველი კომპონენტი. რეჟისორის ოსტატობასთან ერთად, იგრძნობა სცენარისტის ნიჭიერება და პროფესიონალიზმი. ეს გარემოება ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმის აუცილებლობას, რომ კემეარტი ფილმის შესაქმნელად საჭიროა მაღალმატერული სცენარი, ისეთი, რომელსაც ნაღდი მწერლის მაღლიანი ხელი ატყვია, ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მწერლობა არ არის კინოს ნახევარფაბრიკატი.

**რეჟისორი შაბუაშვილი:**

— პატყვემულმა კარლმა კალაძემ თავისი გამოსვლა მეტად მაკარი და კატგორიული ფრანსით დაამთავრა — მწერლობა კინოს ნახევარფაბრიკატი არ არისო, რაშიც გულისხმობდა, რომ ყველაზე აკეთოს ის, რასაც მოწოდება კარნახობს, ე. ი. კინო—კინემატოგრაფისტმა, მწერლის საქმე — უშუალოდ მწერალმა.

ჩემი აზრით, ასეთი განცხადება სწორი არ უნდა იყოს. კინო, ისე როგორც თეატრი, სინთეტიური ხელოვნებაა და ერთი პროფესიის ადამიანი, გენიოსიც რომ იყოს, დღეს სრულფასოვან, მაღალი ნიმუშის კინემატოგრაფს ვერ შექმნის. მის შესაქმნელად აუცილებელია კინემატოგრაფისტის, მწერლის, მხატვრის, მსახიობისა და კომპოზიტორის ერთობლივი დაძაბული შრომა, ურთიერთგაგება და საქმისადმი დიდი სიყვარული.

აქ ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ კინოდრამატურგები აუცილებლად უნდა იყვნენ მწერალთა კავშირის წევრებიო. ჩემი აზრით, ამ წინადადების არსი მართოდენ იურიდიული მხარით როდი შემოიფარგლება. მთავარი მწერალთა კავშირის წევრად გახდომბა კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენად მეტი მწერალი იმუშავებს კინოდრამატურგიაში, ანუ მწერლის, ეგრეთ წოდებულ, გაკინოდრამატურგებას. რას ვგულისხმობ ამ გამოთქმაში: ჯერ ერთი, ლიტერატურის სხვა ჟანრებისგან განსხვავებით, კინოდრამატურგეას აქვს საკულთარი სპეციფიკა, რომლის გაუთვალისწინებლად, რაოდენ დიდი მწერალიც არ უნდა იყოს იგი, ვერ შექმნის სრულყოფილ სცენარს. მეორე— „გაკინოდრამატურგებაში“ ნაგულისხმეგია კინოში ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწილის მასობრივი მიზიდვა. შეიძლება ვინმე იფიქროს, სტუდია წელიწადში მხოლოდ შვიდ სრულმეტრეკიან სურათს იღებს და რა პრაქტიკული მნიშ-



კადრი ფილმიდან „ალავერდობა“.



კადრი ფილმიდან „თავადის ქალი მაია“.



კადრი ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“.

წმელთა ექნება მწერლობის მიზიდვას კინოდრამატურების სფეროში?

აქვე განვმარტავ, რომ ეს ციფრი არ არის მდგომარეობის რეალური ანსახველი, რადგან ქართულ კინემატოგრაფიაში წელიწადში ოფიციალურად კეთდება თორმეტი სრულმეტრაჟიანი ფილმი. გარდა ამისა, არის გარდამავალი ფილმები და კიდევ რეჟურები. ამდენად, სტუდიას წელიწადში სჭირდება სულ ცოტა ოცი სცენარი მაინც. და თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ პროფესიონალ კინოდრამატურთა რიცხვი საქართველოში ერთ ათეულსაც კი ვერ სცილდება, დაინახავთ, რომ მდგომარეობა არცთუ ისე სასაბრძოლოა. ამასთან უნდა გაითვალისწინოთ ერთი ფსიქოლოგიური მომენტიც, კერძოდ, შემოქმედი ყოველწლიურად ვერ იძლევა სრულყოფილ, მაღალმხატვრულ ლიტერატურულ პროდუქციას. ამდენად, იმ რაოდენობის სცენარი, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენს კინოდრამატურგებს ძალ-ღონეს აღებამეტა. აქ არის საჭირო პროფესიონალი მწერლების დახმარება.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კინოდრამატურგია დამოკიდებულია ჟანრისა და მის სპეციფიკას უდავოდ უნდა გააწიოს ანგარიში.

ბევრია იმის მავალით, რომ ჟანრიდან ჟანრში გადასვლა ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს. ისიც ცნობილია, რომ ბევრ გენიალურ პროზაიკოსს არ უცდია, ან უცდია და არ გამოსვლია ტოლფასი ნაწარმოები სხვა ჟანრში.

ამდენად, იყო დიდი პროზაიკოსი, არ იწმინდა იმას, რომ შენი ყოველი ცდა კინოდრამატურგიაში აუცილებლად შედეგით უნდა გამოვიდეს.

ყოველივე ეს იმისზე დაბარებულია, რომ საფუძველს მოკლებულია ჩვენში გაერცხლებული აზრი იმის შესახებ, თითქმის კინომ კარები ჩაუკეტა მწერლობას და იქ რაღაც ხელოსნურობას ეწვიან. ის ოცი სცენარი, რომელზედაც მოგახსენეთ, გადაუდებლად საჭიროებს კინოში მწერლების შემოქმედებითი მონაწილეობის აუცილებლობას, ხოლო იმისთვის, რომ წელიწადში ოცი სრულფასოვანი სცენარი მივიღოთ, საჭიროა სა-მოცი მწერლის მოღვაწეობა მაინც. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია, რადგან დღეს ჩვენში არ მეტულება სამოცი მწერალი, რომელსაც სცენარის დაწერა შეეძლოს.

აქვე მინდა ვუპასუხო პაკევიძეს ნოდარ დუმბაძეს, რომელმაც თქვა, რომ ქართული კინო გვერდს ვერ აუკლის ეკრანისაცაისო. როგორც ი. ნონევიძემას სასცენო მართებულად თქვა — მსოფლიოს კინემატოგრაფიის პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ ეკრანისაცაია, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, გაიცლებით დაბლა დგას, ვიდრე მისი ლიტერატურული პირველწყარო.

აგიღოთ „ომი და მშვიდობა“, როგორც სამბჭოთა, ისე ამერიკული ფილმები. უნდა ითქვას, რომ ისინი ბევრად ჩამოუვარდებიან ტოლსტოის ნაწარმოებს. არ არსებობს მეორე დოსტოევსკის

არც ერთი ნაწარმოები, რომლებიც ფრანგებს რამდენჯერმე მისიც არ გადავლით, მაგრამ ფრანგული კინოს სახე ეკრანისაცაიას არ შეუქმნია. ამდენად, ვერც ქართული კინოს სახეს შექმნის ეკრანისაცაია, რაოდენ კარგი კინოსურათებიც არ უნდა გადავიღოთ. რატომ? იმიტომ, რომ ერთი ჟანრისად მწერებში ასეთი ტრანსლანდაცია უმეტეს შემთხვევაში ხელოვნური გამოდის და მოკლებულია იმ სიღრმეებს, რომელიც მის პირველწყაროს გააჩნია.

თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ პატარა ჯგუფზე, რომელიც უკვე სამი წელია ჩვენს კინოსტუდიაში მუშაობს. ამ ჯგუფს ჰქვია მწერალთა შემოქმედებითი კინოოგართიანება, სადაც შტაბში მწერლები არიან და ხელფასს იღებენ. ამ გაერთიანებაში მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ: მერაბ ელიოზიშვილი, სულიკო ქვიციანი, ამირან ჭიჭინაძე, რევაზ ინანიშვილი, რევაზ გაბრიაძე, გურამ გვეგშიძე, ეროლდ ახვლედიანი, ვლადიმერ სისხარულიძე, ვაჟა გიგაშვილი და სხვები. ორგანიზაცია გულისხმობს მწერლებისთვის სასვენებო ღია კარს. მუშაობს ისეა აგებული, რომ თუ მწერლის განაცხადი სტუდიის თემატურ გეგმაში მოხვდება (წარმოდგენილმა თემამ უნდა დააინტერესოს რომელიმე რეჟისორი), მაშინ ასეთი მწერალი კვლავაც აგრძელებს საქმიანობას აღნიშნულ გაერთიანებაში. ჩვენთან სცენარების წერა იმ სკოლად იქცა, სადაც თვით მწერლები ასწავლიან ერთმანეთს ჟანრის სპეციფიკას და წერის თავისებურ სტილსა და მანერას.

სამაგალითოდ შეიძლება დავახსნელო ვაჟა გიგაშვილი, რომელიც პროფესიით არქიტექტორია და ჩვენთან მოსულამდე სტერილიც არ ჰქონდა დაბეჭდილი. ჩვენ მასში ხალასი ნიჭიერება და კინემატოგრაფიის აზროვნება დაინახეთ და საშუალება მივცეთ დებიუტი ეცადა კინოდრამატურგიაში, რამაც მართლაც სასიამოვნო შედეგი გამოიღო. იგი დღეს სტუდიის ერთ-ერთი საიმედო ახალგაზრდა კინოდრამატურგია, რომლის სცენარმაც, ქართულ ალბანისტებზე, სტუდიის სამხატვრო საბჭოს ყოველი წევრის დიდი მოწონება დაიმსახურა. მის გადაღებულზე მუშაობს რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი.

მწერალთა ეს კინოგაერთიანება ერთგვარ ალბანისტურ პრინციპზეა დაფუძნული — ერთის წარმატება განსაზღვრავს მეორეს გამარჯვებას და პირობით. ამიტომ აქ სამსახურიდან არავის ხსნიან. მწერალი თვითონ გრძნობს, საჭიროა თუ არა ამ ეტაპზე მისი გაერთიანებაში ყოფნა და ამისდა მიხედვით აკეთებს დასკვნებს. ამავე დროს, ყოველ მწერალს შეუძლია ისევ დაბრუნდეს გაერთიანებაში, თუკი მას ახალი საინტერესო თემა ექნება, რომელი სცენარის ყალიბში მოქცევაც სასარგებლო გამოვა.

ამდენად, გაერთიანებაში განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლების მოზიდვას და იქ მომუშა-

ვეთა პირობების შექმნას დღეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ჩემი აზრით, ამ პროცესს, თავის მხრივ, დიდად უნდა შეუწყოს ხელი მწერალთა კავშირმაც. ეს კი ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობის ერთ-ერთი საინტერესო ფორმა იქნება, რაც უდავოდ აამძლავებს სცენარების ლიტერატურულ დონეს.

ლალო სულაბერიძე:

— ერთი შეკითხვა მაქვს პატივცემულ რეჟისორ ფილმისათვის: ხომ არ დადგა დრო, ან ქართული კინემატოგრაფი ხომ არ ავიდა იმ სიმაღლეზე, რომ ხელი მოჰკიდოს „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებას?

რამზი თაბუკაშვილი: — ჩემი აზრით, შეუძლებელია ხელი მოვიკიდო „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციას როგორც დღეს, ისე სვალ და, საერთოდ, ოდესმე.

იოსებ ნუნუშვილი: — ეს წიგნი მაინც შევინახოთ წმინდად, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი სრულყოფილი ეკრანიზაცია შეუძლებელია.


რამაზ ჩხეიძე: — ამ საკითხის დასმას ისეთი რეპლიკები მოყვა, რომ იგი თავისთავად მეტყველებს ჩვენი საზოგადოების და, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მწერლობის დამოკიდებულებაზე რუსთაველის გენიალური ქმნილებისადმი. ამიტომ ახლა ძნელია თვითრიული მსჯელობა იმაზე, თუ რატომ არ შეიძლება მისი ეკრანიზაცია ამ ეტაპზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაცია მაინც შეიძლება. და მჯერა, რომ იგი აუცილებლად დაიდგება, და დაიდგება მრავალჯერ თუნდაც იმიტომ, რომ...

ნოდარ ღუმბაძე: — ბოლოს და ბოლოს, დაგრწმუნდეთ, რომ მისი დადგმა შეუძლებელია და სხვამ შემდეგ აღარ სცადოს!

რამაზ ჩხეიძე: — ვიფიქრებ, მე მაინც მწამს, რომ მისი დადგმა აუცილებელია და იგი კიდევ დაიდგება, როცა ქართული კინო თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალზე ავა. აქ არაფერია საშიში. ეს იქნება ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხელოვნების სულიერი მოთხოვნისა და ინტერესების გამოხატვა.

იოსებ ნუნუშვილი: — ამ საკითხზე სერიოზული ფიქრიც კი ძალიან მამოწებს.

რამაზ ჩხეიძე: — ნუ გეშინიათ, ჩვენს შორის დღეს ამას არავინ აპირებს. რა თქმა უნდა, ფილმი, როგორც არ უნდა გამოვიდეს იგი, იოტის ოდნავად ვერ შეწყდება რუსთაველის გენიალურ ქმნილებას. ვიყით ოპტიმისტები და ნუ წარმოვიდგენთ, რომ აუცილებლად ცუდი ფილმი გამოვა. ჩვენს სასწაულების ეპოქაში არ არის გასაკვირი, რომ კინემატოგრაფის ტექნიკამაც შექმნას სასწაულები. „ვეფხისტყაოსნის“ კინოს ენაზე აქლერება მართლაც სასწაულად მიმაჩნია



კალრი ფილმიდან „დიდოსტატის მარკეზა“.



კალრი ფილმიდან „წყალდიდობა“.



და მგერა, რომ ამ სასწაულს ქართველი კინემატოგრაფისტები ოდესღაც აუცილებლად მოახდენენ.

ოქსმა ნონეშილი: — სამწუხაროდ, ადრინდელმა ცდებმა ოპტიმიზმისთვის ადგილი აღარ დატოვეს...

რმპს ჩხიმი: — მართალია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ კინო სა-ოცრად პრიმიტიული ღონეუბა.

ოქსმა ნონეშილი: — გეთანხმებით, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ჩვენი სალოცავი ქმნილებაა, ჯერ მაინც დაეწოთოთ.

რმპს ჩხიმი: — როგორც მოგახსენეთ, ჯერ ჩვენ მის გადაღებას სრულიადაც არ ვაპირებთ, ამაზე ახლა ფიქრიც სასიფათოა. ეს მომავლის საქმეა.

**ელდარ შენგელია:**

— აქ იმდენი კარგი და გასათვალისწინებელი აზრი გამოითქვა, რომ ძნელია რაიმე ახლის თქმა. არც ის ჩამომთრთმევა ორიგინალობაში, თუ ვიტყვი, რომ ყოველი ფილმი იწყება სცენარიდან. კარგი სცენარი გამარჯვების გარანტიაა. ამიტომ მიმანია, რომ მწერალთან შემოქმედებითი კავშირი ბევრად აიოლებს რეჟისორის სამუშაოს. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის მეტად სასარგებლო იყო მწერალ მერაბ ელიოზიშვილთან მუშაობის კიდევ ერთი გარემოება, მწერლისთვის კინოში მუშაობა უდავოდ სარგებლობის მომტანია, რადგან ეკრანი ყოველგვარ ტირაჟზე უფრო მასშტაბურია. რა დასამალია და, ფილმს მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე წიგნს — მითხვებელი.

ამ გარემოებას უდავოდ უნდა მიეცეს ყურადღება და მწერლებიც მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვიდონ კინოდრამატურგაში მუშაობას. ხელოვნების ეს ორი ჟანრი სწორედ ერთმანეთთან კავშირში აღწევს განსაკუთრებულ სიმაღლეებსა და პოპულარობას...

რმპს ჩხიმი: — ჩვენი დღევანდელი შეხვედრის აუცილებლობაზე თვით ორატორთა საეულისხმო საუბრებიც მეტყველებენ. მგერა, რომ მომავალში ასეთ შეხვედრებს უფრო კონკრეტული მნიშვნელობა ექნება. ვისურვებ, ერთად გვეყოს მძიმე ჭაპანი, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკეთილდღეოდ.

კალრი ფილმიდან „მთვარის მოტაცება“.



**რადეპინისბანა:**

1971 წელს ერთგვარი გამოცოცხლებითა და შემოქმედებითი აღმავლობის მანიშნებელი ძვრებით დაიწყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ცხოვრებაში. რიტმულად ამოქმედდა მისი უკველი რგოლი, დაიწყო ინტენსიური ძიება არსებული გამოუყენებელი რეზერვების ასამოქმედებად.

და ახლა, როცა ჩამდება სტუდიის გასული წლის ენოზოსავლის ბარისი, სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში ეს მოსავალი ქართული კინოს ახალი გამარჯვებების დამადასტურებელია. იგი, ამავე დროს, მომავლის იმედოვან განვითარებას.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ცხოვრებაში საეულისხმოა ისიც, რომ გადაიღვა პრაქტიკული ნაბიჯები სხვა შემოქმედებითი კავშირებთან კონტაქტების დასამყარებლად. ეწყობა შეხვედრები პრესის წარმომადგენლებთან, ახალი ფილმების ჩვენება და სჭაბაბის მათ გარშემო. ჩატარებულ ღონისძიებებში შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო ქართველი მწერლებისა და კინემატოგრაფისტების შეხვედრა-საუბარი, რომელიც ენოსტუდიაში გაიმართა. ეს საუბარი ბუნებრივია, რადგან კინემატოგრაფის „არსობის პერი“, საფუძველთა საფუძველი ლიტერატურული სცენარია. დასამალი არ არის, რომ ხშირად სწორედ ეს „პერი“ აქლია, ან საკრძნობლად მდარე ბარისის საზრდაოთი იკვებება დღესაც ჩვენი კინო.

თანამედროვე მაყურებლის გაზრდილი გემოვნება, მისი მხატვრულ-ესთეტიკური დონე, ბუნებრივია, ვერ მიიღებს და მოიწონებს იმას, რასაც კემპარტი ლიტერატურისა და ხელოვნების ბუქედი არ აზის.

ქართულმა მწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა ერთგვარი კინოს ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში. არაერთი სახელმწიფოელი მწერლის დავალი ამუშევნებს ქართული კინოს ისტორიას, მაგრამ ეს კარგი ტრადიცია უკანასკნელი ორი ათწლეული წლის მანძილზე რატომღაც საკრძნობლად შეირყა. კინოდრამატურგიის განვითარების ამ არაპირდაპირ გზას შეიძლება ჰქონდეს ობიექტური მიზეზები, იქნებ საფუძველმოკლებული არ იყო ისიც, რომ მწერლობამ გარკვეულად ზურგი შეაქცია კინოს და მისი შემოქმედებითი ცხოვრების შორიდან მაყურებელი გაბდა.

ეკრანისაკენ გარკვეული როლი შეასრულა, საერთოდ, კინოს და, ეკრამ, ქართული კინოს განვითარებაში და მოამზადა ის მტკიცე ნიადაგი, რომელზეც ასე საიმედოდ იზრდება დღეს



ორიგინალური ქართული კინოდრამატურგია. მაგრამ, რასაკვირველია, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების ცერანოსიითი შორს ვერ წავა. სასაზღვრეობის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს გამოვლინდნენ პროფესიონალი კინოდრამატურგები, რომელთა სტენარების მიხედვით შექმნილია ფილმებმა საერთო მოწონება დაიმსახურეს.

იმის კითხვა — ქართული კინოს დღევანდელი დონე ან კინოსტუდია „ქართული ფილმი“ პერსპექტივა გვგმა ყოველმხრივ ითვისისწინებს იმ მოთხოვნებს, რასაც დღეს ჩვენი ცხოვრების რიტმი, მისი განვითარების დიალექტიკური კანონები გვარჩახობენ, რასაც კომუნისტური პარტია და ხალხს გაზრდილი გემოვნება მას უყენებს? ამ კითხვას, ჭეჭრარობით, დადებითად ვერ ვუპასუხებთ.

ეს კარგად აქვს შეგნებელი კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ხელმძღვანელობასაც, რაზედაც მრავალჯერ გავხუთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან სტუდიის დირექტორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ რ. ჩხეიძის ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც მან აღნიშნა: „კინოხელოვნებას, ისე როგორც საერთოდ ხელოვნებას, არა მარტო გასართობს, ასე ვთქვათ, ესთეტიკური დანიშნულება აქვს, მას უფრო მასშტაბური ფუნქცია აქვს“.

ხელოვნების დანიშნულება, მისი მაგისტრალური ხაზი — ადამიანის სიღაძის, მისი მოწოდება-დანიშნულების ჩვენებას, ცხოვრების დრამა ფენებში ჩაწვდომა-გაზრებას ტულისსმობს. ეკრანის ელვის თანამედროვე გმირს, ამ სიტყვის დრამა გაგებით, თავისი განცდებით და კორ-ვარანით, თავისი მიზანდასახულობით და მიზანსწრაფვით. ეკრანზე უნდა აისახოს მუშის, სულელის, შრომობელი ინტელიგენტის და საერთოდ იმათი ცხოვრება, ვინც მატერიალურ და სულიერ ფასეულობას ქმნის, ვინც დღევანდელს ამკვიდრებს და მომავალს აშენებს“.

ამ სწორი განზრახვის ხორცშესხმა, რა თქმა უნდა, აღემატება მხოლოდ კინემატოგრაფისტების ძალას. წინარედ აქ არის საჭირო ნაღდი მწერლის მადლიანი სიტყვა. ალბათ სწორედ ეს პუნქტი მხედველობაში მწერალთა კავშირის გაგვობის თავმჯდომარეს გრიგოლ აბაშიძეს, როცა ზარბაზით აღნიშნა, რომ ჩვენი მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება შემოქმედებით მივლინებაში, ეცნობა მუშის, მშენებლის, კოლმეურნე გლეხობის, სამეურნეო საქმის ორგანიზატორების საქმიანობას. მათ სულიერ მოთხოვნას, ფიქრებს, მისწრაფებებს, სიხარულსა და ტკივილებს და საჭიროა კინემატოგრაფისტებმა მეტი დაინტერესება გამოიჩინონ სწორედ ამ მწერლების შემოქმედების მიმართ.

რა თქმა უნდა, ცოცხალი შრომითი პროცესები, შრომობელ ადამიანებთან უშუალო კონტაქტები სასარგებლოა, როგორც მწერლის, ისე კინოხელოვანისთვის. ასეთი მახალურე აგებული ნაწარმოები დახვედვლი იქნება ხელოვნობისაგან, გამოვლილი სოფეტებისა და დრამატული სასაუბრისაგან და მას მეტი დამაქრებლობა, მეტი ცხოვრებისეული სიმატობა ექნება. თუკი, რა თქმა უნდა, ლიტერატურული სინამდვილე მხატვრულ განზოგადებას შეიძინებს, თუკი მწერალი მას ტექნიკურ-დრამატურულ სამოსილში გახვევს და საშუალებას მისცემს კინოს დღევანდელობის სუნთქვით გაუდნობილი მასალა პიროვნებისა და საზოგადოების მადამუშენებელი დამოკიდებულების ასპექტში წარმოსახოს.

სტუდიის მხარე მოხალისი სამუშაო გვგმა, რომელიც დასახელებულ ნაწარმოებთა გათვალისწინებით, სანდერესი თემატურ-ენარობრივ სურათის ქმნის, ბუნებრივია, არ იმდენა იმის საშუალებას, რომ აქედანვე განვეკრიბოთ მისი პრაქტიკული განზოცოდებების შედეგები, ეს უნდა რა მხატვრული-იდეურ დონემდე ამაღლებდა ფილმდამკრული თითოეული სტენარის, ეს უნდა თვით კინემატოგრაფისტებზე, მათ შემოქმედებითი უნარსა და მალალოშკაქაქიორებ სულელ-კეთებზეა დამოკიდებული. დღეს მხოლოდ შეიძლება ვამბოდვებდეთ, რომ ქართული კინო, მისი შემოქმედებითი ორგანიზში წარმატებით გადქარს ამ როულ და საბატიო ამოცანას.

მაგრამ „ქართული ფილმი“ სტუდიამ, თუკი მას სურს მხარდამხარ მივევს ცხოვრების დინებას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჩვენი უახლესი ისტორიის საკვანძო მომენტები, რაზედაც ასე მართებულად და პოლიტიკური სიმამკვილით ილმასარკა მწერალთა კავშირის პირველმა მდიანმა თენგიზ ბუაჩიძემ.

მართლაც, არ არსებობს წმინდა ისტორიული და წმინდა თანამედროვე თემატიკა. მსოფლიოს ლიტერატურა და ხელოვნება ჭერ არ იცნობს ნაწარმოებს, რაოდენ მძაფრ და სანდერესის ისტორიულ მონაკრესობაც არ უნდა ასახავდეს იგი, რომელსაც აელელებინოს თანამედროვე ადამიანი, შეხებდეს მისი სულის სიმებს, თუკი მას აკლია თანამედროვეობის სუნთქვა, ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები და ცხოვრებისეული სიმატობა.

მაგრამ, როცა ისტორიულ თემატიკაზე ვლამასარკებთ, არ უნდა წარმოვიდგინოთ იგი როგორც გაწენებული მცნება. ყოველი ერის ისტორია, მისი კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება უნდა წარმოიხატოს სამყაროსთან დიალექტიკურ კავშირში, სხვა ერებთან ურთიერთობასა და იმ წვლილში, რაც მას შეაქვს კაცობრიობის შოლიან კულტურაში. ერის ყოველი ისტორიული მონაკრესი, თუ პასაუი ლიტერატურასა და ხელოვნებაში უნდა განიხილებოდეს ეროვნულ-დიალექტიკურ-ინფორმალური პოზიციებიდან. თუ გინდა იგი იქცეს ნიშნულად და ჰქონდეს შემოქმედებითი თანამედროვე ელერადობა.

ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ დღეს ისტორიული თემების ასახვას ქართულ კინოშიც, რომელსაც ამის შესანიშნავი ტრადიცია გააჩნია. ასეთი თემები, სუბდანიტიოდ, მრავალდ მოგვეპოვება. ჩვენი არსით, დიდი ხანია დადგა დრო, ქართულმა კინომ შექმნას მაღალმხატვრული ნაწარმოები სხვა მომე ერებთან, მის პროგრესულად მზარდოვებ ადამიანებთან შემოქმედებით, რეკლუტიკურ თუ საბრძოლედ თანამშრომლობაზე. ასეთ ნაწარმოებებში ხომ ნათლად გამოვლინდება ქართველი კაცის ინტერნაციონალური ბუნება, სხვა ხალხებთან მისი მეგობრობის ისტორიული ფესვები...

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მახინჯი მოვლენების სწორ



ლიტერატურულ-მხატვრულ შეფასება-ასახვას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოებაში უფრო უყვანსენელ წლებში. ლიტერატურამ და ხელოვნებამ, კერძოდ კინომ, დღეს გადაწყვეტი კროლი უნდა შეასრულოს ადამიანთა გარკვეული ნაწილის ფსიქიკაში აღზევებული წარმოსახურული ტენდენციებისა და მაგნი ჩვეულების ახალავად. ამ მხრივ კინომ, როგორც მისობრივი ავრტიანის ყველაზე საუკეთესო საშუალებამ, პირველმა უნდა დაუჭიროოს მხარი ჩვენი პარტიის სურსს, რადგან ეს ბრძოლაჲ ისევე სასიცოცხლოა, როგორც იმ მატერიალურ და სულიერ დაუბელოზათა შექმნა, რომელიც აუცილებელია ჩვენი დანი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. სპეტიოთა ადამიანის მალაღმალაჲეობრივი შეგებულობა, მორალურ-ეთიკური სიწმინდე და საერთო-საზოგადოებრივი საქმიანობაში ინტენსიური მონაწილეობის სულიერი მოთხოვნილება მხარდამხარ უნდა მიეცეზოდეს იმ დანი სურსს, რომელიც ქვეყნის მატერიალური დოვლიათის განმტკიცებას ისახავს. ამდენად, დღეს ლიტერატურად დღეს სჭირდება, კერძოდ, კინემატოგრაფიის უპირველესი ამოყანაა შრომობლის ადამიანის კომუნისტური დამოკიდებულების მხატვრულ ასპექტში გადაწყვეტა, მისი განზოგადება და დღეობის მებრების ეყრანული სახის გამოყრწევა.

ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მწერლისა და კინოს ყოველდღიური კავშირის აუცილებლობას. კინოს შემოქმედებითი კავშირებისგან და, კერძოდ, მწერლობისგან სწორედ დღეს სჭირდება მორალური და პრაქტიკული დამხმარება.

რა თქმა უნდა, კინოფილმის წარმატება თუ წარუმატებლობა მართო სცენარზე არ არის დამოკიდებული. კინოდ, როგორც სხვა სინთეზური ხელოვნება, მრავალ კომპონენტთა სინთეზიკად დღეს სჭირდება თავის სრულყოფილ სახეს, მაგრამ ქეშმარტიო მხატვრული სიტყვა თანამედროვე კინოში ის მავიური ძალაა, რომლის გარეშეც ვერც ერთი კომპონენტი ვერ მიადრწევა სრულყოფილებას.

კრიტიკოსმა გურამ გვერდნიფელმა საუბებით მართებულად და დროულად მოითხოვა, რომ მხატვრული ღირებულების მქონე სცენარიც ისევე უნდა იბეჭდებოდეს ჩვენს პერიოდულ პრესაში, როგორც ლიტერატურის სხვა თანრის ნაწარმოებები. ამ საქმიან წინადადებას უდავოდ სჭირდება მხარდაჭერა. ამ მხრივ მშენიერი ცდა ჰქონდა თურნალ „ცისკარს“, რომელმაც ჭრ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა რ. პბულაძის სცენარის „სტეიის შვილი“. ვუჭირობთ, ახლახან დაარსებული კინო-ალმანახის სისტემატურად დამბეჭდავს საუკეთესო კინოსცენარებს.

ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს შეხვედრის დროს წამოკრილი საკითხი კინოდამატარების მწერალთა კავშირის წვერებად მიღების შესახებ. „შთავარი — როგორც რ. თბუკაშვილმა წართეულად აღნიშნა, — მწერალთა კავშირის წვერად გაბდომა კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენად შეტი მწერალი იმუშავებს კინოდამატარებაში“.

არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ მწერალთა კავშირის აქვს თავისი წესდება, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კინოდამატარებელ, როგორც წესი, კინემატოგრაფისტთა კავშირის წვერები არიან. ეს ორგანიზაცია საქმად მოპლარული და ავტორიტეტულია. ამდენად, მისი წვერბაც ფრიად სასატიოა, რადგან არანაკლებ მოთხოვნებს უყენებს კინემატოგრაფისტებს, ვიდრე მწერალთა კავშირი — მწერლებს. ამ გზას რომ დავადგოთ, მაშინ რა დასაშევს კინორეუისორებმა, ისინი ზომ ზმირ შემთხვევაში თანავატარები არიან სცენარებისა?

ჩვენი აზრით, საერთოდ, შემოქმედებითი კავშირები შეტ მომთხოვნელობას უნდა იჩინდენ წვერების კანდიდატებისადმი, რათა კარი გაუღონ ღირსეულთა შორის ღირსეულთ.

შემოქმედებითი კავშირის საქმიანობაზე შესანიშნავად იყო ნათქვამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმზე, რითაც სისტემატურად უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში...

მწერლებისა და კინემატოგრაფისტების შეკრებაზე ძალიან ცოტა ითქვა ქართულ საბავშვო ფილმებზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე. ამ მხრივ საგულისხმო იყო პოეტ იოსებ ნაინელების საუკეთესო იმასთან დავაგებობები, რომ სტუდია ნაკლებ ურარადებას აქვებს საბავშვო კინემატოგრაფიას.

მართლაც, თვალთ რომ გადავავლოთ ქართული კინოს ისტორიას, დავინახავთ, რომ საბავშვო ფილმები ითიერებდა ადვილად წამოთივლება. ჩვენი მოზარდი თაობის მხატვრულ-ესთეტიკურა გემოვნების ახალდება, მისი სულის ფორმირება ბევრადდა დამოკიდებული კინოზე, სასურველი იქნება, რომ ქართულმა მწერლობამ და კინომ ერთობლივი შემოქმედებითი ძალითი გადაწყვიტონ ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოყანა.

მწერლისა და კინოს საქმიანი ურთიერყოყმირი მართკ ამ შეხვედრაზე წამოკრილი საკითხებითი არ ამოიწურება. იგი არც ერთი შეხვედრის ჩარჩოში ჩაეტევა. უყვე იხაზება ის საიზიკლო კონტურები, რომ მომავალში მწერალი და კინო ერთად განსწევენ მშიმე, მაგრამ სასატიო ქანას.

ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებული პრობლემები კინოსაგან სწრაფ რეაგირებას მოვლიან. მოსოვლის მოწინავე კინემატოგრაფში ახლა საანტრებსო ძვერია, გამოსახვის ახალი ხერხების ძიების პროცესები მომდინარეობს. ამ პროცესების მიზმა ვერც ქართული კინო დარჩება, თუკი მას სურს მაღალი ხელოვნების პოზიციებიდან ასახოს თანამედროვე ცხოვრების საყვანო მომენტები, ჩაწედეს ადამიანის სულსა და გონებას. ამ მისიის შესრულებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ქართული მწერლობისა და კინოს მტკიცე შემოქმედებითი კავშირს.

„მრგვალი მაგიდის“ მასალები ჩაიწერა და დასაბეჭდად მოამზადა ტარიელ ხავთასმა.






პარმიველმა მკითხველმა ახლახან მიიღო პროფესორ ნიკოლოზ ჯაფარიძის „ესთეტიკის ნარკვევი“ („ხელოვნება“, 1973 წ. რედაქტორი ა. ტყემალაძე). წიგნი გვაცნობს ესთეტიკის თანამედროვე მდგომარეობას, მის უზოგადეს კატეგორიებს, კანონებს, ხელოვნების როლს საზოგადოების ცხოვრებაში. ნაშრომი გათვალისწინებულია, როგორც მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლების შემსწავლელთა, ისე მკითხველთა ფართო წრისთვის. წიგნში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან არის განაალიზებული ესთეტიკის აქტუალური საკითხები. ავტორი იყენებს უამრავ თვალსაჩინო მასალას, როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიო ხელოვნებისა და ესთეტიკის ისტორიიდან, რაც მის ზოგად თეორიულ მსჯელობებს უფრო ნათელსა და მისაწვდომს ხდის მკითხველისათვის. ნაშრომში მოცემულია ესთეტიკის თითქმის ყველა ძირეული ცნების განსაზღვრების ცდა, ხშირად რამდენიმეც.

ნაშრომში ესთეტიკა განსაზღვრულია, როგორც „მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სინამდვილეს „სილამაზის კანონების“ მიხედვით და ხელოვნებას, როგორც „სამყაროს მხატვრული ათვისებისა და გარდაქმნის უმაღლეს ფორმას“ (გვ. 7). ამ განსაზღვრებაში ავტორი უარყოფს და უკუაგდებს ესთეტიკის, როგორც მეცნიერების, გაგებაში არსებულ ორ უკიდურესობას, რომელთაგან ერთი მის ობიექტად აცხადებს მხოლოდ მხატვრულ სინამდვილეს, ხოლო მეორე (ამოდის ბუნების პრიმატის პრინციპიდან) ხელოვნებას ბუნების დანამატად და სუროგატად თვლის. ავტორის თვალსაზრისის უპირატესობა ამ ორ ცალმხრივობასთან შედარებით საესებით ნათელია.

აქვე მოცემულია რიგი განსაზღვრებებისა, რომლებიც ავსებენ და ნათელყოფენ ავტორის პოზიციას: „ესთეტიკა შეისწავლის ხელოვნებას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას, როგორც ადამიანის ესთეტიკური მოღვაწეობის უმაღლეს ფორმას“ (გვ. 9). „ესთეტიკა არის მეცნიერება ესთეტიკურის შესახებ“ (იქვე). ავტორი ამ შემთხვევაში გულისხმობს ესთეტიკურს როგორც ბუნებაში, ისე ხელოვნებაში. ცოტა ქვემოთ მოცემულია კიდევ ერთი განსაზღვრება: „ესთეტიკა არის მეცნიერება ესთეტიკურის არსის შესახებ, სამყაროსა და ადამიანის ესთეტიკური შეგუვნების ზოგადი კანონების შესახებ“ (გვ. 94).

ამრიგად, ამ კონცეფციით ესთეტიკის ობიექტშია მოქცეული მთელი სინამდვილე, დანახული „სილამაზის კანონების“ მიხედვით და მთელი ხელოვნება.

ამასთან დაკავშირებით, ავტორს დასჭირდა განსაზღვრა ხელოვნების რაობაც, რადგან იგი სინამდვილესთან ერთად ესთეტიკის ობიექტია: „ხელოვნება სინამდვილის ათვისების უმაღლესი



# ნ ა უ რ კ ე ბ ი

## მარქსისტულ-ლენინური

## ესთეტიკის საკითხებზე

თამარ კუკავა

ფორმა და მისი მიზანია დაამკვიდროს ცხოვრობაში მშენიერი“ (გვ. 8). ამ განსაზღვრებით ავტორი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან ემრძვის ბურჟუაზიულ ესთეტიკას, რომელიც უარყოფს ხელოვნებას, როგორც სინამდვილის ამსახველს და მის კავშირს სინამდვილესთან.

ასევე, წინააღმდეგ ბურჟუაზიული თეორიებისა, რომლებიც იბრძვიან ხელოვნების ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპთა წინააღმდეგ, ავტორი ფართოდ აშუქებს მათ მნიშვნე-

ლობას ხელოვნებაში, ამტკიცებს, რომ ეს არ ამცირებს მშვენიერებას ხელოვნებაში, ხოლო თვით ხელოვნება არ დაჰკავს ხელოვნობამდე. საერთოდ, პროფ. ნ. ჯაშის ნაწრომის ერთ-ერთ ძირეულ ღირსებას შეადგენს მისი შემტყვი, ემბრძოლი ხასიათი.

საყურადღებოა ესეთიკის კატეგორიების ავტორისეული კლასიფიკაცია. იგი არ ემაყოფილება ესეთიკის მხოლოდ თხზი ძირითადი, ტრადიციული კატეგორიის დახასიათებით, არამედ განიხილავს ესეთიკურ სუბიექტთან დაკავშირებულ სხვა კატეგორიებსაც (ესეთიკური გემოვნება, განცდა, იდეალი, შესედლება და სხვ.), აგრეთვე მხატვრულ შემოქმედებასთან დაკავშირებულ კატეგორიებს (მხატვრული სახე, ტიპი, მეთოდი, სტილი და სხვ.).

წიგნში მშვენიერება განხილულია, როგორც უნივერსალური კატეგორია. ავტორი წერს: „მშვენიერება არსებობს როგორც ბუნებაში, ადამიანისგან დამოუკიდებლად, ისე რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (გვ. 128). როგორც ვხედავთ, ამ კონცეფციაში მშვენიერება არ არის მხოლოდ სუბიექტური კატეგორია, რომელიც მხოლოდ სუბიექტში არსებობს, არამედ ობიექტურიც (არსებული სინამდვილეში). ამიტომაცაა, რომ სხვა განსაზღვრებებში ავტორი ხაზს უკვამს მშვენიერების ობიექტურ ხასიათსაც: „მშვენიერი, ლამაზი ნივთები და მოვლენები არსებობენ თვით სინამდვილეში და ისინი შეფასებას ღებულობენ ადამიანის მიერ მათი რეალური თვისებების მიხედვით“. „რეალურად არსებობს არა ესეთიკური ზოგადი, არამედ კონკრეტული“.

ამასთან, ავტორს არ ავიწყდება მშვენიერების საზოგადოებრივი, სოციალური ხასიათიც: „ბუნება ადამიანის მიერ ესეთიკურად აღიქმება არა მარტო მისი საზოგადოებრივ-ესეთიკური იდეალების პრიზმაში, არამედ პირად გრწნობად პრიზმაშიც“ (გვ. 129). ავტორისეული კონცეფციით ასე ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მომენტი მშვენიერების აღქმასა და ათვისებაში: ობიექტური, საზოგადოებრივ-სოციალური და სუბიექტური. გამოდის, რომ მშვენიერება ამ მომენტების ნაერთია და მათი ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი.

გემოვნება ავტორს ესმის, როგორც „სინამდვილის მოვლენების და ხელოვნების ნაწარმოების ემოციური შეფასების უნარი“; მაგრამ მასზე შეგავლენას ახდენს კლასობრივი მდგომარეობა, განათლება, ეროვნება და სხვ.

ნაწრომში ამაღლებულის კატეგორია არ უპირისპირდება მშვენიერებას, არამედ მათ შორის მხოლოდ ხარისხობრივი განსხვავება აღინიშნება: „მშვენიერი ქცევა ხდება ამაღლებული მანან... როდესაც ქცევის ზომა ახალ ხარისხში გადადის, გადაიქცევა მშვენიერის უფრო მნიშვნელოვან შინაარსად“ (გვ. 143).

საკვებით მართებულია არის შრომაში გარტიკებული კონცეფცია, რომლის მიხედვით ტრადიციული გმირი მხოლოდ დიდი პიროვნება უნდა იყოს. ავტორის აზრით, ტრადიციული გმირი შეიძლება იყოს პატარა ადამიანიც; მაგრამ არავითარ შემთხვევაში თაღლითი, არამზადა, გაიძვერა, მანვე, რომლის დაშვებას არ იწყებს არავითარი სინანულია და შერაბების გრწნობას. ტრადიციულ გმირს ავტორი განსაზღვრავს, როგორც „მოწინააღმდეგე ძალებთან აქტიურ ბრძოლაში მშვენიერის დამარცხებას ან დაღუპვას“ (გვ. 155). ამ შემთხვევაში ტრადიციული გმირი ამაღლებულია, ხოლო თვით ტრადიციის, ავტორის თქმით, გააჩნია „სიცოცხლის დამამკვიდრებელი ხასიათი“ (გვ. 157).

იდეალს ავტორი ათავსებს მიწნობრივი მოვლენების სფეროში და განსაზღვრული აქვს, როგორც „მშვენიერების უმაღლესი გამოხატულება, სრულყოფილი სილამაზის მთლიანი სახე“ (გვ. 112).

ნაწრომში ფართოდ არის გაშუქებული რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — გერცენის, ოგარინოვის, დობროლიუბოვის, წერნიშევსკის, პისარევისა და სხვათა ესთეტიკური შესედლებები. დახასიათებულია აგრეთვე ქართველი სამოციანელების მოღვაწეობა: ავტორი წერს, რომ ქართველი სამოციანელების მიღვაწეობა, ძირითადად, განპირობებული იყო ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებით, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეური გავლენითა და იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით (გვ. 41).

აქაც ავტორი ეძრბვის ორ ცალმხრივობას, რომელთაგან ერთი ქართველ სამოციანელთა თვალსაზრისს მიიჩნევს მხოლოდ რუსული რევოლუციონერ-დემოკრატიული მოძრაობის, ხოლო მეორე — მხოლოდ ქართული ეროვნული, კულტურული და აზროვნებითი ტრადიციების გავრძელებად.

წიგნში ფართოდაა განხილული როგორც რეალიზმის, საერთოდ, ისე სოციალისტური რეალიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი არსი. რეალიზმის დახასიათებისას ავტორი ეყარება ფრ. ენგელსის ცნობილ მითითებას იმის შესახებ, რომ „რეალიზმი გულისხმობს ტიპური ხასიათების გარემოში ტიპურ მართალ წარმოსახვას“. ამასთან დაკავშირებით, რეალისტური მეთოდი ავტორს ესმის, როგორც „გამოსახულების სიმარალე, ანუ ცხოვრებასაღმის ხელოვნების შესაბამისობის მოთხოვნა“ (გვ. 245).

საფუძვლიანადაა გაანალიზებული სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლის მთელი ისტორია, გაშუქებულია ტ. გორკის

როლი მის ჩამოყალიბებაში. სავანგებოდა განხილული სოციალისტური რეაღონის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა კომუნისტური პარტიულობა, სინამდვილის მართალი, ისტორიულ-კონკრეტული გამოსახვა, ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების განხორციელები-სათვის, კავშირი ხალხის მსახურთან, დადებითი გმირის პრობლემა, კრიტიკული დამოკიდებულება ყოველივე იმასთან, რაც ხელს უშლის კომუნისტურ დიდი იდელების გააძორციელებას, დაპყვადრების პათოსი (წინააღმდეგე კრიტიკული რეაღონის უარყოფის პათოსისა) და სხვ; წიგნში ვკითხულობთ: „სინამდვილის მნიშვნელოვანი მხარეების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, ცხოვრებისეული მასალის არის აღება, თანამედროვეობის დიდი სოციალური მთვლენების გამოსახვა — აი, რეალისტური ხელოვნების ძირითადი ამოცანა“ (გვ. 293).

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მასების ესთეტიკური აღზრდის პრინციპების გაშუქებას. აღაშინათა პარმონიული და ყოველმხრივი განვითარებისათვის ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ხელოვნების ყველა ფორმის ფართოდ გამოყენებას. მაგრამ იქვე მართებულად შენიშნავს, რომ ესთეტიკური აღზრდა არ ამოიწურება მხოლოდ ხელოვნების სწავლებით, რადგან ესთეტიკური ზემოქმედების უფრო მეტი ძალა გაახიბა მთელ სინამდვილეს; რომ ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს ესთეტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ადამიანში არა მხოლოდ ხელოვნებისადმი, არამედ მთელი სამყაროსადმი. მაგრამ ეს პრინციპი არ უნდა მოეწყვიტოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამოუმუშავებას, ზნეობრივი, ათვისტური, ფიზიკური, მატერული აღზრდის პრინციპებს. წიგნში ვკითხულობთ: „სამყაროსადმი: ამ ყოვლისმომცველი ესთეტიკური დამოკიდებულების აღზრდა კომუნისტის მშენებლობის ეპოქაში იქნეს ისეთ გრანდიოზულ მნიშვნელობას, რომელიც კაცობრიობის განვითარების მთელ პერიოდში მას არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა“ (გვ. 303).

ადამიანთა ესთეტიკური აღზრდა ავტორს ესახება, როგორც ყოველმხრივი პარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება. ასეთ ადამიანს კი უნდა ჰქონდეს მაღალი მორალური თვისებები და მისი შესატყვისი გარეგნული გამოხატვის ფორმები, როგორცაა ქვეყნის ესთეტიკა, ეტიკეტი, სათანადო მანერები და სხვ. ყოველივე ეს კი ადამიანთა ცხოვრებასა და ურთიერთობას უფრო მიმზიდველსა და მშვენიერს ხდის.

პარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა წიგნში წარმოდგენილია როგორც ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რაც გამომდინარეობს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ჰუმანური, დემოკრატიული პრინ-

ციპებიდან. ამ შემთხვევაში პარტია ხელმძღვანელობს ძირითადში ხალხის კეთილდღეობის პრინციპებით, როგორცაა პრინციპი — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ხალხისათვის“.

ესთეტიკურ აღზრდას ავტორი მჭიდროდ უკავშირებს ეთიკურ აღზრდას, თუმცა წინააღმდეგა იმისა, რომ ეს ორი პრინციპი გაივლებს. ავტორი შენიშნავს, რომ „ამ შემთხვევაში ესთეტიკური აღზრდა იქვეა დიდპატივად და მიშველ მორალიზებად და ის მიზნის ვერ მიაღწევს“ (გვ. 308).

პროფ. ნ. ჯაში იხილავს ისეთ კონკრეტულ საკითხებსაც, როგორცაა სტილია და მეთოდის ურთიერთმიმართება და სხვ. ავტორი ცდილობს გაემიჯნოს იმ თეორეტიკოსებს, რომელთაც სტილი ხელოვნების ფორმაზე დაყავთ. ავტორი წერს: „სტილი სახეთი-გამომხატველობით საშუალებათა და ხერხების ფორმალური ერთიანობა კი არ არის, არამედ მათი შედარებითი მყარი ერთობა, რომელიც განისაზღვრება იდეური შინაარსით“ (გვ. 248).

ავტორი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს ხელოვნების პარტიულობისა და შემოქმედების თავისუფლების პრინციპებს. მისი მსჯელობით, ეს ორი პრინციპი კი არ უპირისპირდება, არამედ გულისხმობს და აესებს ერთმანეთს. ასევე ავსებენ ერთმანეთს ხელოვნების პარტიულობისა და მისი ზოგადსაკაცობრივი დანიშნულების ცნებები. ამის შესახებ წიგნში ვკითხულობთ: „ხელოვნებაში ზოგადსაკაცობრიო ის, რაც პროგრესულად პარტიულია. ამიტომ ჩვენს ხელოვნებაში ჰუმანისტური და კომუნისტური ემთხვევიან ერთმანეთს“ (გვ. 263).

კარგად არის დასაბუთებული ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ჩვენს ხელოვნებაში მჭიდროდ არის შესისხლზორცებული ნოვატორობისა და ტრადიციულობის პრინციპი.

წიგნში გამოყენებული დიდალი თვალსაჩინოება, ფაქტები, მაგალითები, მასალები ხელოვნების ყველა სფეროდან. ავტორი კარგად იცნობს ესთეტიკის აქტუალური პრობლემების შესახებ არაბებულ ლიტერატურას და მარქსისტულ-ლენინური მისოფლმხედველობის მომარჯვებით უტყვებ რეაქტული მიმდინარეობებს. ნაშრომი დაწერილია მარტივი ენით და ადვილად იკითხება.

ჩვენი აზრით, წიგნი მნიშვნელოვნად მოიგება, თუკი ავტორი იმ მრავალრიცხოვანი განსახლებრივიდან (რომელთაც იგი კვაავაზობს თუნდაც ესთეტიკის ცალკეული კატეგორიების განხილვისას) მკითხველს გარკვევით მიუთითებდა უფრო არსიისა და მნიშვნელოვანზე, ვინაიდან ესთეტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველი, შესაძლოა, ჩაეჭიდოს შედარებით უმნიშვნელო განსახლებრებას, რაც მას ცალმხრივობამდე მიიყვანს.



ვეფერობთ, უკეთესი იქნებოდა, თუ წიგნი ზოგიერთ მართებულად გადაწყვეტილი, მაგრამ მკრთალად გაშუქებული საკითხი უფრო ფართოდ იქნებოდა წარმოდგენილი. მაგალითად, პარაგრაფში, რომელსაც ეწოდება „ესთეტიკური აზროვნების ისტორიები“, სასურველი იყო ესთეტიკის ისტორიის უფრო ვრცლად წარმოდგენა. მართალია, პარაგრაფის სათაური არ ავალეს ავტორს მთელი ისტორიის გაშუქებას, მაგრამ ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისეთი საკვანძო პუნქტები, როგორცაა ძველი ბერძნული და რენესანსის ეპოქის ესთეტიკა, თუნდაც ზოგად შტრიხებში ყოფილიყო განხილული, მეტ ნათელს მოაჟღერებდა რეალიზმის ადრეულ წინამძღვრებს.

ფორმისა და შინაარსის მიმართების პრობლემას, მართალია, ვხვდებით წიგნის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ აჯობებდა, თუ ავტორი ამ პრობლემის განხილვასა და ანალიზს მეტ ყურადღებას მიაქცევდა, რადგან ესთეტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბურჟუაზიულ სამყაროში სულ უფრო მეტად მოძალდა ირინტაცია ფორმასზე.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების კლასიციზმისა და ზოგადად კლასიციზმის დანიშნულებების პრობლემის ყოველმხრივ ანალიზს. ჩემთან, სადაც გააქტრა კლასიციზმი ანტიკონიზმი და ვდგავართ კლასიციზმის სრული ლიკვიდაციის შესაძლებლობის წინაშე, ამ საკითხის ამომწურავი გაშუქებით ნაშრომი მოიგებდა. თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ავტორს ეს პრობლემა უყურადღებოდ დაეტყველებინის (იხ. გვ. 218, 263).

ავტორი 116-ე გვერდზე წერს: „მეცნიერების ყველა დარგი სინამდვილის მიერ შესწავლილი მხარეების დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს განაზოგადებს კატეგორიებში“. ეს ადგილი ასე უნდა შესწორდეს: „მეცნიერების ყველა დარგი სინამდვილის მის მიერ შესწავლილი მხარეების დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს განაზოგადებს კატეგორიებში“.

მესამე თავის პირველ პარაგრაფში, რომელსაც ეწოდება „ესთეტიკურის ბუნება“ (გვ. 94-104), ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო თვით ესთეტიკურის არსის განსაზღვრა. ავტორს, მართალია, მოცემული აქვს ცდები ესთეტიკურის განსაზღვრებისა, მაგრამ სინამდვილეში ისინი არ წარმოადგენენ მის განსაზღვრებას. მაგალითად, ერთგან ესთეტიკური განსაზღვრულია, როგორც ყველა კატეგორიის ერთიანობა. ავტორი წერს: „ესთეტიკურში ჩვენ ვგულისხმობთ მშვენიერსაც და ამაღლებულსაც, ტრაგიკულსაც და კომიკურსაც, საზოგადოებას და მდაბალსაც და ა. შ.“ (გვ. 94). ცოტა ქვემოთ იგივე ესთეტიკური განსაზღვრულია, როგორც „ზოგადი ცნება, უნივერსალური კატეგორია“. მაგრამ ასეთივე ზოგადი, უნივერსალური კატეგორი

რები მშვენიერიც, ამაღლებულიც, ტრაგიკულიცა და კომიკურიც. ამას გარდა, ყველა ის „სინამდვილი“, რომელიც დაძებნილი აქვს ავტორს ესთეტიკურის დამახასიათებლად, ერთნაირად გამოდგება დანარჩენი კატეგორიების — მშვენიერის, ამაღლებულის, ტრაგიკულისა და კომიკურის დამახასიათებლად. ეს ნიშნებია: ობიექტურობა, კონკრეტულობა, უნივერსალობა, ფარდობითობა, ინდივიდუალურობა და სხვ. ვფიქრობთ, რომ საჭირო იყო ჩამოთვლილი კატეგორიებისათვის იმ ზოგადი ნიშნების დაქვინა, რის გამოც ისინი ესთეტიკურად იწოდებიან, რაც ამავე დროს, ესთეტიკურის განსაზღვრებაც იქნებოდა.

პროფ. ნ. ჯაშის აზრით, „თუ მეცნიერება მშვენიერების შედგენებს გამოხატავს ფორმულაში, კანონებში, ცნებებში, რომელთაც ერთმნიშვნელოვანი აზრი აქვთ, ხელოვნებაში „ქმნილობა“ ხორცილს ისხამს ტიპების უსასრულო რაოდენობაში“ (გვ. 193). ავტორი უფრო უფრო აზუსტებს თავის კონცეფციას: „მხატვრული სახე ხელოვნებაში სინამდვილის გამოსახვის ფორმა“ (გვ. 194). აქ მკითხველს უთუოდ დაება კითხვა: განა კმარა ხელოვნების მეცნიერებისგან განსხვავებისთვის მხოლოდ სახეები? ხომ არ დაიყვანს ეს განსაზღვრება ხელოვნებას ფორმალურსადაც? მით უმეტეს, რომ ავტორი მხატვრულ სახეს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მხატვრული სახე — ეს არის ხელოვნების მიერ წარმოსახული ცხოვრებისეული მოვლენების მთლიანი და დასრულებული დახასიათება, რომელიც მოცემულია გრძობად-კონკრეტულ, ესთეტიკურად მნიშვნელოვან ფორმაში“ (გვ. 195).

ყოველივე ამის წინაშეს შემდეგ მკითხველის წინაშე აუცილებლად წამოიჭრება კითხვა: ხომ არ დადა დრო, დაიძებნოს ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის სხვა უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი განსაზღვრება, ვიდრე ფორმა ან სახეა?

ჩვენი შენიშვნები უფრო პრობლემური ხასიათის საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ესთეტიკაში დღესაც არაა საბოლოოდ და ამომწურავად შესწავლილ-გაშუქებული. მისი საბოლოო გადაწყვეტა ესთეტიკის შემდგომი განვითარების საქმეა და ამიტომ ამ ეტაპზე ვერ მოვხიზოთ ავტორს ყველა სადავო პრობლემის გადაწყვეტას. ჩვენ ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ ეს პრობლემები სარეცენზოო წიგნშიც პრობლემებადვე დარჩნენ. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ზემოთქმული არ ამცირებს პროფ. ნ. ჯაშის შრომას.



პართულ თეატრალურ ლიტერატურას კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა. ეს გახლავთ ნინო შვანგირაძის მონოგრაფია, რომელშიც, ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით, მოთხრობილია გამოჩენილი ქართველი მსახიობის თამარ ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

5. შვანგირაძე თავის წიგნში „თამარ ჭავჭავაძე“ (გამომცემლობა „ხელოვნება“, 1973 წ.) მსახიობი ქალის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ მომენტებზე ახაზვლებს ყურადღებას. ეს

ხვედებს თამარის მიერ ხორცშესხული ლაურენსია, რომლითაც იგი შესანიშნავად მიუხვდა დიდ რეჟისორს, „ჩაწვდა მისი სპექტაკლის მემბოხე იდეას, რომ ესპანეთის პატარა სოფლის — ფუნტე ოვებუნას ერთი ლამაზი, უბრალო გოგონა, პატიოსნებისა და სიმართლისათვის ბრძოლაში უნდა აქციოს თანასოფლელოა მედროშედ, რომ მისი შურისძიების გრძობა უნდა გაიზარდოს პროტესტში ადამიანთა ჩაგვრისა და დამცირების წინააღმდეგ“ (გვ. 60).

სწორედ აქედან დაიწყო თამარ ჭავჭავაძის

**ფიზიკა**

**„თამარ ჭავჭავაძე“**

**ნაზი ელიაშვილი**



არ გახლავთ მარტოოდენ მსახიობის შემოქმედებითი გამარჯვებების გზა. ესაა რთული ძიებით აღსავსე ფრიად მნიშვნელოვანი და ღრმა პროცესი, რომელმაც მსახიობი ქალი აქტიურულ სრულყოფილებამდე მიიყვანა. 5. შვანგირაძე, მიჰყვება რა ფაქტობრივ მასალას, საფუძვლიანად და დამაჯერებლად აანალიზებს მსახიობი ქალის თანმიმდევრულ შემოქმედებით ზრდას.

თამარ ჭავჭავაძის სცენურ სახეთა გალერეას ავსებს როგორც ეროვნული, ისე რუსული და უცხოური დრამატურგიის პერსონაჟები. მისი სახელი ყოველთვის ღირსეულად მოიხსენიება ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის გვერდით. 50 წელი გავიდა „ცხვრის წყაროს“ პირველი დადგმიდან რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე და დღესაც არ ავიწყდებათ მნა-

როგორც გმირულ-რომანტიკული ხასიათის მსახიობის ჩამოყალიბება. 5. შვანგირაძე ამ მიმართულებით განიხილავს მსახიობის შემოქმედებას და ამავე მიმართულებითვე ახდენს მის მიერ განსახიერებულ როლების კლასიფიკაციას.

ავტორს ხანგრძლივი მუშაობა ჩაუტარებია საჭირო მასალების შესაკრებად. მას მიზნად დაუსახავს მეცნიერულად შეესწავლა ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის სამსახიობო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის — თამარ ჭავჭავაძის შემოქმედება თვით ქართული თეატრის ისტორიის განვითარების ასპექტში და განესაზღვრა მისი როლი თანამედროვეობის თვალსაზრისით. მონოგრაფიის ავტორს საშუალება ჰქონდა აგრეთვე წლების მანძილზე პირადად გაესაუბროდა თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებას; მას

არაერთხელ მიუმატავს თამარის ახლობლებს-ათვის საინტერესო მოგონებების ჩასაწერად; იგი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე იმ მსახიობებსაც, რომლებიც უშუალოდ მოღვაწეობდნენ თამართან ერთად. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან განაპირობა მინოგრაფიის საინტერესო გადაწყვეტაც.

5. შვანგირაძეს სარეცენზიო წიგნი დაყოფილი აქვს რამდენიმე თავად. წიგნის წინა სამ თავში ავტორი თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებას განიხილავს, როგორც ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს და ნათლად გამოხატავს იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც ისტორიულად დამახასიათებელი იყო ქართული საბჭოთა თეატრისათვის.

ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, ავტორი საფუძვლიანად ანალიზებს თამარის მიერ განსახიერებულ პერსონაჟებს. ნათელი ხდება, თუ როგორ ეტრფოდა თამარი გმირულ სასიათებს, როგორ ეძებდა თავის გმირებში ამაღლებულ გრძნობებს და პოულობდა კიდევ საშუალებებს მათი შთამაგონებელი წარმოსახვისათვის.

შეუძლებელია მკითხველმა არ იგრძნოს ავტორის დიდი სიყვარული თამარ ჭავჭავაძის, როგორც მოქალაქისა და შემოქმედისადმი. უპირველესად, სწორედ ამ გულთბილი დამოკიდებულებით იპყრობს ყურადღებას წიგნი, რომელშიც ავტორისთვის ჩვეული გულწრფელობით, საქმის ცოდნითა და სერიოზულობითაა გაშუქებული ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის ცხოვრება და სასცენო მოღვაწეობა.

ავტორი სამართლიანად არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს თამარ ჭავჭავაძის ნიჭსა და შესაძლებლობებს უმაღლესი წერტილისათვის ტრადედიასა და, კიდევ უფრო, დრამის კანონი მიეღწიოს.

„მის მიერ შექმნილი სახეები, — წერს ავტორი, — ძლიერნი იყვნენ დრამატული ხელოვნების ყველა ეპოქაში. ისინი მაყურებელში ერთნაირი სიძლიერით აღძრავდნენ გრძნობებს, აზრს, ძაბავდნენ სულიერ ძალებს, ანიჭებდნენ ადამიანს ჭეშმარიტ სისხარულსა და ესთეტიკურ სიამოვნებას“ (გვ. 69).

ვფიქრობ, მინოგრაფია გაცილებით მოიგებდა, თუკი ნ. შვანგირაძე გვერდს არ აუკლიდა ქართული რეჟისურის საკითხებსა და მსახიობებისა და რეჟისორების შემოქმედებითი კავშირების დაწვრილებით ანალიზს. ამ მხრივ, კარგი იქნებოდა, თუ ავტორი მიმოიხილავდა ამა თუ იმ სპექტაკლის წარმატება-წარუმატებლობის ფაქტებს, როგორც რეჟისორის, ისე სამსახიობო ხელოვნების ღრმა ანალიზის ასპექტში. მაშინ ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვექნებოდა, თუ რა მისცა მსახიობ ქალს კ. მარჯანიშვილმა ლაურენსიას („ცხვრის წყარო“), ს. ახმეტელმა ტატიანას („რდევას“), დ. ანთაძემ მარიამის („მუნჯები

ალაპარაკდნენ“), ბ. გამრეკელმა კატრინის („ღალატო“), ა. ვასაძემ თორაანთ ჭერივის, დ. ალექსიძემ იოკასტეს („ოიდიპოს მეფე“) როლების დამუშავებისა და განახიერების დროს.

ცნობილია, რომ კ. მარჯანიშვილისთვის უცხო არ ყოფილა შელის „ბეატრიჩე ჩინჩის“ დადგმა ქუთაისის თეატრის სცენაზე. მან ჯერ კიდევ 1920 წელს მოსკოვში, კორმის თეატრის სცენაზე, განახორციელა იგი. სადაც ბეატრიჩე ჩინჩის როლად ვერა იურენევამ შეასრულა. აქვე შეგვიძლია ხაზი გავუსვათ ერთ ფაქტს: ვფიქრობ, შემთხვევითი არ იყო მარჯანიშვილის მხრივ ყურადღების შეჩერება თ. ჭავჭავაძეზე, რომელიც, ვ. იურენევას მსგავსად, ლაურენსიას შესანიშნავი შემსრულებელი იყო. ჩანს, ამ ორი მსახიობის შემოქმედებით თავისებურებაში რაღაც საერთოსაც პოულობდა დიდი რეჟისორი. ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნებოდა ამ ორი ცნობილი მსახიობის საერთო თვისებების აღნიშვნა.

მხატვარ ზ. კაპანაძეს წიგნი ჩვეული ოსტატობით გაუფორმებია. წიგნის მაკვტიც აზრობრივად საინტერესოადა შედგენილი, ზომიერადაა განაწილებული ტექსტისთვის განკუთვნილი ფორტომასალაც.





## პასო პაპა

პასო პაპაშვილის სცენური საშუალებები და მისი მხატვრული პრინციპები სავსებით ემთხვევა ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებებს.

შემთხვევითი როდია, რომ ილია ჭავჭავაძე ვასო აბაშიძეს ქართული სცენის „მოდერას“ უწოდებდა, რომელიც სცენიდან ხალხს ასწავლიდა „თუ რა ღირსება და ნაკლი ჰქონიათ, რა უნდა ევმთო, რა ექმთო, ცხოვრებაში სათაყვანებელი რა გავხადათ“. ილია დიდი მსახიობის შემოქმედების უკვდავებას წინასწარმეტყველებდა, რადგან სინამდვილე და ვ. აბაშიძის მიერ ცხოვრების ნიჭიერად დასურათება „ურთიერთს არ ეწინააღმდეგებან. სული ერთი აქვო“.

თუ როგორ ეთანხმება ვასო აბაშიძე ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პრინციპებს, გავიხსენოთ თვითონ ვასო აბაშიძის „მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ“: „მსახიობმა უნდა შეისისხლბორცოს ცხოვრება, ხასიათ-თვისებაში იმ კაცისა, რომლის წარმოდგენასაც აპირებს. მსახიობი ერთი წუთითაც ნუ დაივიწყებს, რომ იგი ესა და ეს მომქმედია და არ გადააჭარბოს, ერთი სიტყვით, სცენაზე ცხოვრობდეს“.

შევედრებ შეძლებისდაგვარად განვმარტო ვასო აბაშიძის რეალისტური სკოლის დედაზრი. გადმოვიცე მის მიერ შექმნილი რადენიმე მხატვრული სახისაგან მიღებული შობებულება, აგრეთვე, გვაანალიზო მისი როლი ქართულ საბჭოთა სცენური ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

ენახთო, როგორ ანხორციელებდა ვასო აბაშიძე შემოქმედებით პრაქტიკაში „მოკლე ცნობანის“ მოთხოვნას. გაციხსნით მის მიერ შესრულებული აკოფას როლი ავექსნებო ცავარლის კომედიაში „სანუმა“.

მეორე მოქმედება... ტყუილკოტრიანის ოჯახში საქორწილო მზადება; მხოლოდ სიხას გაუბედავი პროტესტი მისთვის არასასურველ გათხოვებაზე დიდებას გულში შიშს იწვევს და შეიღობილის ურჩობას სწავლა-განათლებას აბრალეებს. დიდებას მოსაბეზრებელი, გულუბრყვილო დარიგებანი, სონანთან ერთად, მაყურებელსაც გულს უშლავრებს. იქნებთა

დაძაბულობა, სულის შემუთველი სცენა. საჭიროა, ამ კარჩაკეტილ ბინაში მზის სხივმა შემოაწათოს, მაკოცხლებულმა ნიაგამა დაძებროს და აი, კულისებიდან უკვე მოისმის მშვენიერი კილოთი შესრულებული თბილისური ბაიათი:

„ნავერ-ნავერ დრობელი მოდის, მაღლა ციდანა, დაბედილი წინა მომდის საყვარელიდან!“

იღება დარბაზის შუა კარი; ჩვენს წინ ღვას საშუალო ტანის კობტა, დარდიმანდი ყმაწვილი კაცი, მოციმციმე, ვუმაკური თვალებით, ნისკარტა ცხვირით, ფერად მოკლე ახალუხსა, გადმოშვებულ წავ შარვლსა და შავ კაბაში გამოწყობილი. ეს არის ტყუილკოტრიანის შეზარხმებული ნოქარი, რომელიც მსუბუქი, ძალდაუტანებელი ნაბიჯით უახლოვდება დიდებას და უდარდელ კილოზე მღერის.

შემოვიდა და თვალები დიდებას მიაშტერა, თითქოს მის მეტს ვერავის ამჩნევს. ულვაშებში კი დიმილი ჩაისაფრა. ამგვარი გამოსვლით ყმაწვილმა კაცმა, დიდებასთან ერთად, თავის ანექსზე უკვე მაყურებელიც წაშაოვ.

ასეთი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი თითქოს სადღაც გინახავს კიდევ. რა თქმა უნდა, გინახავს! ნამდვილად გაგონდება, რომ გინახავს, მაგრამ სად, არ გახსოვს, თუმცა ეს ნამდვილად ისაა. ეს ის კარგი ნაცნობია, ან იქნებ ცდები? იქნებ ის სხვა კაცია? მაგრამ რომელი?..

ეს ხომ ჯერ პირველი გამოჩენა სცენაზე მსახიობისა. მისგან მაყურებელს ჯერ არაფერი უნახავს, არაფერი მოუხსენია, მაგრამ აკოფამ უკვე მიგზიხილა, მოგაკადოვა.

როგორ ახერხებდა ამას ვასო აბაშიძე? მარტო ცხოვრების ცოდნითა და დაკვირვებით? მარტო როლის გონიერული გააზრებით და ბუნებრივი მონაცემებით? იქნებ შეუღარებელი სასცენო ტექნიკით?! ან იქნებ მკაფიო მხატვრული მეტყველებით, მოწინილი ქუსტით, მუსიკალით, ჯადოსნურად მოძრავი სახით!

რა თქმა უნდა, ვასო აბაშიძე ამას გარდასახვის უბადლო ისტატივით, როლის განწყობით, ხასიხა და სიტუაციის ლოკიკური, ღრმა შგერძნების უნარით აღწევდა უთუოდ. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „მსახიობმა რეპეტაციის დროს ყველაფერი უნდა უკავადოს და დაივიწყოს, მთლად ყურადღე-

\* ვაჭრებულება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, №16, 4, 5, 1974 წ.



ზად გადაიქცევა და შეისისხსოვრცოს ცხოვრება, ხასიათი და თვისებანი იმ კაცისა, რომლის წარმოდგენასაც აპირებს, ყური მიაპყროს, როგორ ვეიდებინა მას სხვა მომქმედნი და მის გვარად გამოხატოს თავისი გრძობანი: ერთ წუთსაც ნუ დაივიწყებს, რომ იგი ესა და ეს მომქმედია და არ გადააჭარბოს, ერთი სიტყვით, სენებაზე ცხოვრობდეს<sup>14</sup>.

ვასო აბაშიძე სასცენო შემოქმედებაში ამ პრინციპით განმტკიცებდა მსახიობის ოსტატობის იმ ნორმებს, რომელსაც „გაგნდის სკოლას“ ეძახიან.

...ნოქარი შეზარბონებული მოვიდა თავისი ბატონის სახლში, ე. ი. ვიდრე ანგარიშს ჩააბარებდა თავის პატრონს, ძმა-ბიჭები მოუნახლებია, მათთან პური უჭამია, ღვინოც გადაუკრავს და, აი, აკოვას ეს საქციელი უკვე იმის ცხადი დემონსტრაციაა, თუ რა ზნისა და შესებულების კაცთან გვაქვს საქმე. იგი მსახურია და კარგად ესმის მისი მდგომარეობა. „რად მინდა ჭკუა?!“ ჭკუით, მან კარგად იცის, ვერას გააწყობს ყოვლის შემდეგ იქნისთან, „ჭკუა კონტრბანდია, ჩვენს ქალაქში ვინ შემოუშვებს?!“ დაის, ეს ერთგვარი პროტესტია სოციალური უკუღმართობის მიმართ, — შეიძლება სუსტი, მაგრამ მაინც პროტესტი: სოციალური და ეროვნული ჩაგვრის დროს ეს უკვე ხალხის გულსწყრომის გამოხატვა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

აი, ამ საზოგადოებრივ განწყობილებასა და აზრებს გადმოუგვცემდა ვასო აბაშიძის გმირი. მისი სიმღერის ლექსმოტივი ამ ქვეტექსტს ექვემდებარებოდა:

„დაბეჭდილი წიგნი მომდის  
სავაყრილდანა!“<sup>15</sup>

აბაშიძე-აკოვა მსუბუქი ოინებით უფრო მძაფრად გადმოცემდა გმირის შინაგან უკმაყოფილებას. ... როდესაც მსახიობი იმ მოქმედი პირის სულიერ, შინაგან ცხოვრებას გამოხატავს, რომელიც დრამატურგს პიესაში მთავარ მოქმედ პიროს შორის დინამიური დამოკიდებულებისა და ურთიერთობის გასამაფრებლად შემოუყვანია, სტანისლავსკის მიხედვით, ასეთ მოვლენას „მეორე პლანს“ ვუწოდებთ.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ვასო აბაშიძე „მეორე პლანს“ მხოლოდ ქვეცნობიერად, მხოლოდ ინტუიციით დაეუფლა? არა, ეს არ იყო მხოლოდ წმინდა ინტუიციური დინება. აი, რას წერს თვით ვასო აბაშიძე:

„მსახიობს გულადღებით და დიდის ყურადღებით რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს მთელი პიესა, დაწერილობით უნდა გაიგოს იმ მომქმედის მდგომარეობა, რომლის წარმოსადგენადაც იგი ემზადება. გასივლილობის, რა დამოკიდებულება აქვს იმ წრესთან, რომელშიაც იგი იმყოფება.“<sup>16</sup>

მამასადაც, ვასო აბაშიძე შეისწავლა, შეაშვანა აკოვას სცენური სახე, გააღვიძა თავისი არტიკულბ მუნება, ანუ ინტუიციუა ცანცობიერებულ სიტუაციში აამოქმედა...

მსახიობს ღიმილის, ირონიის, ცოტაოდენი სიხარულის, ან დარდის გამოსახატავად შეუღლია სარკე გამოიყენოს, — ამბობს ვასო აბაშიძე, — მაგრამ მაღალ გრძობათა აღსანიშნავად კი, როგორცაა დედის მუხაბრება, სასოწარკვეთილება, ელდა, — ამ დროს მსახიობს აუცილებლად ფრიად მოძრავი სახე უნდა ჰქონდეს, მტკვყვალად, თვალსაჩინოდ რომ გამოხატოს შინაგან გრძობათა ცვალებადობა. ვასო აბაშიძე აღნიშნავს: ამგვარი მოძრავი სახე ბუნებით ეძლევა აღამიანს და ამის შესწავლა შეუძლებელია. მაგრამ, თუ მსახი-

ობმა ვერ გაიზარა პიესაში მოცემული სიტუაცია, ვერ შეიძლება თვისა მოქმედი პირის ხასიათი და მდგომარეობა, მისი მოძრავი სახის მიმოკა უსაუფქლო, უაზრო მანჭვა-გრეხად გადაიქცევაო.

ამიტომ იყო, რომ ვასო აბაშიძის აკოვას პირველი გამოჩენა, მისი ყოველი საქციელი და მოქმედება აზრიდან, შინაგანი გრძობიდან გამომდინარეობდა. ამით იპყრობდა იგი მაყურებელს და მის სულში ღრმა, წარუშლელ კვალს ამით ტოვებდა.

მაგრამ ვასო აბაშიძე-აკოვას შემოქმედების ძალის საიდუმლოებას კიდევ ერთი რამ განაპირობებს, რითაც მსახიობმა საკუთარი ნიჭის ძლიერება სრულყოფილად გამოხატა თავის სასცენო ქმნილებებში...

„ნამდვილი მასწავლებელი დრამატული ხელოვნების არანა: ცხოვრება, პრაქტიკა და დაკვირვება“ — აღნიშნავს ვასო აბაშიძე.

ცხოვრების ღრმა შესწავლის, ცხოვრებაზე დაკვირვების გარეშე, მარტო როლის შინაგან გრძობათა გამოხატვის, შენაღდა, ის ვერ შესძლებდა ისეთი განუმეორებელი სახეების შექმნას, როგორც აკოვა და სხვა მისი სცენური შედეგებია.

ვასო აბაშიძე აკოვას მსგავსი ნოქრები ასამდე მაინც ეყოლებოდა ნაწახი, რომელთაგან ერთი განზოგადებული სახე შექმნა. „უწმიწმენლო დეტალების“ გამოყენებით (ნოქრისთვის დამახასიათებელი ექსტიუვალაცია, მიმოკა, საუბრის კილო, სახასიათო ზოხა, სახის იერი) სცენაზე საოცრად ცოცხალი და კონკრეტული ტიპი დაგვიხატა. ასე მგალითად, ერთ-ერთი ასეთი დეტალია „საზგამსული დარდმანდობა“.

...ეს დეტალი ნოქარს იმისთვის სჭირდება, რომ მუტარმა მასში ეჭვი არ შეიტანოს, პატივი სცეს, რომ მან თავისი „აეტიორიტეტული გარეგნობით“ შთაბეჭდილება მოახდინოს მყიდველზე, ერთხელ არჩეულ საქონელზე უარი ადარ ათქმევინოს; გართულებ, დაარწმუნოს მყიდველი ანა თუ იმ საქონლის ვარჯისანობაში. იგი ვალდებულია გასაძღოს საქონელი. ის ხომ საქონლის გაყიდვა-გასაღების ოსტატია, ეს არის მისი პროფესია. ვასო აბაშიძე „ნამდვილ სიცოცხლესა სდებს აკოვას ხასიათში“.

„დღიურის ვარამით დაჩაგრული ხალხის თვალში შეუმწყნევი წერილმანი“ ვასო აბაშიძემ, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა, შეამანა, შეთოვისა და გამოიყენა. ..ის, რაც უფრო თვალში განისხავებულად, უფრო დამახასიათებლად ეჩვენა, მის მიერ შექმნილი სცენური სახის ხასიათს საფუძვლად დაედო, ე. ი. რაც მაყურებლისთვის ცხოვრებაში შეუმწყნეველი დარჩა, ნიჭიერმა ხელოვანმა თვალსაჩინო გახადა. მსახიობსაც ვასო აბაშიძე მოითხოვდა ცხოვრების ღრმა შესწავლას. თუ ეს თვისება ბუნებით არა აქვს მინიჭებული მსახიობს, მაშ იგი უნდა გამოიმუშაოს. ცხოვრებაზე დაკვირვების, ცხოვრების შესწავლის გარეშე მსახიობმა მას შეუძლებლად მიანია.

„დააკვირდი და თვალყური ადევნებ ყველას და ყველგან, ქუჩაში და საზოგადოებაში, — გვასწავლის ქართული სცენის დიდოსტატი, — დააკვირდი უფროსი როგორ ელაპარაკება მოხუცს, მოხუცე — უფროსს; როგორ უჭირავს თავი წარჩინებულს, მდიდარს, ღარიბს და სხვებს როგორ ეპყრობიან მათ, როგორ იტანჯება მშვიდი და რთი ადრის მსახიობი დამძალი. დააკვირდი სახის გამოხატულებებს, გიხრან-მოხრანს, ლაპარაკის კილოს. დააკვირდი, როგორ დი-





არება გლახი, მებატონე, ვაჭარი, ხელოსანი, მხედარი და ცხადად დანახავით, რომ ყოველ მათგანს თავ-თავისი ჩვეულება და ხასიათი ჰქონია. ნურაფერს დასტოვებთ შემუნველად, ნურც ერთ წერილმანს. გვადეთ, შეითვისოს ის, რაც უფრო თვალში განსხვავებულად გეჩვენება და, თუ შემთხვევამ მოიტანა, სცენაზე წარმოადგენო“.

ამ აზრის სრულ დადასტურებას წარმოადგენს ვასო აბაშიძის მიერ შექმნილი ბესოს განუმორჩეველი სახე სუბმათაშვილის „დაღატაკი“.

...კისერწაწვილი, წარბებამდე ჩამოფხატული ნაბდის ქუდი, ნისკარტა ცხვირი... ნაცრისფერი გრძილი ქართლური ჩიხა-ახალთა, შალის პაჭიჭები და ქართული წულები... მსახური წაფენილი და ფრთხილი ნაბიჯით აზრდილივით მოყვება უკან თათარებს ღვინის დღითა და ყანწით ხელში. ასეთია ოთარბეგის მსახური—ბესო. უცებ ოთარბეგმა იცვალა გეზი და ხის ქვეშ ტახტზე ჩამოკადა. ბესომ კი თავი ვერ წაართვა ინერციას და ეგრე კისერწაწვილი, ქულჩამოფხატული კინაღამ ზედ თავზე წაიშოშო ბატონს.

— რაო, შე ძალიშვილო, ეკ ქედი რომ წამოგიდგია თავზე და ის დადგომიხარ, სიცოცხლე მოგებურება, თუ რა არის! — შექოთქოთა ოთარბეგმა (გუნამ) ბესოს. ვასო აბაშიძე-ბესომ ნიროც არ იცვალა, კიდევ უფრო გაირინდა, გახევედა, ნახეგრად დაუსრულებელი მოძრაობა შეინარჩუნა. თვალების ობიექტად ახლა, ოთარბეგის კევის მაგიერ, სივრცე დაურჩა და ამ მდგომარეობით კიდევ უფრო სარკავშული გახდა თავისი ბასრი რეპლიკა:—სანამ სპარსელი ხარ, ღმერთმა ნუ ქნას, მოვხალო და, როცა ქართველი ხარ, — ზევიდან ქვემოთ ამაყად ჩამოხედა ოთარბეგს და მცირე, მეტყველი პაუზის შემდეგ გულამოსკვნილმა დაახალა, — დაიხუროო“.

ანდა მეორე მისაზნენია, როდესაც ოთარბეგი დაემუქრება: —მაფურზე ავაგებ, ცოცხლად შეგწავ, ღორის გულში გაგხევე და ძაღლებს მივუგებ შენ თავს შესატყუადად. ოთარბეგის ამ დაშურებულზე ვასო აბაშიძე-ბესო კითხვის ნიშნითაა მოიხრებოდა, ტურებს მარცხენა მუცელს მოაქცევდა და მარჯვენათი თითქოს ორმაგ ბოქლომს დაიდებდა.

ასეთი მეტყველი საქციელით ბესო ოთარბეგსაც და მაყურებელსაც ხელებოდა, რა არის, თუ სიტყვა პაიონდან დაიძრა და ერთი თვლით ვერ დაიჭირებ, მეორე ხელიც ხომ აქა მაქვს. მერე, პირაკეტილი ბესო თავის ქნევით თითქოს ამას გვეჩვენებოდა: აბა, მაშ რა გქნა, დროა ისეთი, მართლთაშიქველს ორი კი არა, ენაზე სამი კლიტე უნდა ედგოს, მაგრამ, ვაი, რომ სიმართლე თვალებში მაინც მომჩინავსო... და მაშინვე ისეთ მზურას სტყორცინდა ოთარბეგს, თვალს თვალში ისე გაუყურდა, რომ ბატონს ათას წუთად ერჩია დაზავება თავის ზუზანა-მსახურთან. და აი, როდესაც ოთარბეგი დაუსჯავდებოდა ბესოს, მაშინ ისიც ახლომდურად, შერბილებული, ალერგისანი ზემორობით რჩავს აძლევდა ბატონს, ვიდრე კიცხავდა.

მესამე ეპიზოდი: ანანიას მოსვლა და ბესოს შუამდგომლობა ოთარბეგთან. პირადად უნდა ენახებინას ანანიასა და მისი ბიჭების მიერ ჩამოყვანილი ცხენები. ბესო თან იმით არის გაკვირვებული, „საიდან გამოთხარეს ასეთი რაშებიო“ და თან იმიტოვაც აღშფოთებული, რომ „მართალა ამბობს ანდაზა: თუ მაგრა მოუჭირა კაცმა, სიხასე წყალს გამოადგენსო“. როდესაც ბატონისგან თანხმობას მიიღებდა, ანანიას-

თვის უნდა დაეძახა. იგი ისე შესძახებდა ანანიას, რთოვლი პირუტყვს მოიხმობს პატრონი და ვინმე მორევას ჰატარებს სისაიბრებდა. ამით ანანიასა და დათოს თითქოს ნიშნს უცვბდა, არა ხართ უკუეთოს მიპყრობის ღირსი, ასეთი ბრიყველი ერთგულებისსუთოსი.

ვასო აბაშიძის ეს დაძახება საოცრად ეფექტური იყო, მაგრამ ეფექტის გარდა, ამას, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური გამართლებაც ჰქონდა და, მეორე მხრივ — სიცილიც.

„ანანიას გლახა“ თავისი შეილებით (და გულგახლობა სავთროდ) დიხაც უსიკეთო ცხვრის ფარას წარმოადგენდა ოთარბეგისთვის. ბესო კი ასეთი დამამკირებელი დაძახებას სასტიკიას ამბავებებდა: ანანიას და მის შეილებს ადამიანური ღირსების დაფიცისკენ მოუწოდებდა, — სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ მსახიობმა ამ სცენაში წარსულული კვალი დატოვა ჩემს მესსიერებდა ამ ანალოზზე ჩემი ყურადღება ამიტომაც შევაჩერე.

მასხენდება მესამე მოქმედებაც, როდესაც ბესო წინ მიუძღვება საბასა და ანანიას, როგორც შეთქმულთა საიმედო მეგობრი. დაბოლოებული ჩამოსფეროს გადმოსცემად ვასო აბაშიძემ-ბესომ კარნით ჩაატარა მთელი სცენა. ამ ხერხით მან იღვწალი განცდით გამსჭვალა მთელი დარბაზი, მის მიერ კარნით წარმოთქმული სიტყვები ეს იყო სულის კვნასა, რადაც ფერული, ფრთხილი სიმღერა. აუღლებულად ამ ეპიზოდს ვერ მოისმენდი. აი, რას ნიშნავს სცენაზე ხმის გამოყენება!

„სრულდა და სამაგრ მოქმედებას მსახიობი მხოლოდ მაშინ იჭირებს, როცა იგი სცენაზე ცხოვრობს და არ კი არადგენს“. — აი, როგორი აზრებით იყო შემკიცებული მისი მოქმედებითი პრაქტიკა. თავისი მხატვრული ქმნილებებით იგი რეალისტური საოლოს თავისებურებასაც ამკვირვებდა და აკეთარებდა. როგორც ზემოაღწერილი მაგალითებიდან ჩანს, ამა თუ იმ ხასიათის გაცოცხლებისათვის ყოველი წვრილმანი კი არ იყო მისთვის მისაღები, არამედ მხოლოდ მხატვრის თვალთ დაწახული, სუბმი აღბეჭდილი დეტალებით ახერხებდა ხასიათის ხორცშესხმას. იგი საზოგადოებრივ-ზემოებრივი მოვლენის უარყოფითი თუ დადებითი თვისებების გამომხატვლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ არის, რომ ვასო აბაშიძის შემოქმედებით პრაქტიკაში გამორიცხული იყო ისეთი სასცენო საშუალებანი, რომლებიც ილუსტრაციის ფარგლებს არ სცილდებოდნენ. მისთვის ის დეტალი იყო მისაღები, რომელიც ხასიათის, იდეის გახსნას ემსახურებოდა, მხოლოდ „ის მოქმედება, რომელიც სიტყვას შეეფერება — შექსპირის მიხედვით რომ ვთქვათ — ისეთი მოქმედება, რომელშიაც, როგორც სარკვეში, გამოჩნდება დროება და ხალხი, მათი ვითარება და ნაკვალავი“.

ვასო აბაშიძე სასცენო მეტყველებაში კუთხური კილოკაისა და ჯარჯონის გადაჭარბებული გამოყენების სასტიკი წინააღმდეგი იყო, სდევნიდა ისეთ „მარილიანობას“, რომელიც „მხოლოდ კალამურებით, ბაზახანური გინებით და ენისმტვრევით გამოიხატებოდა“.

იმ როლების განსახიერებისას, რომელთაც მე მოვსწრებოდა, არ მასხობს, ვასო აბაშიძის ქართული მართლმეტყველებისათვის შეეცდოს, კუთხური კილოს, ან ჯარჯონის გამოყენებით მოხედონის ეფექტი. თითქოს არასოდეს ავიწყდებოდა შექსპირის სიტყვები — „სიტყვა მოქმედებას უნდა შეუფერო და მოქმედება სიტყვას“. ვასო აბაშიძის აზ-





რით, სასცენო მეტყველებაში მთავარია „გამოთქმა პიესის აზრისამებრ“.

„ქართული ენა ისეთი კილოანი და დასურათებული ენაა, განსაკუთრებით ზოგიერთ ნიჭერ მწერალთა თხზულებებში, რომ არა თუ როლის უცოდინარობით, არამედ გადასზავურებაჲ კი დიდს ცოდავად და უმეცრებად ჩაითვება მსახიობის მხრივ.“

ყველა ნიჭიერ მწერალს მოფიქრებული და აწონილი აქვს თეთრული სიტყვა და ფრაზა პიესის მოქმედისა: ყოველი სიტყვას და წინადადებას თავის მნიშვნელობას აძლევს, რომელიც შეფერება მოქმედის ხასიათსა და მდგომარეობას“.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, სცენურ მეტყველებაში იგი სიტყვას, ფრაზის ისეთ ინტონაციურ დასურათებას აღწევდა, რომელიც შეფერებოდა ქართული ენის ფონეტიკასაც. მისი ბუნებრივი მეტყველება უშუალოდ ცხოვრებისეულ მეტყველებას როდი ეყრდნობოდა, აწონილი და ცხოვრებაში მოფიქრებულად გამოთქმული ცოცხალი სიტყვა იყო მისი საფუძველი. — ფრაზა, სახასიათო გამოთქმა, რომელიც ვითარების და მდგომარეობის დედააზრს გამოხატავდა.

მას, როგორც დიდ რეალისტ ხელოვანს, ზომიერების გრძნობის უბადლო გამომატველს, შემოქმედებით ცხოვრებაში გულს უმღერევდა ქარგონსა და დიალექტს ამოფარებული მსახიობი-მიმტატორი.

აკოფის იმპერიდით მისას, ბესოსა თუ ორგონს, სასცენო მეტყველების საკითხში მისეულ მცნებას არასოდეს უღალატებდა.

როდესაც ვასო აბაშიძე თავისი სასაიომეო ტემპრის ბარიონით და მკაფიო წარმოთქმის ტექნიკით, გამართული ქართული მეტყველების რიტმითა და ჟღერადობით სცენიდან ამა თუ იმ გმირს აღაპარაკებდა გააზრებულ სიტყვებისა და ფრაზის მემუგებით, როდესაც იგი ხმის ჟღერადობით აფერადებდა და ინტონაციური მახვილებით მკვეთრად გამოყოფდა იმას, რითაც მინაცანად ცხოვრობდა სცენაზე, — ჩვეუც, მაყურებლებს, გვიმსაფრდლებოდა შინაგანი ხედავ და უფრო უშუალოდ განვიციდით იმ სურათებს და სახეებს, რომლებსაც მსახიობი გვაცნობდა.

ამიტომ ვასო აბაშიძის აკოფას ინდივიდუალური მეტყველება და მის მიერ ნამღერ თბილისური ბაიათები იყო არა ეგზოტიკური მოვლენა სცენაზე, არამედ მაღალმატრულიად, პროფესიულად გამოყენებული საშუალება პერსონაჟის დასახატად. აკოფის მეტყველება და სიტყვა თავისი ეგზოტიკურობით კი არ გვაღიზიანებდა, არამედ ესთეტიკურად გვატკბობდა. ასევე, ვასო აბაშიძის იგივე ბესოს სახის შესრულების დრის გამოყენებული მესტიერეთა თუ მეჩონგურეთათვის დამახასიათებელი ღიღინა, ერთი მხრივ, და გლეხკაცის საუბრისთვის ნინოანდლივი ინტონაციის ტუნწად გამოყენება, მეორე მხრივ, — წარმოადგენდა არა ნატურალიზტურად „ცოცხალი“ პერსონაჟის დახატვის საშუალებას, არამედ სცენურს, მხატვრული ტიპის შექმნის პროფესიულ ხერხს. ასეთ ტიპს იქნებ ცხოვრებაში ვერც ნახავდით, მაგრამ იგი უღავედ ცხოვრებისეული იყო.

ვასო აბაშიძე თავის „მოკლე ცნობაში“ ტანასოხის, გრინისა და სცენურს მოძრაობის საკითხებსაც ღირსეულად იხილავს უთმობს და გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს მსახიობის შემოქმედებით ცხოვრებაში.

მის მიერ გამოთქმულ ყველა შეხედულებას, რაც სცენურ

რი ურთიერთობის, ყურადღების, ზომიერების საკითხებს მსახიობის მომზადებასა და აღზრდას ეხება, დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მას დრამატული ხელოვნების ყველაზე მაღალ დანიშნულებად მიჩანდა ხალხის სამსახურში ყოფნა, საზოგადოებრივი მოთხოვნების სიმძალეზე დგომა.

მან იცოდა, რომ „გონიერი მსახიობი მხოლოდ კარგი რეპერტუარის წყალობით შემუშავდება“. — მან კარგად იცოდა, რომ მსახიობი არ უნდა იყოს „ისეთი მახსურ მიოქმედება“, რომელსაც მაყურებლის ადგილს ნაწილი საიომეოებით უტრავს ტაშს. ამიტომ ყოველი მისი ცსენური საშუალება ყოველთვის შეფერებოდა პიესის გმირის ხასიათსა და სულს.

ვასო აბაშიძემ ბევრი შესანიშნავი სცენური სახე შექმნა რუსულსა და დასავლეთ ევროპის კლასიკურ ნაწარმოებებში.

მასხედება მილიერის „ტარტიუფის“, ვასო აბაშიძე — ორგონის როლიში. პირველად იგი ორმოცი წლის წინათ ქუთაისის სცენაზე ვახვებდა და მე მისი შექმნილი ეს სახე და მანინდლი შთაბეჭდილება ვერ შემიცვალა ვერც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა მსახიობმა ტაპარკოვმა სამხატვრო თეატრის მიერ დადგმულ სპექტაკლში, და ვერც „კომედი ფრანსესუ“ ცნობილმა მსახიობმა ლუსენინამ.

ვასო აბაშიძისეული ორგონის ბუნებრიობას, მზიარულებას, მის სიცილსა თუ მწუნარებას ვერა შედგებოდა რა. თქვენს წინ იდგა კაცი, რომელსაც არც დედა ახსობს, არც ბილი, არც შვილი, გარდა ტარტიუფისა. მისი დასურულეული შეკითხვები ღორინასადმი ტარტიუფის შესახებ, ხან იმედოვნებოდა და ხან სასოწარკვეთილებით შეფერილი, ხან აკვირდებოდა და ხანაც წყრობით გამოხატული, დაუეწყარი იყო. მასხობს, მერმე გატანაჯული, დაბალ ტინალობაში გამულად ისე წარმოთქვამდა ფრაზას: „საწყალი კაცი“, რომ საკუთარ თავზე წაკითხული ეპიტეფია გვეგონებოდა. და ასერიგად ისეთ კომიკურ ხაფანგს დავიკებოდა, რომ თქვენდაუხებურად სიცილის მორეფში აღმოჩნდებოდა. თან ყოველივე ამას რა სადა, რა დამაინარ, სრულიად გაუზიადუნებულ სცენურ მოქმედებას შეუფარდებდა! შემოიღოდა წყნარად, ფეხგარეფით, თითქოს უქსო სახლში. საგარემოში ჩაეშვებოდა და ორგონის ცნობილ შეკითხვებს მოუთმენლად დაიწყებდა: „ტარტიუფი?“

ან სცენებში მაგდის ქვეშ ჩასაფრებისა და ორგონის გამოფხიზლებისა? როგორ მაღაღმბატრულდ, პროფესიულ ტაქტს იჩენდა მაშინ! ასეთ სცენებში მსახიობი იშვიათად ასცდებოდა ცდუნებას, ფარულ-ბუფონადურ საშუალებებს რომ არ მიმართოს.

...ვასო აბაშიძე-ორგონი, მაგდის ქვეშ მწუნარებით თავდახრილი, ატლანტის მსგავსად ცალ ფეხზე მორთხმულა, ხელებით სუფრის კალთებით აუკრეფია და მწურავავინული ერთ წერტილს ჩასციება სიერეში... ვის გულის არ გამოიწვევდა თანაგრძობისა და აღტაცებას პერსონაჟის ასეთი მდგომარეობა სცენაზე? მერმე, მოულოდნელად, საშინელი მრისხანება ორგონისა, — ღირსეულად, ზომიერად გამომაღავენებული ქართული ტემპერამენტუ უტკბონ გვირგვინს ადგამდა ვასო აბაშიძეს.

ამრიგად, ვასო აბაშიძე ყოველგვარ ვადატარებას საკუთარი შემოქმედებით მაგალითებით ებრძოდა და მხატვრული ზომიერების ცოცხალ ნიშნებს აკვიდრებდა ქართულ სასცენო ხელოვნებაში.

სასცენო თავდატყრა ხომ იშვიათი ჰქონდა: „რეპეტიციონ



დროს მსახიობმა პეტლაფერი უნდა უკუაგდოს და დაივიწყოს, მთლად ყურადღება გადაიქცეს“.

ამიტომ იყო ბუნებრივი, თავისუფალი და ძალდაუტანებელი ყოველი მისი მიზნა-მიზნა, ყოველი საქციელი. სწორედ სცენური ყურადღების მოხიბვით აღწევდა იგი სახის „ქერკერ“ შესვლას და გარდასახვას!..

სასცენო ყურადღების დამაბვი და გამახვილებით, მსახიობის ფიზიკული თვითობრივობით იგი თავს იზღვედა ყოველგვარი გზაუკაცობისაგან, გადაჭარბებისაგან.

„გადაჭარბებას სივს სიზნობა, სასცენო ვერ ითამაშო, — გვასწავლის ვასო აბაშიძე, — ზომიერება უდიდესი ღირსება მსახიობისათვის. ამ ღირსებით შემოიბოღ მსახიობს, დიდი ნიჭის პატრონივ რომ არ იყოს, საზოგადოება მანინც ავსახებს და სიამოვნებით უცქერის იმის თამაშობას, რადგანაც იგი არ შეურაცხყოფს უცხო გემოვნებას და ეს ერთი უმაღლესი პირობათაგანია ხელოვნებაში“.

და მართლაც, შემოიპყრებოდა მაგალითობიდანაც აშკარად ჩანს, რომ ვასო აბაშიძე კონცერტიდანაც დიდ დაბაბულ მუშაობას ეწეოდა შრომობიური სცენის პროფესიული კულტურის ასამაღლებლად, ეროვნული თვისებების შესაცნობად. თავისი შემოქმედებითი გზის სისწორე რომ შემოიქმებინა, მარტო შრომობიურ რეპერტუარს როდი მიმართავდა; იგი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა სხვადასხვა წარმოდგენების ნახვას, რა ენახებოდა არ უნდა ყოფილიყო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამ ჩვეულებისათვის არ უღალატებია. თუ უქეიფოდ არ იყო, ან წარმოდგენაში დაკაბებული, ყოველ სამაშობს ან საოპერო თეატრში ნახავდით, ან — რუსულ დრამაში, ან სომხურ თეატრს ეტყუებოდით, ან აზერბაიჯანულს, არც ფილარმონიის კონცერტებს დააკლდებოდა. აკრტრთ ღირსშესანიშნავ გასტროლებს უყურადღებოდ არ დატოვებდა.

იგი არამჩვეულებრივი ინტერესით აღენებდა თვალს საბჭოთა თეატრალური კულტურის ზრდასა და განვითარებას. თუ რამდენი რჩევა-დარიგება მიუღია მისგან ახალგაზრდობას ყოველი ახალი როლის შესრულების დროს, ამას ვინ დათვლის?! მისი პიროვნული მსახური საქმის დედამისიდან იყო აღმოცენებული, საღად, მოკლედ და ნათლად აზროვნებდა. საწუხაროდ, ახლის ძიებით გატაცებულ ახალგაზრდობას სრულად არ ჰქონდა შეგნებულ-გაზრდებელი ძალა და მნიშვნელობა ვასო აბაშიძის სკოლისა. შემოქმედებით მუშაობაში მის გვერდით ყოფნა ჩვენთვის ერთადერთი საიმედო საყრდენი იყო.

მისი სკოლა და შემოქმედებითი გზა დღესაც არ კარგავს მნიშვნელობასა და ძალას ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებაში.

მისმა შემოქმედებითმა შრომამ „ერის სულიერი ვითარებისა და თვითნობიერების გაღვივების საქმეში საბატიო ადგილი დაიჭირა“ და საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ „ტემმარტიი არტისტი იგივე შემოქმედია, როგორც სხვა ტემმარტიი ხელოვანი“. განა უნდა ვაგაკვდებოდა და საფუძვლიანად არ შევისწავლოთ ის ფსადაღებელი გამოცდილება, რომელიც ვასო აბაშიძის რეალისტურმა სკოლამ დაგვიტოვა?!

ვასო აბაშიძის თავისებური შემოქმედებითი რეალისტური სკოლის ფესვები მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში უნდა ვეძიოთ, უნდა გავითვალისწინოთ, როგორი სამსახური ეკისრებოდა ქართულ თეატრს მეფის რეჟიმისა და

ეროვნული ჩაგვრის ვითარებაში. იმ პირობებში მსახიობი არა მარტო ესტეტიკური ფენომენი, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული შეგნების გამოჩალიკების ტრიბუნაც იყო. ქართული მსახიობი იყო სოციალური და პოლიტიკური ვითარების უტყუარად მსახიველი სარეჟი.

ამიტომ, ერთი მხრივ, თუ ვასო აბაშიძე სასცენო ხელოვნებაში დეკლამაციურობისა და სილამაზის ფერ-შარბილი შეფერადების წინააღმდეგ იბრძოდა, მეორე მხრივ, დაუნდობლი იყო სინამდვილის ვულგარული გამოვლინების მიმართ. იგი ორთავ შემხივვავში მაღალი ზნეობის პოზიციებიდან იკლავდა გზს თავის შემოქმედებით მუშაობაში. როდესაც ახლის ვეგნობით მისი უქმედებით მოვალეობასა და ცხოვრებას, სიამაყის გრძნობით შეგნინავათ, რომ, როგორც ტემმარტიი ხელოვნის, ერთხელად არ გადასწყვეია არჩეული თეატრისათვის, სადაც „გომიერება მრჩეველია, მოქმედება შეფერებულია სიტყვასთან და სიტყვა — მოქმედებასთან“.

შეჰსპირული რეალიზმის გზით რომ არ წარემართა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება და მარტო ყოფაცხოვრებითი ასახვის ჩარჩოებს არ გასცილებოდა, თავის თეატრში „ქართული სცენის მოდერნი“ სახელს ვერ დაიკვებდა.

მანინდელი თეატრის დასი მარტო ინდივიდუალური ნიჭით დაჯილდოებულ მსახიობთა კრებულს არ წარმოადგენდა, არამედ ერთი შემოქმედებითი პრინციპებით შეფერებულ კოლექტივი იყო, სადაც ვასო აბაშიძის მხატვრულ მინართულებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მას კარგად ესმოდა რეჟისორის მოვალეობაც დრამატულ ხელოვნებაში მახსენდება ვასო აბაშიძის „წერილი რედაქტორთან“. სადაც რეჟისორის უნიათობაზე ჩივის:

„ხანგრძლივი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ თვით ჩვენგან არჩეულ რეჟისორს, ჩვენიდენი სცენისა და მისი ტემნიკის მიხედვით არ ჰქონია. ვერც გამოთქმას გვასწავლიდა, ვერც ციხა-მობრას, ვერც სცენაზე მოძრაობას თვით პიუსის აზრისამებრ!“

მრავალმხრივ არის საინტერესო ვასო აბაშიძის სასცენო მოძიებება, მაგრამ დღეს საკავთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ახლის ძიებით გატაცებულ ზოგიერთ ჩვენ თეატრალურ მუშაკს საკუთარი მამა დაივიწყებია და მამინაცვლის ძებნაშია.

\* \* \*

...შეუძლებელია დაივიწყოთ ის შემოქმედებითი იმპულსი, რომელიც მომცა ქართული სცენის ოსტატებთან შეხვედრამ. ახალგაზრდა შემოქმედი სცენაზე საკუთარი ძალის მოსინჯვას მხოლოდ ოსტატის გვერდით თუ უძლებს. სცენაზე ბუნებრიობას, ორგანულობასა და უშუალობას ნამდვილი ოსტატი დიდი შრომითა და მძაფრ ძიებაში გატარებული უძლიერ ამბების ფსადაღებდა აღწევს. შენ კი ერთბაშად გინდა სასცენო საზე შექმნა, მაყურებელი დაიპყრო, აიტკო. ეს შეუძლებელია. კიდევ კარგი, რომ ამს თავიდანვე მიხვდები ასეთ დიდებულ მსახიობებთან თამაშის ზედინებება მხვდა წილამდე! ვასო აბაშიძე — ოუსტატი გარბალაძე, მე — ექვთიმ საყვარელიძე (კომედია „ალუმი“), ალექსანდრე იმედაშვილი — ოტელიო, მე — მობრტანო (შეჰსპირის „ოტელიო“), ვალერიან





გუნია—პეტრონიუსი, მე—ნერონი (სენეკეისი „ვიდრე ჰხვალ, უფალო“), ნინო ჩხვიძე—მარკოტა, მე—გასტრონი (დომეას „მარგარტა გოტიკი“), ნინო დავითაშვილი—მარიამი, რომ — იუდა („მარიამ მაგდალინელი“). ჩემთვის ამ შეხვედრებს ვადამყვები მნიშვნელობა ჰქონდა. შემძლო თუ არ შემეძლო, ავად თუ კარგად, ამ ისტატებისათვის პარტნიორობა უნდა გამეჩია და თავმოყვარე ახალგაზრდა, სცხვანა რომ არ მიუთითოს, ასეთ პირობებში თვითონ შეტყობოს, სადაა უმწო და სადა თავის ავადილუე... ეს თითქმის უბრალო საექიმე-ლია—თავის ავადილი, მაგრამ თვატრქის თავის ავადის თუ-რმე მხოლოდ ბედნიერები პოულობენ.

ზემოჩამოთვლილი როლებიდან მხოლოდ ორი უნდა გამოვყო, რადან მათ არც ასაკობრივად და არც ფიზიკურად მოწინავეებით არ შეუფერებდნენ. ეს არის ნერონისა და იუ-დას როლები. სენეკეისის პიესისა „ვიდრე ჰხვალ, უფალო?“—ნერონის ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წლის იმპერატორია, სული-თაც და ხორციითაც ცუდავთავან მიბერებულა, — მე კი ოც-დაათი წლის კონსტანტინე, წელში გამოკანაწული ასალა-ზრდა ვიყავი. რა უნდა მეჩნა? რა ღონე უნდა მეხმარა? ერთ-ხანს მარცხითვის დაწერიული კაცის შერჩენება დამეუფლა. სრულიად მარტო დავჩრი საკუთარი თავის წინაშე, მაგრამ ამ შერჩენებამ და სიპარტოვე დამძაბა, გონდა მომიკრიბა, გამოსავლის ძებნა დამაწყებინა. წამოვჭერი ასეთი კითხვა: როლი შენ უნდა მოიგო, თუ შენ თვითონ უნდა მოიგო მას?— ამ კითხვას ასეთი პასუხი გავეცე: „იმ შემთხვევაში, თუ ნერონის ჭაბუკობის ასაკში დახატავ, თავად უნდა მოიგო. ეს უკვე იდგა, განა უფრო საშინელი არ იქნება ჭაბუკი ტი-რანი?! ამით დანამატული დაძაბულობაც ხომ უფრო გამძ-ფრდება?! რა თქმა უნდა, გამძაფრდება!“ მეორე დღესვე გა-ხატებული ვაგრიბივარ მამინდელი მთავრობის სასახლის ბიბ-ლიოთეკაში, ნერონის ცხოვრების, მისი პიროვნების შესა-წყალობა. ბიბლიოთეკის გამეფ ცნობილი ქართველი საზოგა-დო მოღვაწე, მწერალი, სცენისმოყვარე, კრატკოსი ილია ურბანიშვილი ვახსოვდა. მან გადმომიღო დასურათებული „რომის ისტორია“. ფავციცივთ ვიკითხულობ. ავერ ჭა-ბუკი ნერონის სურათიც, მამინდე ვადმოვიხატე, რომ გრიმი-ორისთვის მერყენებინა და პარივი დამეკეთა. გამასხნდა ჩემი ხმის „დადამეხებელიც“, ოპერის მომღერალი, დრამატული ტე-ნორი კანწინი. იგი რუბინშეკინის ოპერა „ნერონი“ ნერო-ნის პარტიას ასრულებდა. ჩვენს მუსიკოსს საშა გველუხიანს ვთხოვე, ნერონის კავატინა ესწავლებინა, რომელშიც ნერონი თავის უნიჭოდ დაწერილ ლექსს მღერის. ყველაფერი ეს შე-ვაფრთხილ და ჩანაფიქრით წარაგვიდგე რეჟისორი აკაკი ფა-დავას. იგი აღტაცებული დარჩა, სამაგალითოდ წარმადგინა დასის წინაშე, როგორც ბეჯითი მუშაკი, და რამდენიმე რეპე-ტიციით შემივანდა უკვე გამზადებულ სპექტაკლში. სპექტაკ-ლის შემდეგ წარმადგინა მილკოვლენენ უფროსებიც (ვალ-ერიან გუნია—პეტრონიუსი, ალექსანდრე იმედაშვილი—მარკუ-სი) და თანატოლებიც.

სტუდიის ნახევარი არ იყო გასული და ჩემს აქტივში ჩაი-წერა ქილორდავე „გუმინდელნიდან“, აბესალოვ „ირინეს ბედნიერებიდან“ და ნერონის... შრომისმოყვარე მსახიობისა-თვის სახელის მოხვეჭას არაფერი უდგას წინ. ეს სახელი სწრაფად მოვიხვეჭე, რამაც გამამხნევა, გამაბამაძა კიდევ და აი, როცა შემომთავაზეს იმედაშვილის ნაცვლად (მისი ავადმყოფობის გამო) იუდას როლი, უარი არ მიუთქვამს, ოთ-

